

ისტორიანი

ვიქტორები
საქართველოში
სასიჩათოს
ბეჭოება



მესამე
კრისტენი
ნავარევი
საქართველოში

ომის
ლომაზაბი
ჩხეილოვათის
მიწისძიება

ერთობლივი ბოიკონი ვარდა

ადა ადონისეკანა

დიდი მოურავი

12 რივენდ

ბები VII

ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანი“ ერთად – 6 ლარი

სატელიკოს
ებედება

ბატონ ია ტობო
– რომელი
ბმისაბი

ჩოხოს
ბაზობორის
ველოსიპედი

ფიქრსმანი
– 150

ქისტებობა
საქართველოში

ფარაონ
ჩამზას III-ს
ყავი გამოჟავს?



6




11




18



14




46



30



48



30



25

სახელი

ახალი ათასი

ზოროსმანი 150 6

„ნადავი გლადიატორის“ აშაკოლეუმას

მიზიდა აპიაკებენ?! 7

პრეისტორიული სელიკი, სახელად ობამა 8

სამართლი ზრასპბიტ – უციკალური

აღმოჩენა 8

გარამატების დაკარგული ცივილიზაცია 9

მილანის ტაძრი „ქრისტონებს“ მემა 10

საილან მოგოლეონ პრეზენტ 11

ტალენტები

ქრისტეს შობა საქართველოში 14

მსოფლიო სახელი

საცხა კლაუსის დაბადება 18

კლოვანები

მესამ უციკალური ნეკალები

საქართველოში 25

ბეჭოების ისტორია

პიპებები საქართველოში და

სასირეალის ბრძოლა 30

ეიგნები

ომის ღმერთები ჩრდილოეთის

მიზანი დანიშნულება 36

ციცალი ტოსტენები

ვასტონის პირიოდ საქაბლივოების

ერთი უცემი ტერიტორია 44

მოცე ახალი

ფარაონ რამზეს III-ს ქალი გამოჭრას? 46

ოკალი, ახალი

ზოთელი ფირალი –

დათიბო ჭვევლება 48

ახალი ახალი

მისი აღმატებულება ქართული

სელენები 54



56



71



64



84




99



74



92



80

საქანიანი

გრძელდა უკველესი დინორავის		ხერთმოქმედის ძებლები	
სტატუსისთვის	55	ღოშების სასახლე	84
ექთაცი ხარიმომძღვანის ძაღლები		ბონების იუსტიცია	
ნიჭირზონდა	56	დანიელ საპროცესის	
ალმინის როსფერა მაგისტრი		„პრაფინჯალე პიზენესი“	92
გალტო და ტობო — ალასპის გმირები	64	გამობონებები	
ომაც ახაგი		ვაღონისიანის შექმნა	99
ინდიანა ჯონსის სასამართლო		ცხოველება	
უჩივიან	71	შანირი ღოლავილი: „სულ ტჟუილია	
ამოუსონი სახეობო რიცხვები		ტკილი სიბერე“	106
გაზა 211 — პიტლერის საიდუმლო		ეხილი	
აღგილსამოვლი ანტარქტიკაში?!	74	დაპირ ქაცარავა: „დაპირ აღმაშენებლის	
კომორება		ეპოდაში მიცხოვნია“	111
მგლინავი — გურგენ კურაკალატისა და		„ისტორიანი“ ბავშვებისთვის	
ადანას ჩართველისა მეცნის გრძოლის		500 ფაქტი ისტორიიდან	114
გელი	80	სპაციონიდი	122

հՀԵՂԱՎԹՈՒՆ ԵՅՎՈ

„ისტორიანის“ ერთგულ მკითხველს გულითა-
დად კულოცავ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე
დღესასწაულს. გისერვებით დღითის წეალობას, წარ-
მატებას, ჯანის სმირთელეს, სიუჩვესა და ბარა-
ქას. 2012 წელი საქართველოს ისტორიაში მარ-
თლაც დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს. ბოლო
ორი ათწლეულის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში
პირველად მოხერხდა ცივილიზებულად, არჩევნე-
ბის გზით ხელისუფლების შეცვლა. ბევრისთვის ეს
მოულოდნელი იყო, მაგრამ კველაფერი თავისი კა-
ნონზომიერებით ვთარღდება. ქართველი ერი მდი-
დარი პოლიტიკური კულტურის ერია. თითქმის სა-
მი ათასწლეულია, ჩვენ გაგვაჩნია სახელმწიფო-
ებრივი ინსტიტუტები. ოუნდაც კუთლეუ-არსლანის
გამოსვლა და მისი პოლიტიკური პროგრამის გახ-
სენება რად ლირს. იმ იდეებს, რასაც ქართველი
მეჭურჭლეოუჩუცეს XII საუკუნის 80-იან წლებ-
ში ქადაგებდა, 70-80 წლის შემდგე ინგლისში შე-
ქსხა ხორცი....

XXI საუკუნენბ ახალი ოქალობა მოიტანა. დემოკრატია ხალხის მმართველობა არ არის მხოლოდ. ეს არის თავისუფალი მმართველობა ყველა დონეზე. არჩევითობა ხელისუფლებას ზღუდვს მთავარში — განუზომელი ძალაუფლების მოპოვება-ტკბობაში. ერთი ბრძენებაცის სარკასტული გამონათქვამისა არ იყოს, „ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მომხაბალელობას კარგავს“. არჩევნებით ხელისუფლების ცვლილებები, მთავრობებს კონკურენტულ გარემოში ამყოფებს და არც არავის სცალია „ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის“. სწორედ ამიტომაც 2012 წელი საქართველოს ისტორიაში გამორჩეული თარიღი იქნება.

2013 წელს უკრაინი „იასტორიანი“ ახალი ფორმატით ხვდება. ჩვენს გვემბზე წინა ნომრებში ვსაცდობდით და აქ სიტყვას აღარ გვაგრძელებ, მხოლოდ აღნიშნავთ, რომ ოქვენი სიყვარული აათმავებს ჩვენს სურვილს, ქართველ საზოგადოებას მივცეთ თანამედროვე, პროფესიონალური შემკუნებით ჟურნალი.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ,
2013 წლის.

უფალი ფარავდეს სრულიად საქართველოს.



„ისტორიანის“ სიყვალული
აათავავს ჩვენს უკრილს,
მრთველ საზოგადოებას მისცეთ
თანამაღლოვა, პროფესიონალური
მახარებითი უკრნალი...

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშა

რედაქტორი გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

ଶାର୍ଣ୍ଣିକାନ୍ତର୍ଗତ କ୍ରମାବଳୀରେ
ଅଲ୍ପଶର୍ଣ୍ଣରୁ ଦୂରଶେଷିତ୍ୱରେ, ଏହିପରିବାରରେ,
ନିର୍ବିଜ୍ଞାନାବଳୀରେ, ଧୀମୋତ୍ସରୀ ବୈଜ୍ଞାନିକୀୟ,
ମିଶ୍ରିତ ବାରନ୍ତରେ, ଶରୀର ମାତ୍ରିକାଶେଷିତ୍ୱରେ,
ପ୍ରାଚୀନ ପ୍ରାଣୀବିଦ୍ୟାରେ, ନିର୍ବିଜ୍ଞାନରେ

კორექტორები:

ნანა მაჭუარიანი

ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი

თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoniani@pantria.ge

ჟურნალი გაძოდის თვეები ერთხელ

რედაქციის ხებართვის გარემო
მას კლიენტის აუთიფიკაცია არძალოვა

ეურნალის გამოწერისთვის მიმართულ პრესისა და წიგნების ჯარალების სააკენტოს „კლას.ჯო“.

ԱԿԱԴԵՄԻԿՈՒԹՅՈՒՆ - 0163ՆԻՍ 2013

ფიროსმანი 150

ხელოვნების მუზეუმი
გენიალური მხატვრის
108 ნამუშევრის გამოფენება

ნიკო ფიროსმანის 150 წლისთვის იუბილესთან დაკავშირებით 8 დეკემბერს გაიხსნა და 2013 წლის მარტის ბოლომდე გასტანს მისი ნამუშევრების გამოფენა. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული მხატვრის 108 ტილოსთან ერთად, დამთვალიერებელი გაეცნობა უნიკალურ ფოტომასალას, რომლითაც

წარმოდგენილი იქნება ფიროსმანის თანამედროვე თბილისი; ქუჩები, სადაც ის ხშირად დადორდა; სცენები, რომელსაც ხატავდა. ასევე, წარმოდგენილი იქნება საინფორმაციო და საპრეზენტაციო ხასიათის ვიდეომასალა. XX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ „ფიროსმანი 150“ მხატვრის ნამუშევრების კოლექციის ყველაზე ფართომასტუაბიანი გამოფენა.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს ფართო საზოგადოება პირველად 1913 წელს მოსკოვში გამართულ ავანგარდისტების გამოფენაზე გაეცნო. მისი შემოქმედება არაერთხელ იყო წარმოდგენილი ვერო-



პისა და აზიის ქვეყნებში, მათ შორის უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის, უნგრეთის, ლიტვის, ბელორუსის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, პოლანდიის, ინგლისის, ესპანეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების დედაქალაქების საგამოფენო სივრცეებში.

ფიროსმანთან ერთად გამოფენა მასპინძლობს იმ თაობის ქართველი მხატვრების ნამუშევრებს, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით ვეროპული მოდერნიზმის პრობლემატიკის გააზრება დაიწყება: დავით კაკაბაძე, ლადო გუდამშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, შალვა ქიქოძე და კირილე ზდანევიჩი.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით, იუნესკოს გზებრალური კონფერენციის 36-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლისთვის იუბილე შეტანილია იმ ღონისძიებათა ნუსხაში, რომლის აღნიშვნაშიც 2012-2013 წლებში იუნესკო მიიღებს მონაწილეობას.

„ისტორიანი“



„ნამდვილი ბლაფიატორის“ მავზოლეუმს მიწით ამოავსებინ?

იუალიელ არქეოლოგებს, შესაძლოა, ფილმ „გლადიატორის“ მთავარი გმირის პროფესიას – რომაელი მხედართმთავრის, მარჯეს ნონიუს მაკრინუსის მაგზოლეუმის მიწით ამოჟსება მოუხდეთ ამის მიზეზი კულტურის დასაცავანსებლად საბუჯუტო ხარჯების შემცირება. ეს გადაწყვეტილება კუროზონის კრიზის დაძლევის პროცესამამ გამოიწვია.

რომაელი მხედართმთავარი მარკუს ნონიუს მაკრინუსი II საუკუნეში მოღვაწეობდა. მის მავზოლეუმს 2008 წელს მიაკვლიეს. ოთხსართულიანი, მარმარილოთი მოპირკეთებული ნაგებობა თიხით იყო მოვსებული და ამიტომ არცთ ცუდად შემოინახა. მაკრინუსის მავზოლეუმი აღიარებულია ბოლო ათწლეულის მნიშვნელოვნი იტალიურ არქეოლოგიურ აღმოჩენად. მას განსაკუთრებული პოპულარობა პოლიტიკის გეხმაურებულმა ფილმმა „გლადიატორმაც“ შესძინა.

საბიუჯეტო ხარჯების შემცირების გამო, მავზოლეუმის ტერიტორიაზე ამჟამად გათხრები აღარ მიმდინარეობს. წვიმებისა და ქარის გამო კი შენობის მდგომარეობა სწრაფად უარესდება. ამას გარდა, ეს ადგილი „შავი არქეოლოგების“ ინტერესის საგანსაც წარმოადგენს. მემკვიდრეობის შენარჩუნების ერთადერთ გზად მეცნიერები ნაგებობის კვლავ ამოვსებასა და უფრო შესაფერის დროს მის გათხრას შეიჩნევთ.

არქეოლოგიური ობიექტების შენახვის ხარჯები იტალიაში 2010 წლიდან 20%-ით შემცირდა. „ნამდვილი გლადიატორის“ ძალუშესალაგი ხელახლა რომ არ დაიმარხოს, სპონსორებისგან, სულ ცოტა, 2 მილიონი ევროს მოზიდვაა საჭირო. სპონსორი თუ ვერ მოიძებნა, რომაელი მხედართმთავრის მავზოლეუმი პირველი არქეოლოგიური ველი იქნება, რომელიც ეროვნობის კრიზისის დაძლევის პროცესას შეეწირება.

მარკუს ნონიუს მაკრინუსი იმპერატორ მარკუს ავრელიუსის მეგობარი იყო. მან სახელი გერმანელი ტომების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო კამპანიებით გაითქვა.



რასელ კროუს გმირისგან განსხვავებით, იგი გლადიატორი არ გამხდარა. ღრმა სიბერებდე იცოცხლა და ფეშენებელურ მავზოლეუმში დაკრძალეს.

**მომზადებულია Observer-ის
მასალების მიზევით**



პეტრე ბერიძე, სახელმწიფო მუზეუმი



ნიკოლას ლონგრიჩი

იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახლა ან პრეისტორიული ხელიკის ახალი სახეობის ნაშთებს მიაკვლიერს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის სახელი დაარქვეს.

მკვლევარმა ნიკოლას ლონგრიჩმა აღმოაჩინა ხელიკის სახეობა, რომელიც ამერიკის შტატ მონტანას ტერიტორიაზე ბინადრობდა. ლონგრიჩის თქმით, ობამადონი, დინოზაფრუბის მსგავსად, დედამიწასთან ასტეროიდის შე-

ჯახების შემდეგ დაიღუპა. ეს ასტეროიდი ჩიკ-სულუბის სახელით არის ცნობილი. დედამიწას იგი დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ შეეჯახა.


ლონგრიჩი ვარაუდობს, რომ ხელიკი დაახლოებით 30 სანტიმეტრი სიგრძის იყო. პქონდა ბასრი კბილები და მწერებითა და მცენარეებით იკვებებოდა.

ობამადონშე საუბრისას მკვლევარმა აღნიშნა, რომ დინოზაფრუბთან ერთად, დიდი ქვეწარმავლების — ხელიკებისა და გველების არაერთი სახეობა გადაშენდა.

**მომხადებულია USNews-ის
მასალის მიხედვით**



სამარხი ფრესკებით – უნიკალური აღმოჩენა



გოგონას
ოქროსსაფურიანი
გამოსაზღვება

საბერძნეთში, კორინთოსა და პატრასის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისას, მშენებლებმა უნიკალურ სამარხს მიაკვლიერს. მისი სიგრძე და სიგანე შესაბამისად 2,4 და 2,3 მეტრია. სამარხის სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია.

სამარხში ორი სარკოფაგი აღმოჩნდა. მათგან ერთი ცუდად არის შენახული, მეორეში კი ახალგაზრდა ქალის ნეშტი აღმოაჩინეს.

არქეოლოგებმა სამარხში ახალგაზრდა გოგონას ოქროსსაფურიან გამოსახულებასაც მიაკვლიერს. გოგონას სხეული მატყლის წითელი ქეჩითაა დაფარული. ქეჩა ყვითელი, ღურჯი და თეთრი ზოლებით არის შექული. პორტრეტი შესრულებულია იშვიათი ოსტატობით.

**მომხადებულია Past Horizons
Archaeology-ის მასალების მიხედვით**

გარამატების დაკარგული ცივილიზაცია

მეცნიერებმა თანამგზავრული ფოტოების წყალობით ძველი და აქმდე უცნობი ცივი-ლიზაციის კვალს მიაგნეს ლიბიის საშერეთ-დასაგლეოში, საკარის უდაბნოში. ინფორმაცია ღესტერის ბრიტანული უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა გაავრცელა.

მეცნიერთა განცხადებით, ამ ტერიტორიაზე ასამდე გამაგრებული დასახლება აღმოაჩინეს. სიმაგრეები, რომლებიც დასახლებებს გარს აკრავს, სტრუქტურით ა.წ. 1-V საუკუნეებში აგებულ, ნაკლებად ცნობილ გარამანტების ცვილიზაციის ციხეებს ჩამოჰვავს. გამაგრებული კომპლექსები გამოუმწარი აგურით არის ნაგები და მათი სიმაღლე 4 მეტრს აღწევს. ამას გარდა, აღმოჩენილია საცხოვრებლის ნაშთები, პირამიდის სტილში ნაგები სამარხები და როტული საირიგაციო სისტემები.

ახალი აღმოჩენა ეწინააღმდეგება ძველ რიმუსულ წეარიებს, რომ გარამანტები ველური მომთაბარები იყვნენ, რომელთაც რომის იმპერიის განაპირა მხარე ააოხრეს და დაცარიელეს.

„სინამდვილეში ეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია იყო. გარამანტები მსხვილ, გამაგრებულ დასახლებებში ცხოვრობდნენ და ოზისექში სოფლის მეურნეობას მისდევდნენ.“



გარამანტების დასახლება

გარამანტების საბრძოლო უტლის თანამედროვე რეკონსტრუქცია



გარამანტებს პქნდათ დამწერლობა და განვითარებული ტექნოლოგიები“, — აღნიშნავს პროფესორი დევიდ მატინგლი.

მოშადებულია Foxnews-ის მიზედვით

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შეიტვენა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენი!



დარეკატ: 219 60 13



მოგვიარეობა: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საკმის“)

საფოსტო ფუთხის საშუალებით

მილანის ტაძარი „შეიტორნებს“ ცენტრი



მილანის საკათედრო ტაძარი რესტავრაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებას შემოწირულობებით აპირებს. ძეგლისთვის დაახლოებით 25 მილიონი ევროა საჭირო. სარესტავრაციო თანხის შეგროვებისთვის კამპანია დაწესდებულია. პოტენციურ სპონსორებს უკვე შესთაგზებს, აიღონ შზრუნველობა 135 შპილზე (მაღალი პირამიდის ან კონუსის ფორმის სკეტზე შენობის თავზე) სკულპტურებით, სანაცვლოდ კი მათი სახელები შპილების ქვეშ ამოიტვიფრუება.

კამპანიის ინიციატორები ფიქრობენ, რომ ისინი არა მხოლოდ იტალიელებს, არამედ უცხოელებსაც მოიზიდავენ და მათ ტაძრის ისტორის ნაწილად აქცევნ. რესტავრაციაში მონაწილე პირებს თავადვე შეეძლებათ, აირ-



ჩიონ შპილი და ასევე შესაწირი თანხა, იუნდაც ეს რამდენიმე ვერო იყოს.

საკათედრო ტაძრის მესვეურებმა ეს ნაბიჯი მას შემდეგ გადადგეს, რაც კულტურის სფეროს დაფინანსება ბოლო სამ წელიწადში თითქმის სამჯერ შემცირდა. დაფინანსების შემცირებას იტალიაში რამდენიმე ძგლისა და მუზეუმის დახურვა მოჰყვა.

მილანის კათედრალის რესტავრაციისთვის თანხების შეგროვება ნოემბერში დაიწყო. შპილების აღსაღენად უული უკვე გაიღეს იტალიელმა, ფრანგმა და გერმანელმა მოქალაქეებმა.

ეროვაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული არქიტექტურული შენობა, მილანის საკათედრო ტაძარი მსოფლიოში სიღილით მეოთხეა. რომაული კათოლიკური ტაძრებიდან მილანის დომი მხოლოდ სკილიის კათედრალს ჩამორჩება. რაც შეხება წმინდა პეტრეს ტაძარს რომში, ის მილანის ტაძარზე დიდია, იუმცა კათედრალს არ წარმოადგენს.

მილანის გოტიკური სტილის ტაძარი ქალაქის ცენტრის მთავარ მოედანზე მდებარეობს. მილანის დომის შშენებლობა ექვსასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დაიწყო 1386 წელს და დასრულდა 1965-ში. ის მილანის ერთ-ერთი ძირითადი ღირსშესანიშნაობაა.

კათედრალი 157 მეტრი სიგრძისაა და მასში 40 ათასი კაცი თავისუფლად მოთავსდება. მილანის დომის ქორალის ფანჯრები ერთ დროს მსოფლიოში უდიდესად ითვლებოდა.

მოშადებულია Agence France-Presse-ის მასალების მიხედვით



საიდან მოვიდნენ პრეზენტი

გენეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ვრომის ერთული უძვირესობების მსხვილი ჯუფი — ბოშები, ჩრდილოეთი ინდოეთიდან 1500 წლის წინ გამოვიდნენ. შეუძვირებელი ფიქრობდნენ, რომ ბოშები ვრომაში უვიატიდან იყვნენ ძისული. ამ ისტორიას თავად ბოშათ ნაწილი დღემდე ყვება და თავს ძველ უვიატელთა შთამომავლად მიიჩნევს.

გენეტიკური მეცნიერების განვითარებისა და ვრომის ხალხების, მათ შორის ებრაელთა წარმომავლობის აქტიური შესწავლის მიუხედავად, ბოშები, რომელთა რიცხვიც 11 მილიონამდე აღწევს, ცალკე ჯერუფად რჩებოდნენ. საკითხის შესწავლა ესპანელმა მეცნიერმა და-ვიდ კომასმა და მისმა კოლეგებმა ითავეს.

ლინგვისტიკურმა და გენეტიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოშები ინდუსტების მონათესავები არიან. ამ იდეის დასამტკიცებლად და მიგრაციის დამატებითი დეტალების მისაკვლევად მეცნიერებმა ბოშათა 13 ჯერუფისა და სხვა ხალხების დინ-ები შეადარეს.

გაირკვა, რომ თანამედროვე ბოშების წინაპრები ჩრდილოეთი ინდოეთიდან ერთდროულად გამოვიდნენ. ბალკანეთში ჩაღწევამდე, თითქმის 900 წლის განმავლობაში, ისინი მთელ ვრომას მოედნენ.

მას შემდეგ, ასწლეულების განმავლობაში ისინი ან შეერეოდნენ ვეროპულ პოპულაციას, ან მათ ანათემას გადასცემდნენ. პოლოკისტის წლებში 200 ათასიდან ნახევარ მილიონამდე ბოშა განადგურდა. შემდეგ ისინი



ესპანელი ბოშები გმუდარებიან მუზე ფილიაჟ III-ს, გაუქმოს კანონი მათი განვითარების შესახებ (ფრანგული, 1872)

კომუნისტურ ქვეყნებში გახდნენ ასიმილაციის მსხვერპლი.

დავიდ კომასი ანალიზის გაფართოებასა და კვლევაში ბოშებისა და ინდური პოპულაციის უფრო მეტი ჯერუფი ბართვას გვემავს, სადაც ამ ხალხის წინაპრები ცხოვრობდნენ.

**მომხადებულია Current Biology-ის
მიხედვით**



„ბოშების პანაკა არლისთან“ (ფრანგული, 1888)



talizi
თესლ გადახრების ცენტრი

ტარკანის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

ԱՍՏՐՈՆԱՅՈ

ԵՊՀՈՏՏԱ




საქათელი

ისტორიების

ათენუალი

იანვრის შუალას ეგაზება 32 გვერდი.
ფასი განედება 3 ლარი.
თა გამოიცართ საიტის www.elva.ge,
მისამართ 2 ლარად აღგილდეთ
ტელ.: 2382673, 2382676





ქრისტეს შობა საქართველოში

„და უეცრად გაჩნდა ანგელოზთა დიდმალი ლაშქარი ციდან, აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთს, შევიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათხოება!“ ღუჯას სახარუბა

ქრისტეს შობა თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან უდიდესია. მას საფუძვლად უდევს ღმერთის განკაცება, დედამიწაზე დე ღმერთის მოვლინება, კაცობრიობის ხსნა, რადვან ქრისტემ თავისი თავით შეცვალა ადამიანთა მოდგმა — საღმრთო სამართლის წინაშე. მე ღმრთისას თავად განიცადა კაცობრიობის სატანჯველი — მისტიკურად და ოუალურად; შესახარი წამება, რომელიც ადამიანის გონიერისთვის მუწვევდომელია, და რომლის აღსრულების ძალაც მხოლოდ მას გააჩნდა. მაც ხოვარი თავად იყო ადამიანთა გონიერისთვის იღებულური ხატი.

ქრისტეს შობის ეპიზოდი ბეთლემში, მწყემსების გამოქვაბულში, თავმდაბლობის საუკთესო ნიმუშია. ყრმა საკირველ ნათელს ჰყენდა ბეთლემის მღვიმეს. პირუტყვი მთელ ღმეს არ მიჰკარება საკვებს, რათა იგი რბილ თივას დაეცა ზამთრის სუსხისგან. სახარება შობასთან დაკავშირებულ ორ მნიშვნელოვან ამბავს მოგვითხრობს: მწყემსთა და მოგვთა თავანისცემას.

მაცხოვრის შობას ქრისტიანული სამყარო ძველი სტილით 25 დეკემბერს, ახალი სტილით კი 7 იანვარს აღნიშნავს. კანონიკური ლიტერატურის მიხედვით, ეკლესიის მიერ ეს დღე-სასწაული ძველთაგანვეა დაწესებული, დასაბამს იგი ჯვრ კიდვე უფლის წმინდა მოციქულთა დროიდან იღებს.

ქრისტეს შობის დღესასწაულს მრავალ-ფეროვანი გამოვლინება გააჩნდა ხალხურ კოფაში. ზოგად ქართულ სინამდვილეში მას კველგან აღნიშნავდნენ, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც მარხვის, რო-



უფლის ხორციელ შობას, რომელმაც ნათელი გამოუძრწინა ქვეყნიერებას,
მოყლი ქრისტიანული სამყარო დიდი ზეიძით აღნიშვნას

გორც სულიერი განწენდის დასრულებითა
და ახალი ცხოვრების დასაწყისად წარმოსა-
ხავდნენ და მას სისარულით უნდა შეგებე-
ბოდნენ.

ამ დღესასწაულს საწესჩეულებო რიტუა-
ლი ახლდა თან. ფაქტობრივად, სამხადისი იწ-
ებოდა შობის წინა დღეს.

24 დეკემბერს სამეგრელოში ქირსე საღა-
მოს (ქრისტე საღამოს) უწოდებდნენ; გური-
აში — მრავალწლობას; იმერეთში — კორკო-
ტობას; რაჭაში — კორკოტობას ან ჭანტი-
ლობას; ლეჩებუმსა და სვანეთში — ჭანტილო-
ბას; ზემო სვანეთში — შობ-ს; ქართლში —
ქრისტეს კორკოტობას და ა.შ. ეს საღამო დიდ
უქმედ ითვლებოდა, განსაკუთრებით ქალე-
ბისთვის; არ შეიძლებოდა კერვა, ქსოვა და
სხვა ხელსაქმე.

როგორც ეთნოლოგიური მასალიდან ირ-
კვევა, მთელ საქართველოში ხორბლისგან
ისარშებოდა ფაფა, რომელსაც წწოდებოდა:
ჭანტილი (სვანეთი, რაჭა-ლეჩებუმი); კორკო-
ტი (იმერეთი, გურია, სამეგრელო); ქრისტეს
კორკოტი (ქართლი, თუშეთი); ცხრაწვენა
(ქართლი, კახეთი) და სხვ.

ჭანტილის ანუ კორკოტის მოსამზადებლად
ქალებს შეის ამოსვლამდე უნდა გაერჩიათ
ხორბლი და ჩაედგათ მოსახარშეად. იგი იკაზ-
მებოდა ხახვით, მარილითა და ნიგვზით.

შობის წინა დღეს მარცვლეულისგან
(ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ოსპი)
შეადდებოდა საკვები, რომელსაც საუზმობისას

მიირთმევდნენ. ამ დღეს ცეცხლის გაჩადება
და უხვი ნაპერწყალი ბარაქის სიმბოლოს გა-
მომხატველი იყო, რომელსაც მოსდევდა სან-
თლის ანთება (მაგალითად, რაჭაში სანთლის
სახლის ოთხივე კუთხეში ანთება, რაც მათი
რწმენით, ავი ძალისგან იცავდა ოჯახს), და-
ლოცვა და საშობაო სამზადისის შედგომა.

შობის წინა დღეს ლეჩებუმში სცოდნიათ სა-
მი პატარა ჯვარდასახული კვერის გამოცხო-
ბა; შემდევ მოსდევდა ოჯახის უფროსი ქალის
დალოცვა.

გურიაში მრავალწლობას, ანუ 24 დეკემ-
ბერს შობისთვის დიდი მზადება იწყობოდა. ამ
მზადების მთავარი რიტუალი ლეგენდის (საწე-
სო პურის) გამოცხობა იყო. ნახევარმთვარის
ფორმის ლეგენდი ცხვებოდა ხორბლის ფერი-
ლისგან, ურთავდნენ კველსა და გამომშრალ,
შებოლილ კვერცხებს, რომლებიც მოულ-მუ-
ლი ან შუაზე გაჭრილი იდებოდა. ღვეზელი
ცხვებოდა იძნები, რამდენი წევრიც იყო ოჯახ-
ში, უფროსებისთვის უფრო დიდი ზომის, პა-
ტარებისთვის მომცრო. ღვეზლის გამოცხობა
მიცალდებულისთვისაც იცოდნენ.

ჩვეულებრივ, შობის წინა საღამოს (ზემო
სვანეთში), იგლებოდა საშობაო ღორი. ღო-
რის დაკვლის შემდევ მოდიოდნენ შეალილო-
ები, მგალობლები, ქრისტეს მახარობლები —
სამი-ოთხი მამაკაცის ან ქალისგან შემდგარი
ჯგუფი, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და
ოჯახებს შობას ულოცავდნენ. მილოცვა გა-
მოიხატებოდა მოკლე სიმღერით, რომლის



ალიღობა თბილისში

მრავალი ვარიანტია აღნუსული საქართველოს სხვადასხეა კუთხეში. მაგალითად:

ოცდახუთსა დაჯმბერსა
ქისტე დაბადებულაო,
შობა-ახალწელინადი
ჩეენთვის გაუენებულაო;
ალათასა ბალათასა
კვერცხი უნდა კალათასა;
ერთი კვერცხი გამოიტა,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა!

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ოჯახის უფროსი ქალი ან მამაკაცი მეალილოებს გამოუტანდა ფულს, კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხარ ღვეზელს (ამ უკანასკნელს იმერეთში საცაქველი ქრისტება); სამეგრელოში ასე ამბობდნენ, — ალილოზე კაცი რომ მოვა და გიმღერებს, ეს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მიუტნო ოჯახსო.

აქვე აღვინიშნავთ, რომ ალილოზე შემოვლა მოგვაგონებს მწყემსთა და მოგვთა თაყვანისცემის ეპიზოდს. როგორც სახარუბა გადმოგცემს, მწყემსები ანგელოზებისგან შეიტყობენ მაცხოვრის დაბადებას, ხოლო მოგვებს — ვარსკვლავი უჩვენებს გზას. ამ დროს განუზომელია მათი სიხარული. მოგვები შედიან სახლში, იხილავენ დვთისმშობელს ყრმასთან

ერთად, დაექმობიან და თაყვანს სცემენ; განსიან საუჯვეს და მიართმევენ მას ძლვენს: ოქროს, გუნდრუესა და მურს.

ფაქტობრივად, ალილოზე შემოვლა, შემოწირულობის აკრეფა იმ უდიდესი სიხარულის მატარებელია, რომელსაც შობა ჰქვია და ამ სიხარულის მაუწყებლები არიან მახარობლები, რომელთაც ოჯახში სიმღერით შეაქვთ ქრისტეს შობის მაღლი — ოჯახის დალოცვა. ამას მოჰყვება მასინძელთა მხრიდან მათთვის ძღვენის გადაცემა, როგორც წყალობის გაცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

როგორც სამეგრელოსა და სვანეთში, აღმოსავლეთი საქართველოშიც, ქართლსა და კახეთში იკვლებოდა ღორი, რომელსაც ზოემბრიდან ასეუქებდნენ. ამ ღღეს საუკეთესო ხორბლის ფქვილისგან ცხვებოდა ქადა, რომელსაც იმდენ ნაწილად ყოფდნენ, რამდენი იჯახის წევრიც იყო, ანთებდნენ სანთლებს. საშობაო სუფრაზე უნდა ყოფილიყო: პური, ყველი, ქათმი, ინდაური, საკლავის ხორცი, თხილ-კაპალი, ღვინო და ყველაფერი, რის საშუალებაც ოჯახს ჰქონდა. სუფრასთან რომ დასხედებოდნენ, ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „ღმერთო, შშვიდობის ზაფხული მოგვეცი, ბარაქიანი წელიწადი მოგვეცი! ღმერ-

თო, უშეველე ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს!“

აღმოსავლეთ საქართველოში ეს დღე მიცვალებულთა მოსახენიებელი დღეც იყო. ლხინი ზოგან სამ დღესაც გრძელდებოდა. მოქმედი ეკლესიები სადაც იყო, იქ მოსახლეობა წირვა-ლოცვას ესწრებოდა. თუ შეთქმული ჰქონდათ, სალოცვები (ხატში) გავიდოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მირითადი საწესებელებო რიტუალები ხატში სრულდებოდა. მზადდებოდა მთის ყოფაში და მკაფიდრებული კერძები და სასმელი, ზინკალი, შეთქმული საკლავის ხორცი, ფაფა, მოხარშული ბრინჯი და სხვ.

მობა დამეს მხოლოდ ჯვარიონი იყო ხატში, იდგმებოდა ხელოსანთა ტაბლა, იწყებოდა სმა, სიძლერა. დილით უამის წირვის დასრულების შემდეგ ხუცესი ცალკ-ცალკ მოიხსენიებდა საკლავებს, ხუცობა-კურთხევით კი ერთად, სამსხვერპლოს რქებზე სანთულს დააკრავდა და იხუცებდა.

ამ წესების შესრულების შემდეგ სხდებოდა ჯარი (ხალხი), დასტურები მოხარშულ ხორცას და ლუდს მიუტანდნენ. იწყებოდა სმა, საგმირო შემდეგება, ქალებს ლუდს არ დაალევინებდნენ. ისინი ძალიან მალე ბრუნდებოდნენ შინ, თუ ვინმეს სტუმარი ჰყავდა, ხატში მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. წასვლის წინ ჯვარიონი დალოცვადა მლოცველს.

ქრისტეს შობის დღესასწაულს მრავალუშეციური დატვირთვა ჰქონდა. დღესასწაულისთვის მზადება, როგორც აღვნიშნეთ, წი-

ნა დღიდან იწყებოდა. ამ დროს ეწყობოდა რიტუალური სუზმე, რომელიც მარხვის დასასრულს აღნიშნავდა, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები ესწრებოდნენ, შემდეგ იწყებოდა საშობაო სამზადისა. სუფრა შეძლებისდაგვარად უხვი უნდა ყოფილიყო, ამას მოჰყებოდა მახარიბელთა შემოვლა და სალოცვები გასვლა, როგორც ქრისტეს შობის სახარულის გარე სივრცეში გადატანა, რაც ურთიერთი ხარულის გაზიარებას გამოსახავდა.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ წმინდა წერილის მიხედვით, მწყემსებმა წრფელი გულით, უშეუალო ინტუიციით მიიღეს ლვთის არსებობის დამოწმება, ხოლო მოგვებმა — ინტელექტუალური შემცენებით. ორივე გზას ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან მივყვართ. რაც ქრისტეს ამქავნიურ მოვლინებას ახლავს თან, აერთიანებს „ორსავე სოფელს“, არის შემაკავშირებელი ხიდი — წარსულთან და მომავალთან.

შემთხვევითი არ არის, რომ შობის შეორულებების არის კრება ყოვლადწმინდა ლვთისშმობლისა, რომელსაც კახეთში ლვთისშმობლობას უწინდებენ, რაჭა-ლეჩხუმში კი — შობის დედას.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ შობის დღესასწაული მშვიდობის დღესასწაულია. მაცხოვრის შობის წელიწადს დედამიწაზე ომი არ ყოფილა. უფალმა მშვიდობა მოგვიტანა: მშვიდობა — ადამიანთა შორის და მშვიდობა ღმერთსა და ადამიანებს შორის...

აბია ზურავილი

შობა-ახალ
წლებზე
სანერთო





სანტა პლაუსის დაბალება

მთელ თანამედროვე მსოფლიოში საშობაო და საახალწლო დღესასწაულების მთავარი მოქმედი პერსონაჟი სანტა კლაუსია. საინტერესოა, რომ სანტა კლაუსი სრულიადაც არ წარმოადგენს მითურ ან გამოგონილ პერსონაჟს. მისი ისტორია რეალური აღამიანის საოცარი ცხოვრებიდან იღებს სათავეს. ეს აღამიანი ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე წმინდა ნიკოლოზია. როგორ მოხდა, რომ უამრავი აღამიანისთვის წმინდა ნიკოლოზის პიროვნება ერთგვარად გაიღიდა სანტა კლაუსთან? რატომ იყო, რომ ეს დიდი წმინდანი ასცუირდებოდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულებთან? ამ საკითხებში გასარკვევად უნდა გადავინაცვლოთ შეუ საუკუნეების ქრისტიანულ დასავლეთ კვრობაში და გაჯეცხოთ წმინდა ნიკოლოზის ცხოვრების ზოგიერთ დეტალს.

წმინდა ნიკოლოზ საკირველთმოქმედი, მიორნ-ლუკიის მთავარებისკობოსი, დაიბადა 257 წელს, მცირე აზიის ნახევარუეზნძულის სამხრეთ სანაპიროზე ლუკიის ქალაქ პათარში. მისი ცხოვრება აღსავსეა სასწაულებითა და გულში ჩამწვდომი თავგადასავლებით. პატარაობიდანვე წმინდა ნიკოლოზი ქმარებოდა ყველას, ვინც კი გასაჭირო იყო ჩავარდნილი. მეტად გულ-მოწყვალე ადამიანი მთელ ქონებას გლახა კებსა და გაჭირვებულებს ახმარდა. საოცარი ის არის, რომ ამ წმინდანის მიერ დათესილი სიკეთის ადგილზე სხვა მრავალი სიკეთე აღმოცენდებოდა. მისი შემხედვარე ხალხიც ცდილობდა, გულმოწყალე გამხდარიყო და ერთმა-

ნებს დახმარებოდა. უკვე ზრდასრული წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებაც აღსავსე იყო სათნოებებით და მის შესახებ ჯერ კიდევ თანადროულ ეპოქაშიც ბევრს ლაპარაკობდნენ. მთავარებისკობოსი ნიკოლოზი მთელი თავისი ცხოვრება ადამიანებს ქმარებოდა და მათ საშინელი განსაცდელისგან გამოიხსინდა.

გავიხსნოთ ერთ-ერთი ეპიზოდი წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან. ერთმა საკმაოდ შეძლებულმა კაცმა მთელი ქონება დაგარგა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მძიმე გაჭირვებიდან თავის დასაღწევად და მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად მან გადაწყვიტა, თავისი სამი მოწიფული ქალიშ-

ვილი საროსკიპოში მიეყვანა სამუშაოდ. როცა ამის შესახებ წმინდა ნიკოლოზმა შეიტყო, ძალიან დამწუხრდა. წმინდა მღვდელმთავარი დამით, ყველასგან შეუმჩნევლად მივიდა ამ კაცის სახლთან და ფარულად სამი ქისა ოქრო შეუგდო ფანჯრიდან. ამით წმინდა ნიკოლოზმა იხსნა ეს ოჯახი როგორც სულიერი, ისე ფიზიკური შეჭირვებისგან.

წმინდანი ცდილობდა, კეთილი საქმეები მუდამ ჩუმად ეკეთებინა, კველასგნ მალულად. თანამედროვე სანტა კლაუსაც ხომ დამით, ყველასგან შეუმჩნევლად აკითხავს მთელი მსოფლიოს პატარებს და საჩუქრებს უტოვებს ნაძვის ხის ქვეშ. ამგვარად, წმინდა ნიკოლოზის ცხოვრების შინაარსი და მისა მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდი შეუკუნევებივე და შემდგომ უკვე XVI-XIX საუკუნეებში, საფუძლად დაუდო დასავლურ-გვრობულ ქრისტიანობაში სანტა კლაუსის პერსონაჟის ფორმირებას.

წმინდანის გარდაცვალების შემდეგ მისი თაყვანისცემა ძალიან სწრაფად გავრცელდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქრისტიანოში. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ პერიოდში დასავლეთი და აღმოსავლეთი კვროპის ქრისტიანული ეკლესია ერთიანი იყო (დიდი სქიზმა ანუ ქრისტეს ერთიანი ეკლესიის გაყოფა კათოლიკურ და მართლმადიდებელ მიმართულებებად მოხდა 1054 წელს). მოგვანებით უკვე კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაიწყო განხეთქილება და დასავლეთი კვროპის მთელ რიგ ქვეყნებში სათავე დაუდო ანტიკათოლიკურ ანუ პროტესტანტულ მოძრაობას. შედეგად, რომის ეკლესიას დიდალი მრავლი გამოიყო და XVI-XIX საუკუნეებში მრავალი დამოუკიდებელი პროტესტანტული ეკლესია შეიქმნა. კინოფესიური გაყოფის ისტორია ძალიან საყურადღებოა, რათა გაფრკვეთ, რომელ რელგიიურ წიაღში წარმოიშვა სანტა კლაუსის პერსონაჟი და როგორი იყო მისი წარმომავლობის გეოგრაფიული საზღვრები.

შეუა საუკუნეებში თანდათან ნიკოლოზი გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გაფრცელებული სახელი მთელ ვროპაში. უკვე ამ მომენტიდან დასავლეთ საქრისტიანოში, დასავლეთ-ევროპულ სივრცეში დაიწყო წმინდა ნიკოლოზის ეტაპობრივი გარდასახვა სანტა კლაუსად. შეუა საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ-ევროპაში გაფრცელდა უამრავი თქმულება და გადმიცემა წმინდა ნიკოლოზის ცხოვრე-




წმინდა ნიკოლოზის დასავლეთუროპული გამოსახულება



წმინდა ნიკოლოზის დასავლურქრისტიანული ფრესკა

წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ხატი



ბის შესახებ. შეიქმნა ამ წმინდანის მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ხალხური მოთხოვობა. ყველა ამ წყაროდან ხალხი იგებდა, რომ წმინდა ნიკოლოზი ქმარებოდა გაჭირვებულებს, უპოვებებს და მათ დამით, ფარულად კართან დატოვებულ ფქსაცმელში უტოვებდა ოქროს მონეტებს, ხოლო ფანჯრის რაფებზე — ღვეზელებს. X საუკუნეში შეიქმნა პირველი მუსიკალური ნაწარმოები წმინდა ნიკოლოზის შესახებ, რომლისგანაც საფუძველი ჩაჟარა წმინდა ნიკოლოზის, როგორც ბავშვების განსაკუთრებული მფარეველის სტუმრობის ტრადიციას. ქრისტიანული სამყარო ჯერ კიდევ ერთიანი იყო, როცა დასავლეთუროპულ ქვექებში, ფოლკლორულ-რელიგიური ელგმნტების შერწყმის შედეგად, წმინდა ნიკოლოზის პირველებისადმი თავისებური დამრკიდებულება დამყარდა.

დიდი როლი ითმაშეს წმინდანის პატივისცემის გერმანულმა ტრადიციებმა. დაახლოებით X საუკუნეში ქალაქ კიოლნის საკათედრო ტაძარში ახალ ტრადიციას ჩაჟარა საფუძველი. ყოველი წლის 6 დეკემბერს (6 დეკემბერი ძველი სტილით წმინდა ნიკოლოზის ხენების დღე, ახალი სტილით უწვევს 19 დეკემბერი) საკათედრო ტაძარში სამრველო სკოლის მოწაფე

ურთობის პროტესტანტულ ნაწილში წმინდა ნიკოლოზი, ხალხურ-ფოლკლორულ თქმულებათა გავლენით, გადაიქცა „შობის მამად“, „საშობაო ბაბუად“

ბავშვებს საშობაო საჩუქრებად ურიგებდნენ ხილსა და ტყბილეულს. იმ დროისთვის უკვე მტკიცებ იყო დამკვიდრულება, შექედულება, რომ წმინდა ნიკოლოზი სწორებ ბავშვების განსაკუთრებული მფარეველი იყო, ასალი ტრადიციაც სწორებ ამის ხაზგასასმელად დაწესდა.

ძალიან მალე კიოლნის საკათედრო ტაძარში შემოღებული ეს ტრადიცია გასცდა ქალაქის ფარგლებს და დასავლეთი ევროპის ქვემნებში გავრცელდა. საშობაოდ, სოფლად თუ ქალაქად, ადამიანები სახლის კარებზე დამეტკიდებდნენ საგანგებოდ გამზადებულ ფქსაცმელს ან წინდას, რომ წმინდა ნიკოლოზს საჩუქრები ჩაედო მათვის.

წმინდა ნიკოლოზისა და სანტა კლაუსის ურთიერთდამოკიდებულების ახალი ეტაპი იწყება XVI საუკუნის დასავლეთ ევროპაში. რეფორმაციამ და პროტესტანტული იდეაბის გვრცელებამ ვეროპის სახელმწიფოებში საკმაოდ შეასუსტა და გააქრო არაერთი კათოლიკური ტრადიცია. სხვ სიახლეებთბ ერთად, პროტესტანტიზმა უარყო წმინდანთა თაყვანისცემის კათოლიკური ტრადიცია და პროტესტანტულ საზოგადოებებში წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულები გაუქმდა. მაგრამ ეს წმინდა-






საშობაო
ნაძვის ხე

ნი თაობათა განმავლობაში ძალიან მტკიცედ დამკვიდრდა ადამიანთა რელიგიურ ცნობიერებაში, შესაბამისად, შენარჩუნდა მისი სხვონა და პატივისცემა. ახალი რელიგიური შეხედულებების გაფლენის შედეგად შეიცვალა წმინდა ნიკოლოზის აღმისა და პატივისცემის ურინამა. ვეროპის პროტესტანტულ ნაწილში წმინდა ნიკოლოზმა დაკარგა საკირველთმოქმედი ეპისკოპოსის სახელი და ხალხურ-ფოლკლორულ თქმულებათა გაფლენით გადაიქცა „შობის მამად“, „საშობაო ბაბუად“. თუმცა პროტესტანტებისთვის ამ ახალ საშობაო პერსონაჟს კვლავინდებურად შერჩა წმინდა ნიკოლოზის ცხოველებიდან წამოსული მახასიათებლები. პროტესტანტების „საშობაო ბაბუა“ კვლავ იყო ღამლამბით მოსიარულე ადამიანი, რომელსაც საჩქრები და სიხარული მიჰქინდა ბაგშვებისთვის. შეიცვალა მისი გამოსახვის ფორმაც. რეფორმაციამდელ ეპოქაში წმინდა ნიკოლოზს საეკლესიო კანონიერის დაცვით გამოსახვენენ, პროტესტანტულ სინამდვილეში კი მას უბრალოდ მოხუც ბაბუად წარმოადგენდნენ, რომელსაც ელფების სახით სხვადასხვა თანამგზავრიც ახლდა.

წმინდა ნიკოლოზის სახტა კლაუსად გარდაქმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ პერსონაჟის ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე

მოხვედრაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ აქ იწყება ტრანსფორმაციის საბოლოო ეტაპი და კათოლიკური წმინდა ნიკოლოზის პროტოტიპიდან საბოლოოდ აღმოცენდება პროტესტანტული სახტა კლაუსი. ამერიკის კონტინენტზე, ახალ სამყაროში კიდევ უფრო თავისებურად შეხედეს წმინდა ნიკოლოზს და მას ახალი სახასიათო შტრიხები შემატეს, თუმცა ეს ყოველივე უპის XIX საუკუნეში მოხდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1626 წელს ჩრდილოეთი ამერიკის კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროს მიადგა პოლანდიელთა რამდენიმე გემი. ფრეგატ *Goede Vrode*-ის ქიმზე წმინდა ნიკოლოზის ქანდაკება იდგა. ამ გემზებიდან გადმოსულმა პოლანდიელებმა ინდიელებისგან შეიძინეს მიწის ნაკვეთი და დაარსეს მცირე დასახლება — ახალი ამსტერდამი (თანამედროვე ნიუ-იორკი). პოლანდიელებმა წმინდა ნიკოლოზის ქანდაკება დასახლების ცენტრალურ მოედანზე დადგეს. პოლანდიურად წარმოოქმული წმინდა ნიკოლოზი ინგლისელთავის ეღლება როგორც: „სანტერ კლას“, შემდგომ ეს სიტყვა წარმოითქმებოდა როგორც „სახტა კლას“, ბოლოს კი — „სახტა კლაუს“. აღსანიშნავაა, რომ ამერიკის კონტინენტზე პოლანდიელებმა ჯერ კიდევ კათოლიკური მემკვიდრეობიდან გადმოსუ-



ამერიკული მწერლის, კლასიკურ მურის პოემა „წმინდა ნიკოლოზის მოსელის“ გამოქვეყნება 1823 წლის მობის წინ გარდამტები მნიშვნელობისა აღმოჩნდა



თომას ნახტის სანტა კლაუსი

ლი წმინდა ნიკოლოზის პატივისცემის ტრადიცია ჩაიტანეს. ჰოლანდიაში ის საკმაოდ გაურცელებული იყო, რაკი წმინდა ნიკოლოზი ბავშვების გარდა, მეზღვაურთა მფარველადაც მოისახრებოდა, რაც ძალაან ახარებდათ ზღვაოსნური კულტურის მქონე ჰოლანდიელებს. თვით რეფორმაციის ეპოქაშიც კი, ჰოლანდიაში პროტესტინტულმა მოძღვრუბამ ვერ შეარყია წმინდა ნიკოლოზის თაყვანისცემის ტრადიცია და იქ წმინდა ნიკოლოზის დღეს კვლავინდებურად აღნიშნავდნენ.

ამგარად, ამერიკული სანტა კლაუსის წარმოშობა დაეფუძნა კათოლიკური ტრადიციების შედეგად დამკაიდრუბულ წმინდა ნიკოლოზის პროტოტიპის. თუკი გერმანელმა პროტესტინტებმა წმინდა ნიკოლოზის კათოლიკური ტრადიცია მთლიანად უარყვას და ამ წმინდანის ნაცვლად ფოლკლორიზებული „საშობაო ბაბუა“ დაამკაიდრეს, ჰოლანდიელებმა წმინდა ნიკოლოზის თაყვანისცემის ძევლი ტრადიცია შეინარჩუნეს და ამერიკაში ამ სახით ჩაიტანეს. ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ვაშინგტონ ირვინგმა 1809 წელს გამოსცა „ნიუ-იორკის ისტორია“, სადაც ქალაქის ჰოლანდიურ წარსულს აღწერდა. ბევრ საინტერესო ამბავთან ერთად ირვინგი მოგვითხრობს, როგორი სიხარულით აღნიშნავდნენ ჰოლანდიელები ყოველწლიურად წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულს და პატივს მიაგებდნენ მის ქანდაკებას.

წმინდა ნიკოლოზის სანტა კლაუსად გადაქცევის შემდგომი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო XIX საუკუნე. აშშ-ში მას უკვე იცნობდნენ ჰოლანდიური ფესვების მქონე „სანტა კლაუსის“ სახელით, თუმცა სწორედ ამ საუკუნის განმავლობაში შეიძინა მან ახალი სახასიათო გარეგნული მონაცემები და გარკვეულწილად, ახალი შინაარსობრივი დატვირთვაც. გარდამტები მნიშვნელობისა აღმოჩნდა ამერიკელი მწერლის, კლემენტ კლარკ მურის პოემის „წმინდა ნიკოლოზის მოსვლა“ გამოქვეყნება 1823 წლის წინასაშობაოდ, 23 დეკემბერს, გაზეთ „სენტინელში“. მური კოლუმბიის კოლეჯის პედაგოგი განლენათ, ბიბლიოლოგი, ორიენტალისტი და ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი. პოემაში აღწერილი იყო შობის დამეს ბავშვის შეხვედრა მასთან საჩუქრებით მისულ წმინდანთან. ავტორმა სააღდგომო პერსონაჟის ხასიათს ამოაკლო ქრისტიანული კანონიკის მი-

ხედვით წმინდანისთვის დამახასიათებელი შტრიხები. მურის სანტა კლაუსი იყო ძალიან მხიარული, სიცოცხლით აღსავსე ელფი, წინ წამოწეული მრგვალი მუცლითა და ჩიბუხით. სწორედ მურმა მოახდინა სანტა კლაუსის პერსონაჟის საგრძნობი მეტამორფოზა. თუ კი ჰოლანდიური სანტა ინარჩუნებდა თავისი პროტოტიპის, წმინდა ნიკოლოზის კანონი გურ დეტალებს, ამიერიდან სანტა კლაუსმა გამოსახვისას საბოლოოდ დაკარგა ეპისტოლის ტანსაცმელი. მურის ნაწარმოებში გაჩნდა სანტა კლაუსის ჯადოსნური მარხილი, რომელშიც ჩრდილოეთის თეთრი ფერის ირმები იყვნენ შექმენილი. მურის ნაწარმოებმა საბოლოოდ განსაზღვრა სანტა კლაუსის ძირითადი ნიშანი — ყოველ შობის ღამეს იგი ჯადოსნური მარხილით გადაუფრენს ხოლმე ქალაქებს და საკუმურის მეშვეობით სახლებში ჩადის, რათა მძინარე ბავშვების დატოვებულ წინდებში საშობაო საჩუქარი ჩადოს.

მურის შემდეგ სანტა კლაუსი მოკლებული იყო წმინდანის ყოველგვარ გარებრულ ელფერს, მას სხვადასხვა შევერილობის ქურთუკში გამოსახვდნენ. სამეცნიერო საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, თითქოს ნაწარმოები მურს არ ეკუთვნოდა. თუმცა ამ შემთხვევაში ეს ნაკლებად არის საინტერესო. მთავარი ის არის, რომ ნაწარმოებში მიღებული სახასიათო თვისებებით სანტა კლაუსის პერსონაჟმა ადგილი მიღიონ ნობით ბავშვის წარმოსახვაში დაიმკიდრა.

სანტა კლაუსის პირველი ნახატი 1862 წელს ამერიკელმა კარიკატურისტმა თომას ნასტრა წარმოადგინა. ნახტის სანტა კლაუსი ეცვა გრძელი, კოჭებამდე ჩამოშვებული ბეჭვის ქურქი, რომელიც ძალიან წააგავდა ეპისკოპოსის სამოსელს. ნახტის სანტას ჰქონდა დიდი, სახასიათო ბაკნბარდები. კარიკატურისტი ამ ნამუშევარს „კარპერზ უკლისთვის“ ამზადებდა. ნახტის ნამუშევარს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა — იყო შავ-თეთრი და საშობაო განწყობას ვერ ასახვდა. აუცილებელი იყო ფერთა პალიტრის გაფართოება. 1885 წელს გამომცემელმა ლუის პრანგმა სანტა კლაუსი საშობაო მისალოც ბარათებზე დაუღავა წითელი ფერის ქურქში გამოსახა.

XIX საუკუნეშივე მოხდა კიდევ ორი საინტერესო ფაქტი. 1841 წელს ფილადელფიაელმა კომერსანტმა ჯეიმს გუდ პარკინსონმა საკუთარ მაღაზიაში მყიდველების მისაზიდად



ფინელი
სანტა
კლაუსი



ჰოლან-
დიულო
სანტა
კლაუსი



XX
საუკუნის
სანტა
აშშ-დან



მხატვარი პადსონ სუნდბლომი (ზემოთ) დიდხანს ფიქტობდა, როგორიც სახე უნდა ჰქონდა სახტას და სკუთარი აეტოპორტრეტი და ხატა, ოღონდ შემ ხანდაზმუდის (ქვემოთ)



დაიქირავა ადამიანი, რომელიც სანტა კლაუსივით იყო ჩაცმული. იგი მაღაზიის სახურავზე, საკვამურ მილთან იჯდა და რეკლამირებას უწევდა პარკინსონის მაღაზიას. 1869 წელს ამერიკელი მწერლის, ჟორჟ უებსტერის ლექსიბის კრებული გამოვიდა, სადაც მწერალი აღნიშნავდა, რომ სანტა კლაუსი ჩრდილოეთ პოლუსზე ცხოვრობდა და იქვე მდგრადი მისი სათამაშოების ქარხანაც.

თუმცა არც ეს ყოფილა ტრანსფორმაციის დასასრული. 1931 წელს ფირმა „კოკა-კოლამ“ ახალი სარეკლამო კამპანია წამოიწყო, რომლის მთავარი გმირი სანტა კლაუსი გახდა. ჩიკაგოელმა მხატვარ-დიზაინერმა პადონ სუნდბლომმა რეკლამისთვის დახატა საოცრად გულკეთილი სახის მქონე მოზუცი სანტა კლაუსი, რომელიც წითელი და თეთრი შეფერილობის ზამთრის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მანამდე სანტა-კლაუსს სხვადასხვაგვარი ტანსაცმელი ეცვა და ზოგჯერ არცოუსალისანად გამოიყერებოდა. მხატვარი დიდსანს ფიქრობდა, როგორიც სახე უნდა ჰქონდა სანტას და საკუთარი აეტოპორტრეტი დასატა, ოღონდ უკვე ხანდაზმუდის...

სანტა კლაუსი გარებნობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა: დიდი თეთრი წვერი, წითელი ქურქი, ამავე ფერის ქუდი და შარგალი თეთრი ბეჭვის არშიით. ასე გაიცნო საზოგადოებაშ სანტა კლაუსის ახალი და საბოლოო გარიანტი, რომელიც გადაიქცა ამ პერსონაჟის კველაზე პოპულარულ, საყოველთაოდ ცნობილ და კლასიკურ სახედ. 1931 წელი თანამედროვე სანტა კლაუსის დაბადების დღეა.

თანამედროვე სანტა კლაუსის პერსონაჟი სათვეეს იღებს წმინდა ნიკოლოზის პიროვნებიდან. დიდი წმინდანის სანტა კლაუსად გარდაქმნა დასავლეთ ევროპაში დაიწყო და აშშში დასრულდა. სანტა კლაუსმა მთელ მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა და საშობაოსახალწლო დღესასწაულების განუყოფელ ნაწილად იქცა. კველა ქვეყანაში, შესაბამისი რელიგიურ-ფოლკლორული ტრადიციებიდან გამომდინარე, თვითმყოფადი სანტა კლაუსის პერსონაჟი არსებობს. მაგალითად, გერმანიაში მას სანტა-ნიკოლაუსი ჰქვია, ფინეთში — იოლუპუკი, რუსეთში — დედ მოროზი, იტალიაში — ბაბბო ნატალე, საფრანგეთში — პერნელი, ნორვეგიაში — იულეტომტე...

მიხეილ გარეოვანი

მესამე უციკალური ნაკვალევი საქართველოში

**დილოზავრისა და ნიანგის ნაკვალევის ჟამდებ, აღმოჩენილია
პრეისტორიული ძათვის ნაშენური...**

წარმოიდგენდით, რომ 12-13 მილიონი წლის წინ იმ ადგილას, სადაც დღეს სოფელი ბაქვა (ხულოს მუნიციპალიტეტი), ხირხათისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 2150 მეტრის სიმაღლეზე (დღვეული მდგომარეობით) ამფიციონი, ანუ პრეისტორიული დათვი დაბაჯბაჯებდა!..

ამის შესახებ უწონალ „ისტორიანს“ მსოფლიოში სახელგანთქმულმა პალეონტოლოგმა, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სახლმწიფო პრემიის ლაურეატმა აბესალომ ვეკუამ უამბო. ბატონ აბესალომს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ვეწვიეთ აღმოჩენაზე სასუბროდ.

აბესალომ ვეკუა: — ორიოდე კვირის წინ მუზეუმში ჩემი კოლექა და უმცროსი მეგობარი ზურაბ გამყრელიძე და არქიტექტორი თამაზ დვალი მოვიდნენ. ჩვეულებრივ საწერ ფურცელზე გადაღებული რომელიდაც ცხოველის ტერფის ნაკვალევი მოიტანეს. მართალია, სურათი ბუნდოვანი და ძნელი გასარჩევი იყო, თუმცა ნაკვალევის ფორმის მიხედვით ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ საქმე სენსაციურ აღმოჩენასთან გვქონდა.

— ნამდვილად სენსაციურთან?

— დიახ, ნუ მოგვერიდება ამის თქმის. სი-



აკადემიის აბესალომ ვეკუა



ხინანის მია, საერთო ხედი ხინანთა სწელის ხეობიდან (დასავლეთიდან). უკანა პლანზე — ხინანის ციხის ერთ-ერთი კოშე. წითელი რვოლით შემოსაზღვრულია პრეისტორიული დათვის ხაფუტურის აღმოჩენის ადგილი. მამაზ დგალის ფოტოები

მართლე გითხრათ, არ მიყვარს ამ სიტყვის უმიზეზოდ ხსენება, მაგრამ პალეონტოლოგიაში მუშაობის ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება ამჯერად მაძლევდა ხმამაღალი გაცხადების უფლებას. ნაკვალევი ამ ზედაპირული მონაცემებით, ჩემი მოსაზრებით, წარმოადგენდ მტაცებლის ტერიტიის ანაბეჭდს კარგად შესამჩნევი ხეთი თითოთ და ზოგიერთ თითზე მოზრდილი ბრჭყალის კვალით. მაგრამ ცხოველის სახეობის დადგენა მხოლოდ უშუალოდ ადგილზე მუშაობით გახდებოდა შესაძლებელი.

— როგორ მაკვლიერებ პრეისტორიულ ანაბეჭდს ამ სიმაღლეზე?

— თამაზ დვალმა ნაკვალევი ამ ზაფხულს აღმოაჩინა ხინანის ციხის მიდამოებში. ციხის სარესტავრაციო ექსპედიციისთვის საპროექტო ანაზომების მოშაადებისას, ციხიდან ასთოდე მეტრის მოშორებით, საცალფეხო ბილიკის სიახლოეს, თამაზმა უზარმაზარ ლოდზე შენიშვნა მიუჩვეველი თვალისთვის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნაკვალევი. არქიტექტორისთვის ძნელი არ იქნებოდა მასში პრეისტორიული კვალის დანახვა. ნაკვალევი უზარმაზარ ლოდზე იყო გამოსახული, რომლის ად-

გილიდან დაძრა და ტრანსპორტირება გაძნელდებოდა. ასეთი აღმოჩენის უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლებოდა. გადავწყვიტეთ, აღილზე მივსულიყავით და თუ ლოდის წამოდებას ვერ მოვახერხებდით, იქვე გვეცადა ნიმუშის რაობის გარკვევა. მაგრამ სანამ მუზეუმში მინიებსპეციიციისთვის ვამზადებოდით, თამაზმა მაცნობა, რომ სტუდია „არსის“ დახმარებით ლოდი თბილისში ჩამოიტანეს...

ეფექტი მართლაც წარმოუდგენლად დიდი იყო. ეროვნული მუზეუმის ეზოში შემოტანეს ლოდი, რომელიც თავისი გაბარიტისა და სიმბიოსის გამო, ექვსმა თანამშრომელმა ძლიერ გადმოიღო მანქანიდან. ეზოში ლოდზე მუშაობა თითქმის შეუძლებელი იყო და იძულებული ვიყავით, ნიმუშისთვის ზედმეტი ნაწილები მოგვეცილებინა. ლოდს ელექტრონერხით ზედმეტი ქანი ჩამოახერხეს და ნიმუში ჩემთან, სამუშაო ოთახში ავიტანეთ.

შემდგვი ეტაპი იყო ლოდის რაობის, მისი შემაღენლობისა და გეოლოგიური ასაკის გარკვევა. საქმეში ჩაგროვეთ ჩვენი გეოლოგები რუსუდან ჩაგელიშვილი და თამარ ბერიძე. მათი სავარაუდო „დიაგნოზით“, ქანი წარმოადგენდა ტუფს, მაგრამ ასაკის გასარკვევად

საჭირო იყო ქანის შლიფის დამზადება, რაც მუზეუმის პირობებში არ ხერხდებოდა. ისევ მეგობრების დახმარება დაგვჭირდა და კავკა- სიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, მურმან კვინიკაძემ და ნი- ნო ხუნდაძემ შლიფი ოპერატიულად დამზა- დეს და მოგვწოდეს. გეოლოგებმა დაადგინეს ტუფის შუა მიოცენური ასაკი და ნაკვალევი დაახლოებით 12-13 მილიონი წლის წინანდელ პერიოდს მიაკუთვნეს. დარჩა ჩემი საქმე, ცხო- ველის რაგვარობა გამერკვია. ნაკვალევის ფორმისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტე- რატურის მიხედვით, შედარებით ადვილად დავადგინეთ, რომ ნაკვალევი დათვის უგანა ტერფისაა, ხუთი ბრჭყალებიანი თითით. ასე- თი დათვი კავკასიის ტერიტორიაზე შუა მიო- ცენში, 12-13 მილიონი წლის წინ ბინადრობდა და მეცნიერებმა ამ დათვს ამჟიციონი დაარ- ქვეს. კავკასიაში ბინადარ დათვებს ქრისტება კა- კასიის ამჟიციონი (*Amphicyon caucasica*). მი- სი ტერფის სიგრძე იყო (ნაკვალევის მიხედ- ვით) 18 სანტიმეტრი, ხოლო სიგანე — 15 სან- ტიმეტრი.

შედარებისთვის, თანამედროვე მურა დათ- ვის ტერფის სიგრძეა 20-30, ხოლო სიგანე — 17 სანტიმეტრი. გამოდის, ნამარხი დათვი ზო- მებით საკმაოდ ჩამოუკარდებოდა მურა დათვს.

— საინტერესოა, როგორ „გამოიყურებო- და“ პრეისტორიულ ხანში ხიხანის ციხის მი- დამოები...

— როგორც ირკვევა, შუა მიოცენში, 12-13 მილიონი წლის წინ, ხიხანის ციხის მიდამო- ებში იყო ზღვის მეტხერი სანაპირო ზოლი, რომლის სიახლოეს ტყის მასივიც იქნებოდა (რა სახის მცენარეები ხარობდნენ, ამას მა- ლე დაგვიდგენენ პალინოლოგები), სადაც ბი- ნადრობდნენ ცხოველები, მათ შორის ამჟი- ციონიც, რომელმაც ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ქანები ნაკვალევი დაგვიტოვა.

— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია იმ მიდამოებში კიდევ აღმოჩნდეს მსგავსი პრე- ისტორიული ნაკვალევი?

— რა თქმა უნდა, ეს გამორიცხული არ გახდავთ ვთქმობ, კარგი იქნება, თუ იმ არე- მარეზე სამომავლოდ პალეონტოლოგიურ კვლევას წარვმართავთ. დარწმუნებული ვარ, ადვილი შესაძლებელია კიდევ არაერთი ნაკ- ვალევის აღმოჩენა...

* * *

ბუნებრივად, ხიხანის ციხითაც დავინტე- რესდით და რედაქტირაში მოვიწვიეთ ბატონი თამაზ დგალი, არქიტექტორი, ხიხანის ციხის რეაბილიტაციის პროექტის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და პრეის- ტორიული დათვის ნაკვალევის აღმომჩენი.

— ბატონო თამაზ, რას გვეტყვით ხიხანის ციხისა და მისი რეაბილიტაციის სამუშაო- ბის შესახებ?

— ხიხანის ციხე თურქეთის საზღვართან

დათვის
ნაფეურიანი
ლოდი
აზომებითი
სამუშაოებისას
ერთგულ
მუზეუმში





სოფელი ბაქო, ხიხანის ციხე, საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

მდებარეობს, არსიანის მთაგრეხილის ერთ-ერთი ქედის დასავლეთ კალთებზე, მდინარე სხალთის შენაკად ხირხათისწყლის სათავეში. იგი ძველი ქართული სათავდაცვო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. ციხის კომპლექსი მაღალი მთის თხემზე, დაახლოებით ოთხასი მეტრის სიგრძის მონაკვეთზეა განლაგებული. სამწუხაროდ, ციხის ნაგებობები ინტენსიურად ირდება, რის გამოც სრული განადგურების წინაშე დგანან, მათი დროული გამაგრება გადაუდებელ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს. პროექტით გათვალისწინებულია ციტადელის გალავნის კედლების შემორჩენილი ნაწილების კონსერვაცია და გალავნის არსებული კვალის მიხედვით, მთელ პერიოდებრზე, დანგრეული ნაწილის აღდგენა. გალავნის სამხრეთის კედელზე, რომლის მცირე მონაკვეთი თითქმის თავდაპირველ სიმაღლეზე დგას და შემორჩენილი აქვს საბრძოლო ბილიკის საყრდენი ძელების ბუდეები, მოეწყობა ხის საბ-

რძოლო ბილიკი და ალაგ-ალაგ რამდენიმე ქონგური — ორფერდა თავით. ქონგურებს აღვადგენთ ამავე ჭედელზე არსებული შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, იმ ნაგებობებს კი, რომელთა მხოლოდ კვალიღაა შემორჩენილი, ძეგლზე დაგვეგმილი არქეოლოგიური გათხრების პარალელურად დაგაკრინერვებით.

აღდგენითი სამუშაოების შემდეგ არა მარტო განახლდება ეკლესია, არამედ საჭიროდ მიგვაჩნია ახლო მომავალში მისი ამოქმედებაც. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ეკლესიის ორივე ფენის შემორჩენილი ნაწილის კონსერვაცია. შენობის განახლებული ნაწილი აიგება გვიანდელი ფენის წყობის მსგავსად. ტაძრის განახლებული და არსებული ნაწილები გაიმიჯნება დემარკაციული ხაზით.

— რა იცით ამ ეკლესიის ქუთარ-აღმშენებელთა შესახებ?

— აბუსერიძე ტბელის მიერ 1233 წელს დაწერილ თხზულებაში, რომელიც ძირითადად

ხიხანის ეკლესიის შენებლობას ეძღვნება, აღნიშნულა, რომ ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, მის შენებლობას ერისთავთ-ერისთავები, აბუსერისენი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ეკლესია აგებული ყოფილა სახელგანთქმული კალატოზის, ბოლოკბასილის მიერ. ტაძარი ნაშენი ყოფილა საკვირველი ოსტატობით, „დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატვირთავადცა მნიად შესაძლებელითა“.

— ალბათ განაახლებთ სხვა ნაგებობებსაც...


— რა თქმა უნდა. ეს იქნება ციტადელი, ანუ აღმოსავლეთის კოშკები, ხარო, სავარაუდოდ, აქვე არსებული სასახლე, მარანი (სხვათა შორის, გასული საუკუნის 50-იანი წლებისთვის ამ მარანში ათმიდე ქვევრი ყოფილა შემორჩენილი)... გაპირებთ მარნის შემორჩენილი კედლების გამაგრება-კონსერვაციას, დანგრეული ნაწილების აღდგენას. ნაგებობა ხის ძელებზე დაყრდნობილი მიწური ბანით გადაიხურება. მარნის ჩაქცეული ნაწილის მხარეს მოეწყობა რკინაბეტონის საყრდენი ბაქანი — ლითონის მოაჯირით, და შემინული კედელი — ინტერიერის განათებისთვის. განსაზღვრულია ნაგებობის როგორც თავდაპირველი, ისე გვაინდელი ფენის ნაწილთა კონსერვაცია...

— დასასრულ, რას უპირებთ პრეისტორიული დათვის ნაკალევის, უფრო სწორად, ქვას დათვის ნაფეხურის ანაბეჭდით?

— ამანებ ბევრს ვუკიქობთ, ჩვენი აზრით, სასურველია იგი დაბრუნდეს აღმოჩენის ადგილას, ხიხანის ციხისკენ მიმავალ გზაზე, სადაც აიგება მისი ექსპონირებისთვის შესაბამისი ნაგებობა.

P.S. პრეისტორიული დათვის ნაფეხური საქართველოს ტერიტორიაზე მესამე უნიკალური ნაკალევია. პირველი და საქვეყნოდ ცნობილია სათაფლიას დინოზავრების ნაკალევი; მეორე — თერჯოლის რაიონში, სოფელ საზანოსთან, მდინარე გუსას ხეობაში აღმოჩენილი ნიანგის ნაკალევი; მესამე კი სწორედ ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბაკოსთან ხიხანის ციხის მიდამოებში ნაპონი კაფკასიის ამფიციონის ნაკალევია!

სალომე შოშიტაშვილი



არქიტექტორი თამაზ დვალი

ხიხანის ციხე, ციტადელი, მეორე
კოშკი აღმოსავლეთიდან, ხედი
დასავლეთიდან



ვიკინგები საქართველოში და სასირათის პრძოლა



ცვერაში სახელანთხმაში ნოჩანებმა
მტავრება და თაძმის ხეობაში მაჩსეს ინვიცის

IX საუკუნის დასავლეთ ევროპის კათედრალებსა თუ მონასტრებში ჩშირად წარმოთქვამდნენ საფედრებელ ლოცვას: „უფალო, შენ დაგვიფარე ნორშანთა მძინვარებისგან“. ევროპული ქრონიკები ნორმანებად სკანდინავიიდან გამოსულ მეომრებს მოიხსენიებდნენ. მეომრენაირად, მათ გიკინგებსაც უწოდებდნენ.

საუკუნეთა განმავლობაში ისინი ცეცხლითა და მახვილით არბევდნენ ევროპის ქალაქებსა და სოფლებს. დღემდე მსჯელობებ მეცნიერები, რამ განაპირობა ვიკინგთა ასეთი წარმატება. სამხედრო შეიარაღებაში მათ რამე განსაკუთრებული იარაღი არ გააჩნდათ, ისევე იყვნენ აღჭურვილი, როგორც სხვა დასავლეთუ-



ვიკინგი (გარანგი) მეომრები ბრძოლისა

როპელი მეომრები. არც სამხედრო სტრატე-
გიასა და ტაქტიკაში შეუტანიათ ნორმანებს
რევოლუციური ცვლილებები. მათი წარმატე-
ბის ყველაზე დიდი საიდუმლო მდგომარეობ-
და ზღვაზე სწრაფ და მოხერხებულ გადაად-
გილებაში. ამიტომაცაა, რომ როცა გახსენებთ
ვიკინგს, სკანდინავიელ მეომარს, თვალწინ

უპირატესად გულადი მეზღვაური წარმოგ-
ვიდგება. ვიკინგები პატარა გემებზე ამხედ-
რებული, შენიდგვით, უცაპედად ესხმოდნენ
თავს მოწინააღმდეგეს. VIII საუკუნიდან მო-
ყოლებული, დღვეანდელი სკანდინავიის ტერი-
ტორიიდან ვიკინგთა სამხედრო აგრესია რამ-
დენიმე მიმართულებით წარიმართა: ნორვე-



ბაზანტიის იმპერატორის პირად დაცვაში მყოფი გარანტები. ითანა სკილიცეს მადრიდული ხელნაწერიდან

გიილნ და დანიილან გამოსულმა შეზღვაურებ-მა ძირითადად თანამედროვე გერმანიის, საფ-რანგეთისა და ინგლისის სანაპირო ზოლის აოხრებას მიჰყევს ხელი. შევდები აღმოსავლეთ ევროპის — კიევის რუსეთისა და სხვა სლავური სამეფო-სამთავროების დარბევით იყვნენ დაკავებული.

IX საუკუნიდან მოყოლებული, ნორმანები დიდი მდინარეებით კონტინენტური ევრო-ბის სიღრმეში იჭრებიან. ამავე დროს სკანდი-

ნავიელები ახერხებენ ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ პროვინციების დაპყრობას. ვი-კინგთა სამხედრო რაზმები პატარა გემებით, რომელზეც 50-დან 100 მეომრამდე ეტეოდა და რომლის ქიმზე ურჩხული იყო გამოსახული, თანდათანობით გიბრალტარის სრუტით ხელთაშუა ზღვის აუზში იკიდებდნენ ფეხს. სამხრეთ იტალიაში XI საუკუნეში ნორმანები საკუთარი სამეფოს შექმნა მოახერხეს.

გადმოცემით, 1000 წელს ნორმანმა მეზ-დგაურებმა თვით ჩრდილოეთ ამერიკამდეც კი მიაღწიეს.

X საუკუნის II ნახევრიდან ვიკინგთა მრა-ვალრიცხოვანი სამხედრო რაზმები მსახურობდნენ ბიზანტის იმპერატორის კარზე. ბერ-ძნები მათ ვარანგებად იხსენიებდნენ. კონ-სტანტინოპოლიში, ადგილს, სადაც ვარანგები — ვიკინგები ცხოვრობდნენ, ვაერინგჯა სკიფ-ტი ან ვაერინგჯა სეტა ერქვა. დაქირავებულ მეომრებს სასახლისა და იმპერატორის დაც-ვა ევალებოდათ. ბიზანტიაში ვიკინგები ძირი-თადად რუსეთის გაელით ხედებოდნენ. ეს არც არის გასაკირი, რადგანაც კიევისა და ნოვ-გორიოდის დაწინაურება, ხოლო შემდეგ კიე-ვის სახელმწიფოს ფორმირება ნაწილობრივ დაკავშირებულია ვიკინგებთან. პირველ რუს მთავრებსაც სკანდინავიური სახელები ერქვათ. ნაწილი მეომრებისა პირდაპირ კონსტანტინო-პოლში მიდიოდა სამხედრო სამსახურში, ნა-



ზემოთ ბაზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX-ის (1042-1055) მონეტა. ქვემოთ აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) მონეტა



წილი ჯერ კი ვეში ჩაღიოდა, ხოლო რაღაც დროის შემდეგ ბიზანტიაში გადადიოდა. იმპერატორის კარზე მყოფი რაზმები იუსტინიაში სიცილიაში დამკვიდრებულ ნორმანთა სარჯზეც.

ქართველებს ვიკინგთა არსებობის შესახებ სწორედ ბიზანტიელებისგან უნდა გაეოთ. ქართულ წყაროებში მოხსენიებული სახელი „ვარანგ“ ბერძნული სახელწოდების ადგეპატურია. ამავე პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები ჰქონდა სლავურ სამყაროსთან, სადაც ვიკინგები მეტად პოპულარული იყვნენ. ასე რომ, სკანდინავიელი მეომრების ბრძოლისუნარინობის, შემართების შესახებ ქართველებს უტყუარი ცნობები ექნებოდათ. სწორედ ამან განაპირობა კიდევ XI საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილება, დაექირავებინა ვიკინგები — ვარანგები აჯანყებული კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ.

XI საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში საშინელი ძმათამკვლელი ომი იყო გაჩაღებული. ცენტრალური ხელისუფლება საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მეთაურობით და განდგომილი ფეოდალი — ლიპარიტ ბაღვაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ.

პირველობის მოსაპოვებლად. ამ ომმა შესვენებებით თხუთმეტ წელიწადს გასტანა.

1041 წელს მოხერხდა დაპირისპირებულ მხარეთა დაზაფება, მაგრამ მშვიდობა ქვეყანაში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1045 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიელთა მხარე დაიყვა და ბაგრატ IV-ს ანისის სომხური სამეფო დააკარგვინა. ამ ფექტით ძმათამკვლელი ომის ახალი ეტაპი დაიწყო.

იმავე წელს მოწინააღმდეგებმა თუკი აარიდეს ერთმანეთთან პირისპირ ბრძოლას. როგორც ბაგრატ IV-მ, ისე ლიპარიტ ბაღვაშმა ძალების მობილიზაციის ტაქტიკა არჩიეს. ლიპარიტმა დასახმარებლად ბიზანტიელებს უხმო. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი იმ დროს ბიზანტიიდან საშმობლოში მიმავალ ვიკინგებს დაუკავშირდა, რომელთა ნაწილი 1043 წელს კონსტანტინოპოლიზე რუსთა თავდასხმაში მონაწილეობდა. მათ, ბიზანტიელთა მიერ დატყვევებულებმა, სამი წელიწადი გაატარეს ტყველობაში. იმპერატორის ბრძონებით ტყვევრუს-ვიკინგთა ერთი ნაწილი დაასახიჩრეს.

დაქირავებული ვარიაგები პირველად რიონის დინებით სოფელ ბაშში დაპანაკდნენ. ბაგრატ IV-მ საქართველოში სულ 3000 ვიკინგი მოიწვია. გადამწყვეტ ბრძოლაში მეფებმ მხოლოდ 700 ვარიაგი წამოიყვანა. როგორც

კლდეკარის ციხე — ლიპარიტ ბაღვაშის რეზიდენცია





ვიკინგების ხომალდი და ქვეთი მეომარი (თანამედროვე რეკონსტრუქცია)



ჩანს, დარჩენილ 2300 კაცს, მძიმე ტყვეობისებან ძალაგამოლეულებსა და დასახიჩრებულებს, ბრძოლა აღარ შეეძლოთ.

ლაშქარმა ლიზის მთა გადმოიარა და დღევანდელი კასპის რაიონში, სოფელ სასირეთის ჭალასთან დაიბანაკა. ლიპარიტ ბაღვაში მოპირდაპირებდ, მდინარე თემის მარცხენა მხარეს იყო გამაგრებული. ბრძოლის დროებას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ბაგრატ IV კადველოდა დამატებით ძალებს მესხეთიდან, მაგრამ ამ დროს საკუთარ სიმამაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა, სარდლობასთან შეუთანხმებლად იერიში მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე. ამან საქართველოს მეფე იმულებული გახადა, ბრძოლაში ჩართულიყო. ქართველი მეძატანე გაკვირვებით აღნიშნავს: „გარანგები მესხებს აღარ დაელოდნენ და ლიპარიტს შეუტიეს“. კლდეკარის ერისთავს ბიზანტიელთა გარნიზონები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმდვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშერის დამარცხებით დასრულდა. ვეროპაში სახელგანთქმულმა ნორმანებმა მტკვრისა და თეძ-

მის ხეობაში მარცხი იწვნიეს. ლიპარიტ ბაღ-
გაშმა ვიკინგებს სამარცხვინო სასჯელი მიუ-
საჯა. მათ პური გააცხრილვინა, შემდეგ კი, ბაშ-
ში დაბანა კულტულ თანატომელებთან გაისტუმ-
რა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა ვიკინგებისგან
უმთავრესი პირობა მიიღო, რიონის ნაპირებ-
თან დაბრუნებისთანავე ისინი დარჩენილ 2300
მეომართან ერთად საქართველოს უნდა გაც-
ლოდნენ. ეს იყო ერთადერთი სამხედრო ეპი-
ზოდი, როცა ვარიაგები საქართველოში იმყო-
ფებოდნენ. სასირეთის ბრძოლას შეიძლება ის-
ტორიაში არც დაეკავებინა ისეთი გამორჩეუ-
ლი ადგილი, რომ არა მასში ვიკინგთა მონა-
წილეობა. ამის შემდეგ კიდევ ათ წელიწადს ლი-
პარიტ ბაღგაში და ბაგრატ IV უწინდებურად
განაგრძობდნენ დაპირისპირებას, მაგრამ ვა-
რიაგების მოწვევა არც ერთ მხარეს აღარ გახ-
სენებდა. ვიკინგი-ვარიაგი საქართველოში უძ-
ლეველი მეომრის სინონიმად ვერ იქცა, ხალხს კარგა ხანს ემახსოვრებოდა პურის საკზმავად
(პურის გასაცხრილად) დამსხდარი ვარიაგე-
ბი, რომელთაც საშმობლოში დაბრუნება მხო-
ლოდ ლიპარიტ ბაღგაშის გულმოწყალებით
მოახერხეს.

ვაპა სამუშაო



ვიკინგების ხომალდი და მეომარი

სასირეთის ჭალის სანახები,
საღაც ბრძოლა გაიმართა



ომის ღმართები ჩრდილოეთის მიწაჲილან



კიკინგის ქანდაკება ტრონდეჰიმის ფიორდის შესასვლელში, ნორვეგია

„აქ იწყება ამბავი მოულენათა შესახებ, რომელიც ჯერ არ ამოშლითლა ხალხის მეტსიერებიდან. ზოგიერთია ამ ამბებისგან მისი დასრულებიდან მკლე ჩაიწერა და არაფერო დამატებია, მაგრამ, შესაძლოა, ეს წიგნი წაიკითხონ იმათ, ვინც მასში მოთხრობილის შესახებ გაცილებით მეტი იციან და იტკვიან, რომ ბევრი მნიშვნელოვანი რამ აკლია. ამიტომ, დაუ მათ ინებონ დაწერონ იმაზე, რაც გამორჩენილია, თუკი ინებებენ“.

„საგა სვერინე“, 1220-1230 წწ.

ქადაქ ბაიეში (ნორმანია, საფრანგეთი), საგანგებო მუზეუმში გამოფენილია XI საუკუნეში ამოქარგული გომელენი-შპალერი. სელის ტილოს სიგრძე 68,38 მეტრია, ხილო ზოლის სიმაღლე — 48-53 სმ. გომელენზე გამოსახულია სამხადისი ინგლისის დაპრობისათვის და პასტინგ ზის ბრძოლა



ისინი ჩრდილოეთიდან ზღვით მოუიდნენ. დრაკონის შემხარავი გამოსახულებით კიჩო-დამშვენებული ხომალდი ტალღებს მიაპობდა. ბერელ დამეში ჩირალდანთა შუქი მკრთალად ანათებდა გებბანზე მდგომ მუქ ფიგურებს. მაღალი, ჯჭური ჩრდილოელი გადმოხტა. გრძელი, უღალი წევრი დაქანა, თვალები მრისხანებული სამოსი მუხლებამდე სწოდებოდა. მარჯვენა ხელი ხმლის გადაზე ედო....

ვიკინგები — ასე ეძახდნენ ნორვეგიულად მეკობრებს. ეს იყო ერთ-ერთი კულტურა და ომისმოყვარე ხალხი, ვისაც კი მსოფლიოს ცივილიზაციებზე იერიში მიუტანა. მათი სისწრავე, შეუდარებელი სიმამაცე და მძინარება, მუდმივი მზადეოფნა ხელჩართულ ბრძოლაში ჩასართვად შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეს. 840 წლიდან მათ ცხენების ხომალდებით გადაყვანა დაიწყეს, რითაც საშუალება მიეცათ, სანაპიროზე თავდასხმის შემდეგ ქვეყნის სიღრმეში მოწინეობით მოულოდნელი რეიდები.

სხვადასხვა ვერსია არსებობს ვიკინგთა მოულოდნელი გამოჩენის შესახებ VIII საუკუნეში. ამაზე იმოქმედა დემოგრაფიულმა ფაქტორებმა და ევროპაში სტაბილური, მდიდარი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, როგორიც იყო კაროლინგების იმპერია. მიმდინარებდა გაცხოველებული ვაჭრობა, რაც ხელს აძლევდათ მეკობრებს და ისინიც ამ შანსს მოხერხებულად იყენებდნენ. მუდამ ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებსა თუ ვაჭართა ხომალდებს. ამასევ უკავშირდება სკანდინავიაში გემთშენებლობის სწრავი განვითარება.

ზღვების მპრანეგლები

ვერ წარმოვიდგნოთ ეპოქის იმაზე უკეთეს სიმბოლოს, როგორიც ვიკინგთა დრაკრია. ეს სიმბოლო ვიკინგებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისინი მას საფლავებზე, ქვებსა და მონეტებზე გამოსახავდნენ. ვიკინგთა სიყვარული თავიანთი გემებისადმი სიკვდილის შიშე ძლიერი იყო — ამაზე მეტ-

„სასახელო“ მქსპურისი

ანგლოსაქსებისთვის ვიკინგები წარმართები, დანიელები ან უბრალოდ, ჩრდილოელები იყვნენ. ტერმინი „ვიკინგი“, საკრაულოდ, მოღის საქსური სიტევიდან WIC (სამხედრო ბანაკი), თუმცა არის სხვა ვერსიებიც. ფრანგული წეროები მათ ჩრდილოელებს ან ნორმანებს უწოდებნ, გერმანული კი Ascomanni-ს (იგივე „გმენ“, ანუ ნოშვას იყანს), რაღვენ ვიკინგთა გმები იფინის ზისგანაც შადევებილა, თუმცა ძირითადდ ამ დაპრობელთა ხომალდება გამბლე მუხის ზისგან იკვრებოდა. ესპანელ მუსიკები ვიკინგებს წარმართ ჯალოქრებს უწოდებდნენ, სლავები — RUS (შესაძლოა Rotsi-დან, რასაც ფინელებს შვედებს უწოდებდნენ), ბისანტიილები იცნობდნენ მათ როგორც Rhos (ბერძნული ზედსართულიდან წითური, ვიკინგთა წითური კარგნობის გამო) ან Varangoi (საკრაულო, ძვლესკანდინავიური სიტევიდან Var — ფიც). ვიკინგებს ერთგულების ფიცის დადების ტრადიცია აქონდათ. მხელოდ ირლანდიელები, რომლებიც ვიკინგებს Lochlannach-სა (ჩრდილოელებს) და Gaill-ს (უცხოები ან უცხოელები) უწოდებდნენ, ცდილობდნენ გაერჩიათ ერთმანეთისგან დანიელები (Dubh-gaill — შავი უცხოელები) და ნორვეგიელები (Finn-gaill — თუთა უცხოელები). ზოგიერთ სხვა წეაროში ვიკინგები დანიელებად, ნორვეგიელებად და შვედებად მოიხსენიებენ. მაგალითად, აღმა ბრძმენელი 1075 წელს წერია: „დანიელები და შვედები, რომელთაც ჩვენ ნორმანებს უწოდებთ ან ჩრდილოელ ხალხს...“, ასევე ის სხინის, რომ „დანიელები, შვედები და დანის სხვა ხალხები (მათ შორის ნორვეგიელები) მოიხსენიებან ნორმანებად“. ამიტომ, როცა ანგლოსაქსონური წყარო მოიხსენიებს ვიკინგებს dene-დან ან Dani-დან, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად დანიიდან უნდა ყოფილიყვნენ. სიტევა ვიკინგის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითად კურსა სიტევა Vic, რაც ფურუს ნიშავს და აქეს ის საბაზი, რომ ვიკინგები მეკობრები იყვნენ და სანაპიროს ფურუში იმაღლებოდნენ, საიდანაც შემდევ სწრაფ რეიდებს აწყობდნენ. არის კრისა, რომ ტერმინი ვიკინგი შეიძლება მოდიოდეს სიტევიდან Vlk — გეოგრაფიული სახელწიფება ნორვეგის ერთ-ერთი ნაწილისა, ან Vlg — ბრძოლა. სკანდინავიურ ხელნაწერებში Viking მეკობრებას ან მეკობრულ თავდასხმას ნიშნავს, ხოლო აღმარინი, ვინც ასეთ რეიდში მონაწილეობს — Vikingr-ია.





ვიკინგების ხომალდების გამოჩენა აღვილობრივ მცხოვრებლებს ხმელეთის ნებისმიერ ნაწილში ცუკრდა თავზარს



ოსებერგში აღმოჩნდილი ხომალდის დანარჩენები

ყველებს გოკსტადსა და ოსებერგში აღმოჩნდილი ხომალდების ნაშთები. გაფრცელებული წესი იყო გმირულად დაღუპული მეომრის თავისივე ხომალდთან ერთად სამგლოვიარო კოცონზე დაწვა. ვიკინგები დახელოვნებული იყვნენ როგორც სამხედრო, ისე საგაჭრო-სამოგზაურო გემების მშენებლობაში. ხომალდის ასაგებად საუკეთესო იყო მუხის მასალა, თუმცა გამოიყენებოდა ცაცჭვი, იფანი, ტირიფი და არყის ხე.

ვიკინგთა სამხედრო გემებს დრაკარები ანუ დრაკონები მათ კჩოზე გამოსახული დრაკონის თავის გამო უწოდეს. ამ ტიპის გემები გრძელი ხომალდების სახელითაცაა ცნობილი. მისი სიგრძე 35-დან 60 მეტრამდე მეტრებიდან და ხშირ შემთხვევაში 36 წყვილი ნიჩბით იმართებოდა. ამგვარად დრაკარს 12-14 კვანძი სიჩქარის (1 კვანძი — 1,852 კმ/ს = 0,5144 მ/წმ) განვითარება შეეძლო, რაც ამ ზომის ხომალდისთვის შესანიშნავი მაჩვენებელი იყო. გრძელი გემის აფრა ჩრდილოური ჯიშის ცხვრის მატყლისგან შეადგინდა. მის ზედაპირს ქონით პოხავდნენ, რათა წყლით არ გაედგნთილიყო. აფრას მართვულობის დროს კვადრატული ფორმა ჰქონდა და გამოსადევი



იყო ზურგის ქარის დროს. გემის ეს განუყოფელი ნაწილი ძვირად ფასობდა, რადგან მის დამხალებას ორ ტონამდე მატებლი სჭირდებოდა. გემბანზე დაახლოებით 100-150 მეტრური და ჯარისკაცი იმყოფებოდა, თუმცა ლაშქრობებისას შეიძლებოდა მეტი მეომრის წაყვანაც. ასეთ დროს დრაკარი სანაპიროს დიდი მანძილით არ სცილდებოდა და ეკაპაჟი ღამით ხმელეთზე ბანაკდებოდა, სადაც ადვილი იყო წყლისა და საკეტის მომარაგება. დრაკარი ვიკინგისთვის მეორე სახლს წარმოადგენდა. აქ ეკაპაჟის ყველა წევრს გააჩნდა ადგილი, სადაც პირად ნივთებსა და იარაღს შეინახვდა. გემის დაბალი კორპუსი მორთული იყო პატრონის გემოვნების მიხედვით, ძირითადად სხვადასხვა ფერის საბრძოლო ფარით. ვიკინგები ამაყობდნენ თავიანთი დრაკარუბით. ისლანდიურ საგებში ხომალდთ რამდენიმე სახელწოდებას ვხვდებით — „მხიარული ცხენი“, „მებრძოლი დრაკონი“, „ბიზონი, ოკეანის დამხლევა“, „დიდი გველი“ (ეს უკანასკნელი ალბათ მითურ მიდგარდის გველს უკავშირდება). ატლანტის ოკეანის ასეთი გემებით ვიკინგებს შეეძლოთ ხანგრძლივი ლაშქრობები წამოწყოთ და ახალალმოჩენილი მიწების კოლონიზაცია მოქმედინათ. სწორედ ხომალდები იყო ვიკინგთა მთავარი იარაღი მათი ლაშქრობების პერიოდში.

ზღვაოსანი სკანდინავიულების ცნობიერებაში წარმართობა ღრმად იყო გამჯდარი. ისინი თავვანს სკემდნენ ოდინს — უზენაეს ღვთაებას, განსაკუთრებით კი თორს — ელვისა და ჰექა-ქუხილის ღმერთს, გმირ მეომარსა და მიღგარდის გველის — მეზღვაურთა ლეგენდრული, საშინელი მეტოქის დაუძინებელ მტერს. თორი უძლიერესად მიიჩნეოდა ყველა ადამიანსა და ღმერთს შორის, მისი ძალის ნაწილი ჩადგებული გახლდათ ჯადოსნურ ქამარში, რომელიც წელს ერტყა. ჰექა-ქუხილის ღვთაების იარაღი იყო საომარი ურო — მიოლნირი (ძვ. სკანდ. გამანადგურებელი). მიოლნირის საშუალებით თორი ახერხებდა, გოლიათებისგან დაეცვა ადამიანები და ღმერთები. რაგნაროკის უკანასკნელ ბრძოლაში იგი



თორის საომარი ურო — მიოლნირი



გველაზე მეტი ქა რუნული დამწერლობით (ანბანი, რომელსაც გერმანიული ენებისივის იუგნებდნენ ლათინური ანბანს შემოღებამდე) ვიკინგებმა დატოვეს





ლინდისფარნის მონასტერი ირლანდიულმა ბერმა წმინდა აიდანმა დააარსა, რომელიც კუნძულზე 636 წელს, ნირითუმბრიას ანგლოსაქსი მეფის, ოსკალდის მიწვევით ჩაიდა. მონასტერი ვიკინგებმა 793 წელს ააონდეს, როცა ისის ბრიტანეთის კუნძულებზე პირველად გამოჩნდნენ.

დაუპირისპირდება მუდმივ მტერს — მიდგარდის გველს და გაიმარჯვებს, თუმცა მოწინააღმდეგის შხამის ზემოქმედებით ცხრა ნაბიჯის გადადგმის შემდეგ დაიღუპება.

კოლონიზატორ სკანდინავიულთა გემებს კნარი წერდებოდა და განსხვავდებოდა დრაკარისგან. მას მაღალი კორპუსი და მეტი ტევადობა ჰქონდა. ამას გარდა გააჩნდა საკმარისი სიმყარე, რათა ატლანტის ოკეანის მძინარე ტალღებისთვის გაეძლო. კნარის სიგრძე დაახლოებით 16,3 მეტრი იყო, სიგანე — 4,5, სიმაღლე კი 2 მეტრს აღემატებოდა. კორპუსის ცენტრში 30-35 კვედა ადგილი საშუალებას იძლეოდა, ხომალდზე 24 ტონამდე ტვირთი მოეთავსებინათ. კნარის ეკიპაჟს სულ ხუთი-რვა მეზღვაური შეადგენდა. ხანგრძლივი მოგზაურობებისთვის, როცა ხომალდი გაშლილ ზღვაში მიემართობოდა და არა სანაპიროების მახლობლად, საჭირო გახლდათ საკმარისი სურსათ-სანოვაგისა და კოლონიზატორთათ-

ვის აუცილებელი ნივთების წაღება და ამ ამოცანის გადაჭრა ასეთი ტიპის გემს შევძლო. კნარი მირითადად აფრის სარჯზე მოძრაობდა, განსხვავებით დრაკარისგან, რომელსაც ნიჩებიც ჰქონდა. ცნობილმა ვიკინგმა მოგზაურებმა, მაგალითად ერიკ რაუდამ (დაახლ. 950-1003 წწ.) გრელანდიასა და მისმა ვაჟმა ლაიფერიქსონმა (დაახლ. 970-1020 წწ.) ჩრდილოეთ ამერიკას კნარებით მიაღწიეს. მათ შესახებ ცნობები შემონახულია ორ წყაროში, ესენია: „საგა ერიკ წითურის შესახებ“ და „საგა გრენლანდიელებზე“.

„შინულის“ ზვავი საპარავიდან

ანგლოსაქსონურ წყაროებში არის ინფორმაცია ვიკინგთა პირველი შემოტვებისა და ამ შემოტვების პირველი მსხვერპლის შესახებ. ოთხი წლის შემდეგ, 793 წელს ვიკინგები ლინდისფარნის კუნძულზე მდებარე მონასტერს



დაესხნენ თავს. არაოფიციალურად მას წმინდა კუნძულსაც უწოდებდნენ, როგორც ინგლისის გაქრისტიანების ერთ-ერთ აკანს. VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ირლანდიელმა (კელტმა) ბერებმა აქ შექმნეს ცნობილი ლინდისფარნის სახარება ლათინურ ენაზე. „უფლის ტაძრის ძირებიანად დანგრევა საშინელ სისხლის ღვრასა და ძარცვასთან ერთად მიმდინარეობდა. აქამდე ბრიტანეთს მსგავსი საშინელება არ ეხილა, როგორიც ამ წარმართმა ტომებმა მოაწევეს, — წერდა სწავლული ალკაინი, — ის აზრიც კი, რომ შემოტყვა ზღვიდან მოხდებოდა, წარმოუდგენელი იყო. წმინდა კათბერტის ეკლესია უფლის მსახურთა სისხლით მოირწყა, პრაქტიკულად კველაფერი მოიპარეს, ბრიტანეთის ეს უდიდესი წმინდა ადგილი წარმართთა მსხვერპლი შეიქნა“.

თავდაპირველად ვიკინგთა ლაშქრობები ცალკეული და უმნიშვნელო გახსლდათ და ძირითად სამიზნეს სანაპირო დასახლებები და საყაფრო ექსპედიციები წარმოადგენდა. მალე ისინი მიხვდნენ, რომ ასე ცოტა ნადავლი რჩებოდათ, ამიტომ თავდასხმათა რაოდენობა და მასშტაბი გაზარდეს. დაუნდობელი და სასტიკი ლაშქრობები სამას წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ვიკინგები სწრაფი, მანევრული და ბრტყელობირიანი გემებით თითქმის ყველანაირ სანაპიროზე ახერხებდნენ გადასვლასა და სამიზნეზე თავდასხმას. როცა მტრის ჯარისკაცები გამოჩნდებოდნენ, მათ თვალწინახორცებული და გადაწყვარი დასახლება და უკვე ზღვაში გასულ ვიკინგთა ხომალდის მკრთალი ლანდი წარმოუდგებოდათ.

პირველი რეიდების შემდეგ ხომალდები უფრო წინ და წინ მიაწვდნენ. დალაშქრეს საურანგეთი — 845 წელს პარიზი გადაწვეს, 885 წელს კი ალფა შემოარტყეს, თუმცა ვერ აიღეს და ესპანეთ-პორტუგალიით, გიბრალტარით გადავიდნენ ხმელთაშუა ზღვაში; მიაღწენენ ჩრდილოეთ აფრიკას, იტალიასა და მის კუნძულებს, კრეტასა და მცირე აზიას ნორმანთა ბატონობა ვრცელდებოდა სიცილიასა და სამხრეთ იტალიაზე. ისინი ხშირად უპირისპირებოდნენ ბიზანტიელებს. ვიკინგთა სხვა ჯგუფები ფარერის, ჰემპტონის, შეტლანდისა და ორ-



უძლიამ დამპყრობლის ქანდაკება ფალეზში, ქვემო ნორმანიაში, მისი დაბადების ადგილას

ქნის კუნძულების კოლონიზებას ახდენდნენ. მათ მიაღწიეს გრეხლანდიას, ისლანდიასა და ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებსაც კი.

789 წელს უესექსის მეფე ბეოტრიკმა ცოლად მერსიის მეფე ოფას ასული ედბიური შეირთო. მისი მართველობისას ინგლისში პირველად გამოჩნდა ნორმანთა სამი ხომალდი ხარდალანდიდან. ადგილობრივი მოხელე ეახლა მათ, რათა ისინი მეფის მამულებში მიედო, თუმცა არ იცოდა, ვინ იყვნენ უცხოელები. იგი მოკლეს. ეს ხომალდები დანიელ ვიკინგებს ეკუთვნიდათ, რომელთაც პირველად მოაღწიეს ინგლისს. შემდეგი თავდასხმა ზემოთ ნახსენებ ლინდისფარნის მონასტერზე მოხდა 793 წელს. მალე დანიელი ვიკინგები — ინგლისელთა მიერ დანებად წილდებულები, დაუუფლენენ იორკს, მოკლეს ნორთუბბრიის მეფე ელა და გაბატონდნენ ინგლისის დიდი ნაწილში.

ათწლეულების შემდეგ უესექსის მეფე ალფრედ დიდმა მოახერხა მათი შეჩერება, თუმცა





ერთ-ერთი რუნული „ინგვარის ქა“, სადაც წერია:
„ეს ქა ტოლამ აღმართა თავისი შეიღისა და
ინგვარის ძმის — პარალიტის სახსოვრად. ისინი
მამაცურად წვიდნენ იქროსთვის და აღმოსაფლეთში
დაუცუნენ ამასიდების მიწებზე“



დამთვალიერებლები ბაიეს მუზეუმში

ქვემოთ მოცემულ მასშტაბში, სული სახით, კომელინი ჩვენი უკრძალის ზუსტად 26 გვერდს დაიკავებდა

ცა დანების გავლენა მაინც ვრცელდებოდა ე.წ.
დენლოში (Danelaw) — დანიური უფლებების მხარეში. მათი ყველაზე დიდი მეფე იყო კნუტი დიდი, რომელიც 1018-1035 წლებში მართავდა დანიას, ნორვეგიას, შვედეთსა და ინგლისს. მის შემდეგ დანიური გავლენა ნელნელა დასუსტდა და ინგლისელებმა მოახერხეს გათავისუფლება. 1066 წელს ინგლისის მეფე ჰაროლდ გოდვინსონს ჯერ ნორვეგიის მამაც, მძღვანელი და ამბიციურ მეფესთან, ჰარალდ პარლრადასთან მოუხდა დაპირისპირება და სასტიკად დაამარცხა. სულ რაღაც 19 დღის შემდეგ კი ნორმანების ჰერცოგ უილიამთან ჰასტინგსის ბრძოლაში პაროლიდი დამარცხდა და დაიღუპა. ინგლისი ნორმანებმა დაიპყრეს და თავიანთი დინასტია დააარსეს.

ირლანდიაში ნორმანებმა ფეხი პირველად 795 წელს დადგეს, 839 წელს მათ უკვე დამოუკიდებელი სამეფო დააარსეს, დედაქალაქით არმში. ვიკინგების სახელს უკავშირდება ქალაქ დუბლინის დაარსება, რომელსაც ისინი ორას წელზე მეტხანს აკონტროლებდნენ.

ბალტიის ზღვიდან — საქართველომაზე

ჯვაროსნულ ომებში ნორმანებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობას ერთ-ერთი წინამდღორლი, ბოკემუნდ ტარენტელი, სამხრეთი იტალიელი ნორმანი იყო. ასევე რობერტი, ნორმანების ჰერცოგი, უილიამ დაპყრობლის ვაჟი. მათ დიდი როლი შესარეცხულ ლაშქრობის წარმატებაში. ბოკემუნდმა ანტიოქიაში თავისი დინასტიაც კი დააარსა, რომელიც დიდხანს მართავდა ამ ჯვაროსნულ სახელმწიფოს. ვეროპის ისტორიაშიც საკმაოდ ღრმად მიდის ნორმანთა კვალი, ღროთა განმავლობაში კი მათ სრული ასიმილაცია განიცადეს.

შევდი ვიკინგების მოქმედების არეალს ძირითადად ბალტიის ზღვა წარმოადგენდა. ისინი მდინარეების მეშვეობით რუსეთამდე და ბიზანტიამდეც კი აღწევდნენ, სადაც მათ გარანებს უწოდებდნენ. 860 წელს ვარანგები პირ-





კიკინგი მეომრის აღჭურვილობა

ველად გამოჩნდნენ ბიზანტიაში. 970 წელს კიკინგის დიდი მთავარი სვიატოსლავ იგორევიჩი ვიკინგი და სლავი მეომრების დრუჟინებით შეეცადა გამაგრებულიყო ბალგანეთის ნახევარკუნძულზე. ბიზანტიელმა იმპერატორებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთ გვარდიაში განსაკუთრებით ბრძოლისუნარიანი და გამოცდილი გარანგების ჩარიცხა. XI საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს, ერლის მაღალი არისტოკრატიული წოდების მატარებელმა ინგვარ მოგზაურმა უკანასკნელი ვიკინგური ლაშქრობა მოაწყო კასპიის ზღვის მიმართულებით და აღმოსავლეთ საქართველოში მოხვდა, სადაც საქართველოს მეფე ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ IV ბალვაშს შორის დაპირისპირებაში ჩაერია, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. ცნობილი ინგლისელი სამხედრო ისტორიაში „ომების ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ რუსეთის დიდი მდინარეების მეშვეობით ვარანგები დრმად აღწვევლნენ შავი და კასპიის ზღვის სანაპირო-

ებამდე და ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ორთოდოქსულ, ისე ისლამურ სამყაროსთან.

999 წელს ოლაფ წმინდამ ნორვეგიელ ვიკინგებში ქრისტიანობა გაავრცელა. რელიგიამ ნორმანთა შემდგომ ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა. შეწყდა გამუდმებული ლაშქრობები და მცირე მძარცველური რეილები. ჩამოყალიბდა სახელმწიფოები, რომელთაც მეფეები მართავდნენ. გაჩნდა ურთიერთობები ვეროპულ ქვეყნებთან და წარმართული ვიკინგთა სამყარო ნელ-ნელა ქრისტიანული ვეროპის ნაწილი გახდა. იმავდროულად, განვითარებულმა გემთმშენებლობამ და ახალი საჯაჭრო გემების უკეთესმა დაცულობამ, ვიკინგური ფლოტიც გააქრო ზღვებიდან. მან ფუნქცია დაკარგა და ისტორიის ნაწილი გახდა. მიუხედავდ ამისა, ვიკინგებმა მოახერხეს ღრმა კვალი და ეტოვებინათ შუა საუკუნეების ისტორიაზე, მათი სახელი და დიდება საუკუნეებს შემორჩა.

ნიკა ხოზვარია



თავისკორამს კირიონ საქაგლივოში ერთი უცნობი ცერილი

ხელნაწერთა ერთგულ ცენტრში დაცულია კირიონ სამაგლიოში მნიშვნელოვანი და საინტერესო წერილი, რომლის აღრუსატია ტარასი კანდელაქი. ცნობილია, რომ კირიონს მეფის რუსთის სასულიერო ხელისუფლება და ის მრავალ წელიწადს გადასახლებაში იძყოვებოდა. 1908 წელს კირიონი დაითხოვეს უეპარტიოდ და კურიაჟის მონასტერში გაგზავნეს, კურიაჟიდან — სანაქსარის უდაბნოში. სანაქსარის უდაბნოში კირიონი გადაიყვანეს ხერხონის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა 1915 წლამდე. კირიონ სამაგლიოში წერილი 1914 წლის 30 ოქტომბრით თარიღდება. ეს ეპისტოლუ ხერხონის მონასტერში უნდა იყოს დაწერილი.



გაისკოპონი კირიონ სამაგლიოში

XX საუკუნის დასაწყისში დაწერილ წერილში ლაპარაკია რუსეთის საიმპერატორო კარზე მყოფ იმ პირებზე, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. ზოგიერთი მათგანი ჩენინთან ცარიზმის დაყრობით პოლიტიკას ზედმიწვნით ახორციელებდა. ასეთი იყო იოანე ვოსტორგოი, რომელიც ქართველთა გარუსებას ცდილობდა და ქართული ეკლესიის აფტოკეფალიის აღდგენას წინააღმდეგიბოდა. მას საეკლესიო სკოლებიდან ქართული ენის სრული განდევნა სურდა.

კირიონ II-ის
ეპისტოლა
სამედინ
ტამარში



სსენტულ ეპისტოლები ვიგებთ კირიონის უარყოფით დამტკიდებულებას ამ პირებისადმი, რაც მისთვის უწევეულო ლექსიკითაც გამოიხატება. წერილის ამგვარი სტილი და მანერა განპირობებულია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ქმედებებით. წერილში ვკითხულობთ, რა პერსპექტივებსა და გზებს სახავს ქართველი სასულიერო მოღვაწე საქართველოს გადასარჩენად. კირიონი რეალურად და ობიექტურად აფასებს სხვა ერების მიერ საქართველოს დახმარების მცდელობას და წერს, — ამოდენა სისხლის ღვრაში პატარა ნაციებისთვის არავის სცხელათ. წერილში ფურადდებას იქცევს ინფორმაცია, რომელიც ქება გრიგორი რასპუტინის კირიონი წერს, რომ გრიგორი რასპუტინი არის სექტანტი (ხლისტი) და მას დიდი გავლენა აქვს რუსეთის სამეფო კარზე.

ეს წერილი ერთგარი წყაროა, რომელიც აცოცხლებს XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მოაზროვნე ქართველთა ნაფიქრს, ნააზრევს და მათ დამოკიდებულებას საქართველოში არსებული საჭიროობობრივი საკითხებისადმი.

კირიონ საძაგლიშვილის ეპისტოლე იბეჭ-
დება უცვლელად.

* * *

ტარასი!

ვ. კ. საბლერი ყოფილიყო ხელმწიფესთან
მოხსენებაზედ და სხვათა შორის მოქსენები-
ნა, რომ ჩემი ამხანაგი დამანსკი ავად არისო.
თურმე მას ხანდისხან აუიწყდება, ვის ელაპა-
რაკება. საბლერის მოხსენება გაეგოთ სასახ-
ლის ქალების ნახევარში და ჩოჩქოლი შესდგო-
მოდათ. საქმე იმაშია, რომ ობერ-პროკურო-
რის ამხანაგი დამანსკი გრიგორი რასპეცი-
ნის დახმარებით და შეცადინებით არის და-
ენებული ამ მაღალ თანამდებობაზედ. მეო-
რეთ საბლერი რომ ყოფილა ხელმწიფესთან,
საყვედური მიუღია: თქვენ სწორეთ არ მომახ-
სენებთ ხოლმეო, მაგალითად — დამანსკი საღ-
სალამათი ყოფილა, თქვენ კი ავადმყოფად
გჩვენებითო.

როდესაც სინოდში ვისმეს საქმე გაუჩნდე-
ბა, მაშინვე მიპმართავს გრიგორი ეფემიჩ რას-
პუტინს და ის სწერამს დამანსკის: Пет्रус,
помоги ему და ისიც მაშინვე ურიგებს საქმეს.
აქაური აკადემიის პროფესორი, მწვალებელ-
თა მცოდნე, ნასომხარი აივაზოვი, ვოსტორ-
გოვის ქვისლია. ამას ეთქვა: გრიგორი რას-
პუტინი ნამდვილი ხლისტია (მწვალებელი),
ამაზედ საქმეც ყოფილა თურმე სინოდში დაწ-
ყობილი, მაგრამ დამანსკის ხელში ჩაუგდია
ეს ქაღალდი და მსვლელობას არ აძლევსო.
ეველა ეს ამბები გადმომცა პროფესორმა ი.
ე. ესევეგმა.

დღეს ვოსტორგოვზედ დაბეჭდილია, რომ
იგი მძიმე ავადმყოფია. რუსული ანდაზაა:
Собаке собачья смерть.

ცხრა კაპეიკიანი მარკებით მომივიდა შე-
ნი უკანასკნელი წერილი და ზედ მეტი არა-
უერთ გადაუხდვენებიათ.

სიმფონია ვიყიდე ლოპუხინისა. რაც აქა
ვარ ოთხი თუმნის წიგნები მეტი მიყიდნია. ჩემი
ბიბლიოტეკა ძალიან გამდიდრდება.

ლონდონში ეთქვათ პროფ. ა. ა. ცაგარე-
ლისთვის, რომ საქართველოზედ კითხვა კარ-
გი კოზირია იმპერატორი ვილგელმის ხელ-
შიო, თუ რიგიანათ გამოიყენაო. ეს გარემო-
ება ჩვენებს საგონებელში აგდებსო, მაგრამ
ეს ტყეული ფაქრია, ამოდენა სისხლის ღვრა-
ში პატარა ნაციებისთვის არავისა სცხელა.

„ზურგგაფუჭებული ცხენი ცაში კაჭკაჭს და-
ინახამსო“, — სწორეთ ამაზედ არის ზედ გა-
მოჭრილი.

მომწერე წელს მთვარისა რამდენი ზედნა-
დება, მე ამათი კალენდრისა არა მწამსრა.
ჩემი წიგნები გადარჩა წერა-კითხვის ბიბლი-
ოტეკაში თუ არა? შენი წერილი 117 ზაპანი
ბატალიონის შტემპელით დღეს მივიღე, წე-
რილების დაკარგვაზედ შენს მოსაზრებას ვე-
რა ვსთანხმდები, გაარიდე, სიფრთხილეს თა-
ვი არ ასტკივაო... ჭავჭავაძის თხულება ეცა-
დე გაუგზავნო გორში დეკანოზს იოანე კაპა-
ნაძეს და ის უფრო ადვილად მიწვდის შაქ-
როს.

ვოსტორგოვის ჩაძალებამ იქნება ჩემთვის
კარგი შედეგი იქონიოს. შავრაზმელებს თვით
და თავი ბურჯი ეცლებათ ხელიდან და ტარ-
ტაროზებთან მიესწრავებათ.

ეპისკოპოსი კირიონი
1914 30/X

მითივან ხითარიშვილი

არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი



ფარაონის რამზეს მესამეს უცლი გამოშროვება?



ფარაონ რამზეს
III-ის მუმია.
თანამედროვე
ფოტოსურათი



რამზეს III-ის სკულპტურა მედინეტ-აბუს ტაძრში



რამზეს III-ის და მის შვილის გამოსახულება
ძველებულებურ კედლის მხატვრობაზე

ფარაონი რამზეს III შეთქმულებმა მოქმედეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეგვიპტის მმართველს ეყლი გამოშროვეს და ამის დასტურად ბოლო კვლევის შედეგები მოჰყავთ.

„რას რჩეულის“ მუმიის ბოლო კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ ეყლის არეში დიდი ნაჭრი-ლობები აღმოაჩინა, რომელიც სიკვდილის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

ფარაონის სიკვდილის რეალური მიზეზი ათასწლეულების განმავლობაში სახვევებს მიღმა იმაღლებოდა, რომელიც მუმიის შესანარჩუნებლად აუცილებელია. ისტორიკოსები დიდი სხის განმავლობაში დაობდნენ, რა გახდა ფარაონის სიკვდილის მიზეზი.

ძველ დოკუმენტებში, მათ შორის ტურინის პაპირუსში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1155 წლით თარიღდება, საუბარია სასახლის გადატრიალებასა და შეთქმულებაზე, რომელიც ტახტიდან ფარაონის ჩამოგდებას ისახვდა მიზნად. გადატრიალებაში ეჭვმიტანილი იყო რამზეს III-ის ერთ-ერთი ცოლი. ოუმცა დაესხნენ თუ არა ფარაონს თავს და თუ ასეა, რით დასრულდა თავდასხმა, ბოლო დრომდე უცნობი იყო. მკვლევართა ნაწილის გარაუდით, შეთქმულთა თავდასხმა შედეგიანი აღმოჩნდა, ზოგიერთის აზრით კი XX დინასტიის რიგით მეორე ფარაონი თავდასხმას გადაურჩა.

შორეული და ბურუსით მოცული მოვლენებისთვის სინათლის მოსაფენად, გერმანელმა პალეონტოლოგმა ალბერტ ცინქმა რამზეს III-ის მუმია შეისწავლა. ეკვიპურში, კაიროს მუზეუმში მუმიაობისას, სადაც ამჟამად ფარაონის სხეული ინახება, მკვლევართა ჯგუფმა მუმიის კომპიუტერული ტომოგრაფია და დნმ-ის ანალიზი ჩატარა. შედეგად გაირკვა, რომ მუმიას ეყლის არეში ღრმა და ფრთი, 7-სანტიმეტრიანი ნაჭრი-ლობები აქვთ. მედიკოსა აზრით, ჭრილობა ბასრი დანით არის მიუყენებული.

„ადამიანებს, რომლებიც ბალზამირებას აკეთებდნენ, შეეძლოთ ფარაონის სხეული გაეკვეთათ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ჭრილობა, რომელიც ტომოგრაფია დაფიქ-სირა, მათ მიერ იყოს მიუყენებული“, — გნაცხადა ალბერტ ცინქმა.

BBC-ის მასალების მიხედვით

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მთხოვნელი



თაროვადიდგათ დიდ საყვარელო ციფრულობაზე

შეაგროვე ამჟამი და გაემარი „დისენსარის ცენტრისადის“

4 ტომავალი საკუთარი ხალით !

დისენსარის დიდი ენციკლოპედიის ოთხი ტომი, ოთხ, განსხვავებული ფურის, ყუთში მოექცევა, თითოეულ ყუთში (ანუ ტომში) 16 წიგნი მოიყრის თავს.


ყოველი ეს წიგნი კი ახალი სამყაროა.

პირველი ტომის პირველი წიგნი სპეციალურ ყუთთან ერთად გამოვიდა, რომელიც მთელი პირველი ტომის წიგნები უნდა მოათავსოთ.

ნიგნის ფასი
2 ლარი



ყოველ მოსახათს!



გეიმინგი დისენსარის ცენტრიადი:

კართულ ენაზ ან ინგლისურ ენაზ

და გაეცანი უჩვეულო

გაიცანი სამყარო და თან დახვეწენ

მოვლენებსა და

ინგლისური, ყოველ მომცემობი ტომთან

საინტერესო ფაქტებს

ერთად აიძალეთ კინის ცოლის საფეხური

თან 16 ფინანსურირებული განაკვეთის მიზანისად
ნაკლი ვერსა!

იკითხეთ ნიგნის მაღაზიაში და არესოს გამარტინაში!

წითელი ფირალი

— დათიკო

გავარდნაძე

*XX საუკუნის დასაწყისის ე.წ. მეორე
ტალღის ფირალები რადიკალურად
განსხვავდებოდნენ წინა პერიოდის
თანამომშებისგან. ისინი, როგორც
გურულები იტყოდნენ, „დამცემი
ფირალები“ არ ყოფილან. მათ მხოლოდ
პირობისად შეიძლება კურნილოთ
ფირალები, რაღაც თავიანთ
წინამორბედებს მხოლოდ გარეული
ნიშან-თვასებებით წაგავდნენ —
მთავრობისგან დღვნილი, ტყეში იყენებ
გვარენილი. ისინი ასაფეროებებით
მასალებით მაუზერებითა და მარჯსისტული
იდებით შეარაღებული მებმბოხე-
ტერორისტები გახდოდნენ, ყოველ წესას
შხად ძოფი, არსებული ხელისუფლება
დაქმხოთ და თვითონ გაბატონებულიყვნენ,
რაც რამდენიმე წლის შემდეგ მშვენიერად
განახორციელას კიდევ.*



დათიკო შევარდნაძის ერთადერთი შემორჩენილი
ფოტოსურათი

მეორე ტალღის დირსშესანიშნავი წარმო-
მადგენელი დათიკო შევარდნაძე დაიბადა სო-
ფელ ასკანაში 1875 წელს. გადმოცემით, „შე-
გარდნაძე ლომი იყო... ვისაც არ ჰყავდა ნახუ-
ლი და უცბათ ნახავდა, იფიქრიბდა, რომ აგი-
ო ქნება შევარდნაძე“. სკოლის დამთავრების შემ-
დევ ოზურგეთის პროგიმნაზია დაამთავრა, შემ-
დევ კი სამ წელიწადს მუშაობდა ნოვოროსი-
ისქმი პორტის მუშების უფროსად. ბრწყინვა-
ლევ იცოდა ოუსული ენა. სხვადასხვა დროს,
გურიის მაზრაში ე.წ. მწერლად მსახურობდა.
პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული
და ლექსებსაც კი წერდა. აი, მისი ერთი ლექ-
სი „ამხანაგებს“:

მტარვალების ტლანქშა ძალად
გადორმავდო მიხღორ-კელად,
მოდი ძმებო და კიბრძოლოთ
ქწყველოს შესაცელელად.
ხალხს კუსურვოთ, რომ შეიგნონ,
რომ არვინ ჰყავს მას მაშველად,
გარდა ერთი თავის თავის
გამოსხველელი ბრძოლის კოლად.

საჭიროა შეკრთხვა

კალათების შემმუსირელად,
ძირს, ძირს დავხცეთ მუქიახორა,
ჩვენვე დავდგეთ ჩვენდა მცველად.

მოგვიანებით თავის ცოდნას რევოლუციონერებს ახმარდა — ხან ყალბ პასპორტებს აშანავდებდა, ხან კიდევ სხვადასხვა საჭირო საბუთს.

როგორც ამბობენ, შევარდნაძე შესანიშნავი ჩუბინი იყო, — აბრეშუმის ძაფს არტყამდათ. მაუზერით შექმლო ტელევიზოს მავთულის გაწყვეტა. ერთ-ერთი გადმოცემით, ბავშვები ტელევიზოს მავთულს ესროლნენ და ვერ ახვედრებოდნენ თურმე. ეს დაუნახავს დათკოს და უთქვამს, თუ გინდათ რომ მოარტყაოთ, ქვედა მავთულს უნდა დაუმიზნოთო. ეს თქვა, დააძრო გურული ფირალების საყვარელი მაუზერი და ერთი გასროლით გაწყვიტა მავთულით. ერთხელ შეხედადა რომელიმე საგნს და ხელუანობა მიზანში არტყობდათ. მისი ცოლი გულიზე იხსენებდა: „ერჯელ დამთვრალიდო და დამაჩქმდა: დადგირი, გზოში,

კვერცხს დაგადოფ თავზე და ტყვია თუ მუახ-
ვედრო კვერცხსო... ვარი არ გამიყიდა. დაზო-
მა სამოცი ფქის ნაბიჯი, დამადგა თავზე კვერ-
ცხი, ესროლა ტყვია და კვერცხი თავიდან გა-
დააგდო“.

ხალხში მასზე ღვევენდები დადიოდა: შე-
ვარდნაძე მოწუსხულია, ტყვია ვერაფერს და-
აკლებსო. ერთხელ გაიგეს, ბაზმაროში იმა-
ლებოდა, მის ასაყვანად პრისტავი სტრაჟნი-
კებთან ერთად წავიდა. გზაში შევარდნაძე დახ-
ვდა და შესძახა, გაგწყვიტავთ ფველისო. შე-
შინებული სტრაჟა კუდამოძეუბული უკან გაბ-
რუნდა. ოზურგეთში მისვლისას კი თავის მარ-
თლება დაიწყეს, თავს ხო არ მუაკლიებდით
იმ გადარეულს... გაგწყვეტო, პირში ზარბა-
ზანი ქონდავო. ამის შესახებ ხმა დაირჩა და
ფველა დათიკოს ქუმრებოდა, ბიჭო, პირში
ზარბაზანი რუქ ქქონდა, რა უყავიო.

ბოლშევიკი თენგიზ უღენტი იხსენებდა,
სოფელ ბასილეთში შევარდნაძეზე უშედგო
თავდასხმის შემდეგ პოლიციის სამსართვე-
ლოში, სადაც მას და სამსინ კალანდაქეს პოლ-
კოგნიკი შჩებელსკი ჩვენებას ართმევდა, შე-
მოვარდა ვინმე ქავერაძე და ხმამაღლა დაი-
ძახა, შევარდნაძისთანა რომ ხუთი კაცი რო

გვევდეს, ფველა სოციალ-დემოკრატს გავა-
ნადგურებდით.

შევარდნაძეზე გურიის რევოლუციურმა
კომიტეტმა სამჯერ მოაწყო ტერაქტი, მაგ-
რამ უშედგოდ. არადა, როგორც წესი, კომი-
ტეტის მიერ მიზანში ამოღებულ მსხვერპლს
არაფერი შველოდა! მასზე ნადირობა ხან კო-
მიტეტის, ხან კი ხელისუფლების მხრიდან
მუდმივად გრძელდებოდა. ერთხელ ასკანაში
სტრაჟნიკი ჩაუსაფრდა, მაგრამ შევარდნაძემ
დაასწრო და მოკლა. ამის გამო სოფელში ეგ-
ზეგუცია ჩააყენეს და მოსახლეობას უზარმა-
ზარი გადასახადი შეწერეს. შევარდნაძე მოთ-
მინებიდან გამოვიდა და პრისტავს წერილი
მისწერა: „...აგი წერილი მიიღოთ თვარა, მა-
შინათვე დატიეთ ასკანა, თვარა სულყველას
ამოგხოცავთ. თუ ჩემი შეხვედრა გინდებათ,
პარასკევს ჩამუალ ჩოხატაურში და დამ-
ხთიო...“ პრისტავმა მიიღო თუ არა წერილი,
იმავე დღეს გაიპარა ასკანიდან. შევარდნაძის,
როგორც ცეცხლისა რომ ეშინოდათ, ამას ერ-
თი ფაქტიც მეტყველებს: მთვრალ შევარდნა-
ძეს დუქნის ყაფაზე ეძინა. ჩამოიარა ურიად-
ნიკბა რამდენიმე სტრაჟნიკთან ერთად. ნაბად-
ზე წამოგორუებული დათიკი რომ დაუნახავთ,

გურია, წითელრაზმედები დროშით





გურულები, XIX-XX საუკუნეების მჯნა



უკანმოუხედავად გაქცეულან. გლეხებმა დათიკი გააღვიძეს — თაგს უშველეო. ფირალმა სტრაჟნიკებს ერთი მაგრად შეუკურთხა და მეორე მხარეს გადატრიალდა. ერთხელ კი შევარდნაძე თავის ამქრებთან ერთად კანცელარიას დასხა თაგს. შეშინებული პრისტავი კალანდია ბუხარში დამალულა.

ჩოხატაურში ვინმი მახარაძე კომიტეტის დაგალებით ტერორისტობდა. მან მოკლა ჯაშუში შალიკაშვილი, რომელიც დათიკო შევარდნაძის ნათლია იყო. იმ პერიოდში შევარდნაძეს დავალებული პქონდა ჯაშუშ ქამჯარაძის მოკვლა. შევარდნაძის ცოლის გულიჩქას მოგონებით „...ერთ უქშე დღეს დათიკო და გოგიტიძე წევიდა ეკლესიაზე ქამჯარაძის სასიკვტილოთ. ქამჯარაძე ვერ ნახებ...“ უკანა გზაზე იქიფეს და მთვრალები სიმღერ-სიმღერით მოდიოდნენ. შევარდნაძეს მუსიკალური სმენა არ პქონდა, მაგრამ აპყვა გოგიტიძეს. გზაში მათ მახარაძე შეხვდათ სიმღერარომ გაიგონა, გაეცინა: „რა კაი ხმა გამოდის...“ გოგიტიძეს ეს ქანინა და მახარაძეს წაეჩიუბა. ჩსუბი ურთიერთსროლაში გადაიზარდა: გოგიტიძე დაიჭრა, მახარაძე კი დაიღუპა. მახარაძის მკვლელობა დათიკოს დააბრალეს, ყველა ფიქრობდა რომ ეს ვენდეტა იყო. კომიტეტმა მას სიკვდილი დაუნიშნა.

სოფელ ბახვის გზაზე შევარდნაძეს ჩაუსაფრდა ორი ტერორისტი — პორფილე გოგიძე და ბასილია. ბასილიას დაუძახია შევარდნაძისთვის, დაგვნებდიო. იგი გაიქცა. ტერორისტები გამოეკიდნენ, მოულოდნელად შევარდნაძე მოტრიალდა, ბასილიას ესროლა და მკრდში დაჭრა. დაჭრილი იქვე მდებარე ბორცეზე აიყვანეს და დაწვინეს. ხალხი შეგროვდა, მოუიდა პრისტავიც. შევარდნაძეც იქვე ტრიალებდა. საქმის გაგების მიზნით პრისტავმა შევარდნაძეს გამოკითხვა დაუწყო. შევრდნაძემ უპასუხა: „მე არაფერი ვიცი, გზაში მოუიდოდი, ვინცხა დამსხო და სროლა ამიტქა, მეც ვესროლე, მარა იგი გეიქცა და უცბათ ამ მართალ კაცს მოხთა ტყვია...“ პრისტავმა შევარდნაძეს დაუჯერა. როგორც ირკვევა, ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილა და თავდამსხმელი გადარჩა (თუმცა მოგვიანებით ბასილია ყაჭიიშვილთან ერთად ტუაფსეში ფოსტაზე დაცემისას მოკლეს). იმ საღამოსვე შევარდნაძე მისულა დაჭრილ ბასილიასთან დაუკითხავს, რატომ მდვინიოო.



გერული
ჯორალები

ერთხელ შევარდნაძეს ჩოხატაურის ბაზარში დაესხნენ თავს. „...ვიღაცემა დაპა ჩოხატაურის ბაზარში თოფი ესროლეს დათიკო შევარდნაძეს და ორ ალაგას დასჭრეს — ხელსა და მკლავში. მან ეშმაკობა იხმარა და თავი ისე გადაირჩინა. „დათიკოს ნაბადი ქონდა და ამ ნაბადით გადირჩინა თავი. ნაბადი ფეხზე გააჩერა, თვითონ გაქრა და გეიქცა. დამხოურებს ეონა, ნაბადში იქნებავო და დუშმინეს ტყვია“.

ჩოხატაურში სპეციალურად გუბერნატორი ჩამოყიდა და შევარდნაძეს მოსთხოვა, გაეცა თვედამსხმელები. სანაცვლოდ პირდებოდა სამსახურს და ფულად ანაზღაურებას, ხოლო ასკანასა და ჩოხატაურს გადასახადი დაუწესეს, რათა დამხდურები გაეცათ. ამ ხერხმა ვერ გაჭრა და გუბერნატორი ოზურგეთში გაბრუნდა. შევარდნაძემ პრისტავს უთხრა, ამ ხალხს ტყუილად ნუ აწალებთ, მოხსენით გადასახადით. გულიხეა იხსენებდა: „...ვეთხარი: რეიზა არ ჩივი შენი მკვლელების სახელს-მეთქი... მე შპიონათ ვერ დავდგები, თოფის მსროლელს ვერ გაუცემო“. კომიტეტმა რომ ნახა, შევარდნაძემ ისინი არ გასცა, მოსარიგებლად შვიდი კაცი მიუგზავნა. მას მადლობა გადაუხადეს და საკუთარი დანაშაული აღიარეს.

მალე შევარდნაძე დაპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. ერთხელ ციხის ეზოში ყოფნისას მოკლული მახარაძის ნა-

თესავს მისთვის დაუყვირია — მოღალატევ, ჯაშუშო, კაცის მკვლელოო. ამაზე დათიკოს გული მოსვლია, — პრაფაგაციას ნუ ავრცელებო. ამ საქმეს ნათელი რომ მოფენოდა, კომიტეტმა გამომიება დანიშნა და შევარდნაძის სიმართლე დაამტკიცა.

1905 წელს შევარდნაძემ ციხე დატოვა. უცნობია, ის გაათავისუფლეს თუ გაიქცა, ყოველ შემთხვევაში, მალე წითელი რაზმის ასისთავად მოგვევლინა. მოკლედ, წარსულში დევნილი შევარდნაძე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას შეუერთდა და მისი ყველაზე განთქმული და საშიში წევრი გახდა.

შევარდნაძე ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური იყო ნასაკირალთან გამართული ბრძოლისა. 1905 წლის 20 ოქტომბერს, ოზურგეთიდან 14 კილომეტრის მოშორებით, სოფელ ნასაკირალთან წითელრაზმელებმა კაზაკებს

XX საუკუნის დასაწყისის ეწ. მეორე ტალღის ფირალები რადიკალურად განსხვავდებოდნენ წინა პერიოდის თანამომეუბისგან. მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვერცხლით ფირალები. ისინი ასაფეთქებელი მასლებით მაუზერუბითა და მარჯვის სტული იღებით შეიარაღებული მემბოზე-ტერორისტები გახლოდნენ.



Недавно въ Гурии при преслѣдованиї убить стражниками давно уже разискивавшіеся администрацией почти легендарный среди горцевъ Киніа Мамулашвили. Администрация вынуждала ему въ ини по- кушение на жизнь соплеменника, стражника и цѣлый рядъ другихъ террористиче- скихъ актовъ.

Коююа მამულაძევის ლიკვიდაციის ამბევ

სანქტ-პეტერბურგში გამომავალ უზრნალ

„ოგიათუება“ გამოქვებდა

გურული მუხადი



ბრძოლა გაუმართეს, დაამარცხეს ისინი და უკუგდეს. სხვადასხვა ცნობით, კაზაკებს მო- უკლეს 10 კაცი, 14 დაჭრეს და 6 ტყვედ წაიყ- ვანეს. გურულებს კი მოუკლეს ერთი კაცი და ორი დაჭრეს. ოზურგეთის რაიონის წითელრაზ- მელთა ბიუროს თავმჯდომარე ბესარიონ რუ- სიძე აღნიშნავდა: „ვიცნობ ამხანაგ დათიკო ერდოშელის ძე შევარდნაძეს 1904 წლიდა. მან 1905 წელს მიიღო აქტიური მონაწილეობა ნა- საკირალის შეტაკებაში პლასტუნებთან, სა- დაც ამხანაგ საშა აბოლაძესთან ერთად ჰყავ- დათ მუშათა რაზმები და აწარმოებდნენ ბრძო- ლას“. შევარდნაძე აქტიურად მონაწილეობდა რაზმის წევრთა გაწვრთნა-მოშვადებაში.

1906 წლის ბოლოს შევარდნაძე, როგორც რევოლუციური მოძრაობის კველაზე აქტიუ- რი და თვალსაჩინო წევრი, მონაწილეობს წი- თელრაზმელთა ერთიანი წარმომადგენლების შეკრებაში, რომელიც კახეთში გაიმართა.

როგორც თვითმხილველები აცხადებდნენ, შევარდნაძისა და კიკა მამულაძევილის მაუ- ზერს ვერავინ გაექცა. სხვადასხვა წლებში შე- ვარდნაძემ სიცოცხლეს გამოასალმა ხიდის- თავის მამასახლისი თავართქილაძე, ჯამუში სიმონიშვილი, ახთაძე, სიამაშვილი, სტრაუნი- კების მეთაური აჭარელი ქუცურ-ბეგი და სხვე- ბი. ეს უკანასკნელი მან ტერორისტ მათია- მშვილონ ერთად ბერებულში ერისთავის სა- სახლის წინ მოკლა.

შევარდნაძის დაჭრიის ან მოკლისთვის მთავრობამ 800 რუბლი დაწესა. ჯილდოს მი- ღების ბევრი მსურველი გამოჩნდა, მაგრამ ვე- რავინ მოიხელთა განთქმული ფირალი. ერ- თხელ მოწამლეს კიდევაც, მაგრამ გადარჩა. კა- ნი, როგორც ლეღვი გაგირჩვია, ისე ძვრებო- დაო, — ისე შენებდა მისი მეუღლე.

მთავრობამ ბოლოს მაინც მოინადირა და- თიკო შევარდნაძე, ორი ოჯახი, ჭელიძე და სი- ამაშვილი ცდილობდნენ მის დაჭრას. შევარ- დნაძე გრძნობდა საშიშროებას და ბინას ბი- ნაზე იცვლიდა. ერთხელაც, დამის გასათევად მოსე ჭელიძესთან მთვიდა. იქ სუფრა გაიშალა და დათიკოს მოწამლული არაყი დაალვეინეს.

მეორე, კოტკა დავლიუ,

კერ ძევაქციი თვალ-უკრი;

სტაქანი რომ გამესინჯა,

მე არ ვიყავი დოხტური!

ამის შესახებ მემუარებში წერდა საქარ- თველოს ექსპრეზისტი ედუარდ შევარდნა-

ქეც: „მახსენდება მამაჩემის ბიძაშვილი დათიკო (დავით) შევარდნაძე, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში — ნასაკირალში, 1905 წელს აჯანყებულთა რაზმს მეთაურობდა. ისიც ჰქონდარიტი გმირი იყო, მაგრამ დამარცხდა და თანამებრძოლებითან ერთად ტყეს შეაფარა თავი, სადაც ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, მაშინდელი ხელისუფლების მოსყიდულმა პირმა მოწამდა“.

მოწამდული დათიკო შეუძლოდ შეიქნა თურმე. დილით კი, წასვლა რომ დააპირა, ნახა, რომ „ვინტოუკაში ხუთივე პატრონა უკუღმა იყო ჩაწყობილი. აგი ვინ ქნავო, იკითხა დათიკომ. აგი მე ვქენო, ვიმასხრევო, უთხრა მოსეს მევორუ ძმამ, ფერია ჰქლიადემ“. მისი სახლში გაჩერება უნდოდათ, იცოდნენ, რომ პრისტავი სტრაჟნიკებთან ერთად უპავ ჰქლიდის სახლისებუ მიიჩქაროდა. დათიკომ თავისი არ დაიშალა და გაეიდა, ჭიშკართან კი ყვითლად აღებინა. მაშინ უთქვაშს, ნამდვილად მოწამდული ვარი. იძღვნად იყო დასუსტებული, თოვფი თავის თანმხელებ პატარა ბიჭს გადასცა. თვითონ კი მოლტე დაწოლას აპირებდა, სული რომ მოეთქვა. ამ დროს შეხვდა ბიქაულსა და სტრაჟნიკებს. შევარდნაძემ თოვფი მოიმარჯვა და უთხრა: მე არაფერს გერჩით, ჩაიარეთ, თავს ტყეულია უბრალოდ ნუ შემომაკლავოთ. არც ჩენ გერჩითო, — უპასუხეს სტრაჟნიკებმა და გვერდით ჩაუარეს. როცა შევარდნაძე გორაკს მოეფარა, მათ ფირალს ზურგში დააგარეს ტყვია. სასიკვდილოდ დაჭრილს მანც მოუსწრია რამდენჯერმე გასროლა, ერთი ცხენი მოკლა და სტრაჟნიკი დაჭრა.

ცნობილი ფირალი, მელქისედეკ გუნთაიშვილის ძმა საკუთარ მემუარებში წერდა: „გუნთაიშვილმა წაიყვანა მისი რაზმი დათიკის სასაფლაოზე და რეზი უთხრენ სამგლოვაროთ და თოვებით გაისროლენ მგლოვისაოვინ“. გუნთაიშვილმა ლექსიც კი უძღვნა დაღუპულ მეგობარს.

სტრაჟნიკების სროლის გამო გუბერნატორი ჩაიგდა ასკანაში, მოითხოვა დამნაშვერთა გაცემა და სოფელი 6.680 რუბლით დააჯარიმა. შევარდნაძის ცოლი და დედა წაიყვანეს ოზურგეთში დაკითხვაზე, მაგრამ მალე გაათვისუფლეს.

„...დღეს გურიაში ეაჩაღობის ნაცვლათ დადგა დრო დაფიქრების და შეგნების. სინათლემ გურიაში შეაშუქა, გამოაღვიძა და გააკ-



ოლიკო იმერლიშვილი და ერასტო ჯორბეგაძე

ვირცხლა ისედაც კვირცხლი გურულები“, — წერდა 1906 წელს გაზეთი „ძალა“. თუ რანაირად გააკვირცხლა გურულები, ეს კარგად გამოჩენდა მეორე ტალღის ფრალების — უბრალო მშრომელი, გამრჯვ კაცების მაგალითზე (ასე არიან დახასიათებული დათიკო შევარდნაძე, კიკია მამულაიშვილი, სიმონა დოლიძე, ერასტო ჯორბეგაძე და სხვები), რომლებიც ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მკვლელობისა და ტერორის გზაზე დააყენა.

ირაკლი გახარაძე



სიმონა დოლიძის
სახელი
საქართველოში
თათქმას ეკულას
სმენია

მისი ალმაზურის ქანთვილი ხელნაწერი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სანქტ-პეტერბურგში დაცული ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა. XV საუკუნეში შექმნილი ხელნაწერი უნიკალურია შინაარსით და გაფორმებით თორუნოვანი ძეგლი ღიატურგიკულ ტექსტებსა და მინიატიურების დამოუკიდებელ ციკლებს შეიცავს. მეცნიერთა აზრით, ხელნაწერი წარმოადგენს ერთადერთ კრებულს, სადაც ჩართულია ისეთი მინატიურები, რომლებიც მანამდე თავმოყრილი სახით არ გვხდება.

ანდერძი ხელნაწერს არ ახლავს, ამიტომ მისი გადაწერის ზუსტი აღგიღილი და დღრი უცნობია. ოუმცა მეცნიერთა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხელნაწერი ათონის მთაზე შეიქმნა.

გამოფენაზე მოეწყო აგრეთვე ალბომ „ქართული ხელნაწერის“ პრეზენტაცია. ის შოთა რუთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის, „ქართული ხელნაწერი წიგნის“ ფარგლებში დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

ალბომში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (A, H, S, Q) დაცული V-XIX საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნები და უცხოეთის (სინას მთა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო) ქართული კოლექციების ის ფოტომასალები, რომელთა გამოყენების უფლებასაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფლობს. მასში შესუ-



ლი ადიშის ოთხთავის მხატვრული ასლი შესრულებულია ავტორთა მიერ შედგენილი აღწერილობისა და მითითებათა საფუძველზე. ეველა ეს ხელნაწერი თვალნათლივ ასახვს წიგნის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ალბომი შეადგინეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ (რედაქტორი) და თამარ აბულაძემ. ალბომი გამზნულია ქართული წერილობით კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის და ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავრებისკობოსის, ბიჭვნითისა და ცხემ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

თემა ჯაფარიძე



გამოფენა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
მარც ხნიდან: ბერძნ კუდავა,
საჩერიასა და ჭათურის
მიტროპოლიტი მეუფე
დანიელი, გურამ ოდიშარია



პრძოლა უძველესი დინოზავრის სტატუსისთვის

პალეონტოლოგებმა უძველესი დინოზავრის ნამარხს მიაკვლიეს, რომელიც დაახლოებით 10-15 მილიონი წლით ადრე ცხოვრობდა, ვიდრე ყველა დანარჩენი სახობა. ამ აღმოჩენამ შეიძლება შეუსის ის ცარიელი ფურცელი, რომელიც გავანტური ქვეწარმავლების ფოლუციის სახში შეიმჩნევა.

მეცნიერებისთვის ადრე უცნობი იყო *Nyasasaurus parringtoni* (ასე უწოდეს ახალაღმოჩენილ სახეობას). ის ორი ფეხით გადაადგილდებოდა, 2-3 მეტრი სიმაღლისა იყო და 20-დან 60 კილოგრამამდე იწონდა. მეცნიერთა დასკვნები თუ სწორია, ეს ნიშნავს, რომ დინოზავრები ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 243 მილიონი წლის წინ გამოჩნდნენ.

აღმოჩენა ადასტურებს, რომ მრავალი მილიონი წელიწადი გვიდა პირველი გიგანტური ქვეწარმავლების გამოჩენიდან ხმელეთზე მათ სრულ გაბატონებამდე. „ის ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც არსებობდა ჩვენს წარმოდგენაში დინოზავრების ფოლუციის შესახებ“, — აცხადებს ლონდონის ისტორიის მუზეუმის თანამშრომელი პოლ ბარეტი.

მეცნიერები ვერ ბოლომდე არ არიან დარწმუნებული, რომ *Nyasasaurus parringtoni* უძ-

ველესი დინოზავრის სტატუსს იმსახურებს, რადგან მასი ნაშთები არასრულია და მხოლოდ ზედა ნაწილის ძვლებისა და ხერხებლის ექვემდებარებული მაღალისგან შედგება.

ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ პირველი დინოზავრები სუპერკონტინენტ პანგვას სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. კონტინენტისა, რომელიც შემდგვ დაიშალა სამხრეთ ამერიკად, აფრიკად, ავსტრალიად და ანტარქტიდად.

„ჩვენ სულ უფრო შორეულ წარსულში ვწვეთ დინოზავრების წარმოშობის დროს, იმ პერიოდში, როცა რეპტილიების ჯგუფის უმრავლესობის გამალებული ფოლუცია მიმდინარეობდა. დინოზავრები წარმოიშვნენ როგორც რეპტილიების ნაკლებმნიშვნელოვნი ჯგუფი, ისინი არცოუ დიდი ზომითა და მცირე რაოდენობით გამოიჩინდნენ. მხოლოდ მოგვიანებით ხდება მათი რიცხოვნობის მოუღლოდნელი აფეთქება და ისინი დედამიწაზე დომინანტებად იქცნენ. მათი ბატონობა დაახლოებით 100 მილიონ წელიდას გაგრძელდა“, — განმარტავს ბარეტი.

**მომხადგებულია The Daily Telegraph-ის
მასალების მაჟდვით**



ნიკორწმინდა

გალაკტიონი

ქაბათა-ქება ნიკორწმინდას...

მაქვს მკურდს მიღებული
ქარი, — როგორც მინდა —
ჩემთვის დიდებული
სხვი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაძშვენა
დიდი ნიკორწმინდა.
გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამჭარგავი
ნაზი შუქურ-თმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!
რა განბი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქეის პარმონია —
დარობს რამდი-დარი.
კარგად გამოპევთა,
ვინაც გამოპევთა
სიბრძნით გამოპევთა
მძლავრი ნიკორწმინდა.
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა!
გრძნობ — ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანთო
ნათლად ნიკორწმინდა.
ხვეულთ დიადება
ვზედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადება
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა
შიგ მიჰქარგ-მოჰქარგა
გზნება — ნიკორწმინდა!
მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება

არის ამოღემნილი —
ნატერის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმღიღრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი — ნიკორწმინდა.
შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
გელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი
გშვენის, ნიკორწმინდა!
მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფსეუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდვე ფრთები გინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!
შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი:
მძლავრი ხელოუნება,
ხალხის ხელოუნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!



მთავარი ტაძარი
და სამრეკლო





რაჭა თვალწარმტაცი და ამოუცნობი კუთხეა. იგი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ისტორიულ-გეოგრაფიულად რაჭა სამ კუთხედ იყოფოდა: მთის რაჭად, ზემო რაჭად და ქვემო რაჭად. რაჭას ოთხვე მხრიდან მაღალი მთები აკრავს: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით — ლიხის მთა, სამხრეთით — ნაქერალას მთა და დასავლეთით — სვანეთის მთები.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ამ ადგილს რაჭა ასეთი შემთხვევის გამო დარქმევია: ერთ ქართველ მონადირეს, რომელიც აქ პირველად დასახლებულა, ნაქერალადან გადმოუხედავს, განცვიფრულებულა როინის ვიწრო და ღრმა ხეობით, იგი ჭისთვის მიუმსგავსებია და წამოუძახია, — ეს რა ჭა ყოფილაო! ამის შემდეგ ამ მხარეს რაჭა დარქმევია.

რაჭა გამოირჩება ისტორიული ძეგლების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. XI საუკუნის ნიკორწმინდა, შუა საუკუნეების ხოტვი, XVIII საუკუნის ბარაკონი და მთისკალთა, მრავალძალის X-XI საუკუნეების ეკლესიები მცირე ჩამონათვალია ჩვენს წინაპართა მიერ შექმნილ მრავალ ტაძართა შორის.

უურნალი „ისტორიანი“ რამდენიმე ნომერში მკითხველს სთავაზობდა რუბრიკას „ისტორიული ტურიზმი“. ვაგრძელებთ ამ ციკლს და კონკრეტული ტურისტული მარშრუტების პარალელურად, ცალკეული ძეგლების აღწერილობას შემოგთავსზებთ ამჯერად ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში ვიმოგზაუროთ, სადაც მდებარეობს ამავე სახელწოდების უნიკალური ტაძარი.

X საუკუნის ბოლოს, რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ბრძანებით საძირკველი ჩაეყარა წმინდა ნიკოლოზის სახელბის დიდი ტაძრის შმენებლობას, რომელიც ამ საერისთავოს რელიგიურ ცენტრად იქცა.

ნიკორწმინდის ტაძარი ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრია. აგბულია XI საუკუნის დასაქმისში, 1010-1014 წლებში. ეს ის პერიოდია, როცა დიდი უურადღება ექცევოდა ფასადების დეკორაციულ გაფორმებას. სწორედ ამ მხრივ ნიკორწმინდის დეკორი ქართული მონუმენტური პლასტიკის მიღწევაა.

ძეგლს თავისი არსებობის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია. ეს კი იშვი-

პართული ხუროთმოძღვრების ძეგლები

ათობაა. ტაძრის გუმბათი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

XVI საუკუნეში იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის ხელშეწყობით ნიკორწმინდა განაახლეს. ამ ფაქტის დამადასტურებელია 1534 წელს მეფის მიერ ტაძრისთვის ბოძებული სიგელი: „ჩვენ მეფეთ მეფებან ბაგრატ... ხელ-ველით აღმენებად დაგრინებულისა მონასტრისა... და შევქმნენ საყდრად საეპისკოპოსოდ“. აქედან მოყოლებული, ნიკორწმინდა რაჭის საეპისკოპოსო ტაძრად მოხეხვია.

ნიკორწმინდის შესახებ ბევრი ისტორიკოსი თუ მოგზაური წერდა. XVIII საუკუნეში ტაძრი დაუთვალიერებიათ რუს ელჩებს, ტოლოჩანოვსა და იველევს. და ასე გადმოგვცეს: „გვემდზავრეთ ალექსანდრე მეფის რაჭაში... ეკლესია ქვისაა, დიდი, საქმედ საკვირველი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელზე... ეკლესიის ახლოს არის ქვის გალავანი ორი კარით. იმავე ეკლესიაში დასაფლავებული არიან მეფის მახლობელი ნათესვები... აკლდამები გამართულია ეკლესიის კედლებში“. ელჩების ჩანაწერებში მოხსენიებულია ეკლესიის გალავანი, რომელიც დღესდღეობით მორდვეულია, მხოლოდ მისი ნაშთებია შემორჩენილი. ხოლო რაც შევხება მეფის ახლობელთა აკლდამებს, ისინი ძეგლის განახლებისას გადაუფარავო.

ეკლესია ფორმით ცენტრალურ-გუმბათოვანია. ტაძრის ექსტერიერი რთულია და ელეგანტურობას მოკლებული. განსაკუთრებით, გუმბათის ყელის მასიურობის გამო, მაგრამ ორნამენტების სიუხვე, მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით ბევრია ისეთი მოტივიც, რომლებიც ხალხურ წინარეკრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ნიკორწმინდის ფასადები და ეგვიპტები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები, რეალური და ფანტასტიკური ცხოველები.

ინტერიერში შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები და გვიანდელი ხანის ქართული კედლის მხატვრობის დამახასიათებელი ნიმუშები.







რაჭის ერისთავთა ოჯახი. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აბსიდა

აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილია ფერისცვალების სცენა, ხოლო სამხრეთ ფრონტონზე ქრისტეს მეორედ მოსვლა და ჯვრის ამაღლების კომპოზიციები, რომელებიც შინაარსობრივად ატარებს უფლის ძლევამოსილების იდეას. განსაკუთრებით გამოირჩევა ტაძრის კამარა, რომელზედაც გამოსახულია ორნამეტულად მორთული სხივი და მასში ჩასმული ჯვარი.

ტაძრში არსებული როთული მხატვრობა XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება და გამოკვეთილია მხატვრობის ორი ფენა. მრავალადაა საერო პირობით პორტრეტები, რომელთაც თან ახლავს წარწერები. გარკვევთ, რომ ნიკორწმინდა გვიანშუასაუკუნებში ადგილობრივი თავადების, წულუკიძეთა საძვალეს წარმოადგენდა.

ბარელიეფის ოვალურ მხარეზე მოთავსებულია ლაპაზად ამოკვეთილი წარწერა, რომლის აკტორიც ლოცავს გაერთიანებული საქართველოს მეფეს ბაგრატ III-ს და მის მემკვიდრეს: „ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შენსა და მეონე-

ბითა წმიდისა მღვდელმთავრისა ნიკოლოზისათა“. წარწერა ადასტურებს ტაძრის აგების თარიღს. კერძოდ, საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ რანი დაახლოებით 1010-1014 წლებში აიღო და სწორედ ამ პერიოდშია ნიკორწმინდა აგებული.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე, სარკმლის მარჯვნივ, მოხსენიებულია ტაძრის მოძღვარი გიორგი: „წმიდაო ნიკოლოზ, შეიწყალე გიორგი მოძღვარი ამის წმიდისაი ეკლესიისაი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკორწმინდის ინტერიერის დეტალური შესწავლის საფუძველზე ვარკვევთ ორ ისტორიულ ფენას.

პირველი ფენა ადრინდელია და ადგილ-ადგილიდა მოჩანს.

მეორე ფენა გვიანი ხანისაა და ხატწერისა და მხატვრობის აღწერა შესაძლებელია.

XI-XIII საუკუნეებში ნიკორწმინდა რაჭის ერისთავ კახაბერიძეთა საგვარეულო მონასტერს წარმოადგენდა, რაც დასტურდება ტაძარში არსებული რამდენიმე წარწერით: „მე კახაბერ... ძემან... ერისთავთურისთავისა რატიშმან მოვჭედე ხატი ესე ჯუარცუმისაი... სადღეგრძელებლად ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, რაჭის ერისთავის რატისად“.

XIII საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეფემ დაუით VI ნარინა ღალატის ბრალდებით კახაბერიძეთა დინასტია ამოწყვიტა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნიკორწმინდამ დაკარგა მფარველი და იგი საგრძნობლად დასუსტდა. XVI საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ გამოიჩინა შხრუნველობა და განაახლა ტაძარი.

ხატწერისა და მხატვრობის მეორე ფენა ეკუთვნის XVII საუკუნეს. როგორც სურათებიდან ვასკვნით, იგი მოხატული უნდა იყოს წულუკიძეთა ფეოდალური გვარის მიერ ამავე პერიოდის II ნახევარში. ეს გვარი ცნობილია 1451 წლიდან და მისა წარმომადგენლები დიდი ღვაწლით გამოიჩეოდნენ დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების შექნებლობის საქმეში. იოანე ბატონიშვილის ცნობით, თაყადის წოდება მიუღიათ იმერთა მეფის გიორგი III-ის ზეობისას, 1605 წელს, ხოლო იმერეთის მეფეს ალექსანდრე III-ს საფიცრის წიგნში ჰყავდა მოხსენიებული მერაბ წულუკიძე, რომელსაც აუგია ხოტებისა და თლულის ტაძრები.

ნიკორწმინდის ტაძრის საკურთხეველი


დღეისათვის ნიკორწმინდა უამრავ ქართველ და არაქართველ დამთვალიერებელს იზიდავს.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან ნიკორწმინდის მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

ნიკორწმინდის ტაძრის საკურთხეველი



ტაძარი სახელგანთქმულია ჩუქურთმებით
სიმრავლითა და მრავალფეროვნებით





გალოო და ტოგო — ალასკის გმირები

1925 წლის ეპოზე ძალლების მონაწილეობით

1925 წლის იანვარში ალასკის შრატის პატარა ქალაქ ნომიდან ტელეგრაფით მოვიდა შეტყობინება: „ნომი იძახებს! ნომი იძახებს! ჩვენთან დაიფტერიის ეპიდემიის აფეთქებაა! არ გვაქვს შრატი, სანერაფოდ გვესაჭიროება დახმარება! ნომი იძახებს!“ ეს შეტყობინება ახლომდებარე კველა ქალაქში მიიღეს, თუმცა დახმარება რეალურად არავის შევძლო. საჯადყოფოებში დაიფტერიის საწინააღმდეგო ანტიტოქსინი არ აღმოაჩინდათ.

XIX საუკუნეში ოქროს ციებ-ცხელების შედეგად გაჩნილი პატარა დასახლება ნომი 1925 წლისთვის 1429 კაცს ითვლიდა. ეს ქალაქი თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს და ფაქტობრივად, ქევნის დასალიერზე მდებარეობდა. მკაცრი არქტიკული ზამთარი კიდევ უფრო მიუდგომელს ხდიდა ნომს. საზიათო ინფექცია ძალას იკრიბდა. დაიფტერი-

ალასკის ქალაქი ნომი დღეს

ის პირველი მსხვერპლი გახდა 5 წლის ინუიტი ბიჭუნა. მალე 7 წლის გოგონაც დაიღუპა. ავადდებოლნენ მირითადად ბავშვები და მოზარდები. ქალაქში კარანტინი გამოცხადდა. ნომის ერთადერთი ექიმი კურტის უძლური იყო რამე მოუმოქმედებინა. საჯადყოფოში არსებული ანტიტოქსინის შრატი გადაგასული იყო. ნომიდან ყველაზე ახლოს ანტი-



ტოქსინი პქონდათ ალასკის სამხრეთ ნაწილში მდებარე, 1528 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ანკორიჯში. წარმოუდგენელმა ყინვამ, თოვლმა, ძლიერმა ქარბუქმა, ნისლმა ყოველმხრივ გზა მოუჭრა ადამიანებს წამლის ტრანსპორტირებისთვის. წლის განმავლობაში შვიდ თვეს ნომის სანაპირო ყინულით იყო დაფარული. საზღვაო სანავიგაციო სეზონი დიდი ხნის დამთავრებული იყო და ანკორიჯიდან ნომამდე გემით წამლის მიტანა ვერ მოხერხდებოდა. ძლიერი ქარბუქისა და ყინვას გამოვერ შეძლეს ანკორიჯში არსებული ღიაკაბინანი თვითმტრინავის ამუშავება. სიეტლიდან აეროპლანით წამლის წამოლებაც არქტიკული შტორმის გამო ჩაიშალა. რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა — მატარებელი. თუმცა ანკორიჯიდან გამომავალი სარკნიგზო ხაზი მთავრდებოდა ცენტრალურ ალასკაში მდებარე ქალაქ ნენანაში. ამ ადგილიდან კი ნომამდე კადე 1085 კილომეტრი რჩებოდა.

დრო არ იმტენდა. მატარებლით ანტიტოქსინი უკვე ნენანაში მიიტანეს, ერთადერთი იმედს წარმოადგენდა მარხილში შებმული ძაღლები. მხოლოდ ისინი თუ შეძლებდნენ ნენანასა და ნომს შორის ურთელესი გზის გავლას. ქალაქის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, მარხილში შებმული ძაღლების ჯავუფები შეექმნათ, რომლებიც მძიმე გზას მონაკვეთებად დაინაწილებონენ.

მარხილში შებმულ ძაღლებს ისტორიულად ძევლი დროიდანვე იყენებდნენ ვეროპის, აზიისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის არქტიკულ რეგიონებში. ეს ტრადიცია არსებობდა ციმბირშიც, ძველ ესკიმოსებშიც, ასევე გრენლანდიის, ლაპლანდიისა და ისლანდიის მცხოვრებთა შორის. როგორც წესი, მარხილის შიდა მხარე დათბუნული იყო ძეწვეულით. იყო 5-ან 4-ძაღლიანი, ასევე 12- ან 10-ძაღლიანი მარხილები. ამ საქმისთვის განკუთვნილი ძაღლები გამოირჩეოდნენ სისწავით, ძალით, გამძლეობით. კველა ეს თვისება ძალიან სჭირდებოდათ იმ ძაღლებს, რომლებიც 1925 წლის ისტორიულ მარშრუტს გაპყვებოდნენ ნენანიდან ნომამდე. გზა რომ როთლი იქნებოდა, ამას კველა ხვდებოდა. ნომში შეეცადნენ, მარხილებისთვის საუკეთესო კაიურები (მარხილის ძაღლების ხელმძღვანელი) აერჩიათ ეს საქმე თავად კუბერნატორმა აიყვანა პირად კონტროლზე. მან ოფიციალურად დაამტკიცა მარ-



ონუატი ინდიელი ძიჟუნა

ხილებით ნომამდე წამლის მიტანის გეგმა. გუბერნატორმა სკოტ ბორმა ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო განყოფილების უფროსს დაავალა საუკეთესო ძაღლები და კაიურები შეერჩიათ, რადგან ნებისმიერი შეცდომა შეიძლება ძვირად დასჯდომიდათ.

9-კილოგრამიანი შრატის კონტეინერი ნენანის რკინიგზის სადგურში 27 იანვრის დამით გადასცეს ბილ შენონს. გაუსაძლის ყინვისგან დასაცავად ყუთი ირმის ბეჭედში იყო გახვეული. შენონის მარხილს მარშრუტის პირველი მონაკვეთი უნდა გავლო და კონტეინერი ნენანადან ტროლოგანაში მიეტანა. წამზომი ჩაირთო... გადაწყდა, მარხილებს შეუსვენებლად ველორ დღისთვის და ღამითაც. ამიტომ მთლიანი გზა სხვადასხვა ზომის მონაკვეთად დაიყო. შეხვედრის პუნქტში წინამორბედს ელოდებოდა დასვენებული მარხილი, რომელსაც თავის მხრივ გზის ბოლოში მომდევნო მარხილი ელოდებოდა. ამ დროისთვის ცენტრალურ ალასკაში პაერის ტემპერატურა -47 გრადუსამდე დაეცა. ნომსა და ნენანას შორის გადაშლილ ტუნდრაში არქტიკიდან წამოსული ცოვი ქარი უბრავდა. შენონის ძაღლებმა კარგად იარეს. მგზავრობისას ტემპერატურამ -52 გრადუსამდე დაიწია და შენონს ცეცხლის დაზოგბამ მოუწია წმდლის გასათბობად. 28 იანვარს მისი მარხილი დანიშნულების ადგილას იყო. შრატი ედგარ კულენბერგმა გადაიბარა. იგი მენტი ჰორტის მარინგსამდე უნდა მისულიყო. გამგზავრებამ-



ლეონარდ სეპალა

**აღლო და მისი პატრონი —
ტოგო და სეპალა**



დე მასაც მოუწია წამლის გათბობამ. იმავე დღეს მარხილმა შშვილობიანად ჩააღწია მენ-ლი ჰოტ სპრინგსამდე. საერთო ჯუმში ძალლებ-მა უკვე 134 კილომეტრი გაიარეს. მესამე მო-ნაკვეთზე შრატის გადატანა დენ გრინბა და-იწყო. მას ფიშ ლეიიში ელოდებოდა ჯონი ფოლჯერი. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და 28 იანვარსვე შრატმა ფიშ ლეიის მიაღწია. ამ პუნ-ქტამდე მარხილების მარშრუტი აღმოსავლე-თიდან დასავლეთის მიმართულებით მდინარე ტენანას მიუყვებოდა, ფიშ ლეიიდან კი ძალ-ლების გზა უკვე ალასკის მთავარ მდინარეს — იუკონს გაჰყვა. საქმეში ჯონი ფოლჯერი და მისი ძალლები ჩაერთვნინ. მათ წამალი ტენა-ნაში უნდა ჩაეტანათ. მარხილმა წარმატებით გაიარა 42-კილომეტრიანი მონაკვეთი და 29 იანვარს წამალი უკვე სემ ჯოზეფის მარხილში იყო. ჯოზეფს კლეინბაში ელოდებოდნენ. მა-ნაც სწრაფად გაიარა 55-კილომეტრიანი გზა.

ამ პუნქტის შემდეგ ერთიანი მარშრუტის კიდევ 11 სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთი გაი-არეს. დანიშნულების ადგილებში შრატს ახა-ლი მარხილი იბარებდა. ძალლებისა და ადა-მიანების თავგანწირვით ნომისკენ მიძაგალი წამალი ხელიდან ხელში გადადიოდა და და-ნიშნულების ადგილამდე მისასვლელი მანძი-ლიც მცირდებოდა. 31 იანვრისთვის ანტიტოქ-სინი უკვე შაკტული კში იყო. აქედან ყველაზე როული მონაკვეთი იწყებოდა. ამინდიც გაუა-რესდა და ძნელი წარმოსადგენია, რა ბედი ქწ-ოდა წარწყებას, რომ არა გასაოცარი ძალ-ლების — ბალტოსა და ტოგოს თავგანწირვა. ისევე როგორც მათი პატრონებისა — გუნარ კასენისა და ლეონარდ სეპალასი.

31 იანვარს კაიურმა მაილს გონანგნიანმა ანტიტოქსინი ჩაიტანა სოფელ შაკტული კში. მისმა ძალლებმა 64 კმ გაიარეს. წამალი კვ-ლავ გაათბო ჰენრი ივანოვმა და ლეონარდ სეპალას მარხილთან შესახვედრად გასწია. ქარბუქი იძღენად ძლიერი იყო, რომ გზის გარ-ჩევა თითქმის შეუძლებელი გახდა. ტემპრა-ტურა -64 გრადუსამდე ჩამოვიდა. გაჩნდა საფ-რთხევ, რომ ივანოვი ველარ გაიკვალავდა გზას და სეპალას ასცდებოდა. ქარბუქის გამო კი-ნაღამ ასეც მოხდა, ივანოვმა შემთხვევით შე-ნიშნა საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი სე-პალა. თუმცა ამ უკანასკნელმა ივანოვი ვერ შენიშნა და ანტიტოქსინით დატვირთულ მარ-ხილს გვერდით ჩაუარა. ივანოვმა ძალლები

სასწრაფოდ შემოაბრუნა და სეპალას დაედვენა. იყნოფმა დაიყვირა: „შრატი! შრატი! ის მე მაქვე!“ საბედნიეროდ, სეპალამ ძახილი გაიგონა, მარხილი შეაჩერა და ანტიტოქსინი გადაიბარა. მის ძალებს წამალი გოლოვინში უნდა ჩაეტანათ. როგორც შედგომ აღმოჩნდა, ეს მარშრუტის ურთულესი მონაკვეთი იყო. ამ გზის გველა ალბათ ვერც მოხერხდებოდა, რომ არა გამოცდილი კაიური სეპალა და მისი ძაღლი ტოგო.

ტოგო იყო მოზრდილი, 22-კილოგრამიანი ციმბირული ჰასკის ჯიშის ძაღლი. სეპალას ძალებმა სამ დღეში 247 კილომეტრი ნისლში, ყინუაში, ქარბუქსა და გრიგალისგბურ ქარში გაიარეს. ხილვადობა იმდენად ცუდი იყო, რომ სეპალამ ყველანაირი ორიენტაცია დაკარგა. ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში მარხილის მართვა მან მთლიანად ტოგოს მიანდო. ძაღლი უშეცდომოდ იკალვდა გზას. თუმცა მთავარი სირთულე წინ იყო. ანგელიკთან მისვლისას სეპალამ დროის მოსაგებად მოკლე გზით წასვლა გადაწყვიტა, ამისთვის კი ნორტონის გაყინული ყურე უნდა გადაეკვეთა. ეს ძალიან სახითათო იყო, მაგრამ სეპალამ იცოდა თითოეული წუთის ფასი და უდიდეს რისკზე წავიდა.

მოული გზა ძაღლების თათებქვეშ ნორტონის ყურის გაყინულ ზედაპირს ტკაცუნი გაუდიოდა. ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ყინული გამსკდარიყო და და მარხილი წყალში ჩაეტანა. ერთგან ყინული მართლაც გაიბზარა მარხილის ირგვლივ და ძირითად მასას მოწყდა. ყინულის კუნძულზე დარჩენილი ტო-



გუნარ კაასენი და ძაღლით

წამლის ტრანსპორტირება ნომისკენ





ნომაძღვრულის
ჩასტანად
ტენანადან
უზრუნველის 1085
კილომეტრი
დანარებით 127,5
სათში გაიარეს

გო და მარხილი რამდენიმე საათს ნორტონის ყურის წყლებში დრეიფობდა. საბოლოოდ ყინულის ნაგლეჯი დინებამ ნაპირამდე მირიყა. ყინულის კუნძულს მთლიანი ყინულის ზედა-პირამდე მტერ-ნახევარი აშორებდა. ტოგო გა-დახტა. მისი ყელსაბამი გაისა. ძაღლმა კბილებით ამოიტანა იგი წყლიდან და ყინულის კუნძული თავისკენ მოზიდა. მეორე მხარეს ტოგოსთან ერთად სეპალაც იყო გადასული. ძაღლისა და ადამიანის საოცარი სიმამაცის წყალობით მარხილი „დიდ ყინულზე“ გადა-ვიდა და გზა განაგრძო. ნორტონის ყურის დარჩენილი ნაწილის გავლისას სეპალა ცდი-ლობდა, მოხუცი ესკიმოსის რჩევისამებრ, ნა-პირთან რაც შეიძლება ახლოს ევლო. თუმცა ყინულის გასეღომისა და წყალში ჩაგრძნის საშიშროება მაინც სავსებით რეალური იყო. თუმცა საოცარი ძაღლის დახმარებით სეპა-ლამ ნორტონის ყურის სწრაფი გადალახვა და დაკარგული დროის ანაზღაურება შეძლო.

მარხილში თითოეული ძაღლი მნიშვნელო-ვნ როლს ასრულებს, მაგრამ მთავრი ამოცა-ნა მაინც წინამდობლ ძაღლს ეკისრება. ნომე-ლების ბედად, ეს ტოგო იყო. სიმამაცესა და გამ-ძლებასთან ერთად, ძაღლი შეუცდომლად იკ-

ვლევდა უსაფრთხო გზას, მარშრუტს დამს სიბ-ნელეშიც კი არ აცდენილა. ყინულის ნასკდო-მებსა და ღრმულებს მარხილმა თავი მისი მეშ-ვეობით აარიდა. ტოგო დაღლილ და გაყინულ ძაღლებს აიძულებდა, ემორავათ და არ დაქ-ბებულიყვნენ. გზად სეპალას ძაღლებმა 1500 მეტრის სიმაღლის მთაც გადაიარეს, ლიტლ მაკ-კინლი.... სეპალამ გოლოვინამდე ჩააღწია. ტო-გო იმდენად იყო დაღლილი, რომ სირბილი ფი-ზიკურად აღარ შეეძლო, თაუბიც მოყინა. იდ-გა 1-ელი თებერვალი. საერთო ჯამში სეპალას ძაღლებმა 418 კილომეტრი გაირჩინეს.

ანტიტოოქსინი ჩარლი ოლსონის მარხილმა გადაიძარა. ამ მოქენტისოვის ნომში დიფტე-რიის შემთხვევების რაოდენობა 28-მდე ჟიდა. ქარი 128 კმ/სთ- სიჩქარით უბრავდა. ექიმმა უელჩმა მარხილის შეჩერება გადაწყვიტა. იგი მძიე არჩევანის წინაშე იდგა. მისი თქმით, უა-მინდობის პირობებში მარხილის დაღუპვისა და წამლის საერთოდ დაკარგვის საშიშროების გა-მო უჯრებესი იყო ანტიტოოქსინის დაგვიანე-ბით, მაგრამ მაინც მიღება. ჩარლი ოლსონს ბლაფში ელოდებოდნენ. ოლსონმა სწრაფად იარა და დანიშნულების ადგილას იმავე დღეს ჩავიდა. გზაში კაიურს მოყინების გამო ხელები

წაურთვა, როცა ძაღლებს საპანში ფუტნიდა. მისი თავგანწირვის შემდეგ ანტიტოქსინი წარმოშობით ნორვეგიულმა კაიურმა გუნარ კაასენმა ჩაიბარა. კაასენის მარხილის წინამდლოლი იყო ასევე ციმბირული ჰასკის ჯიშის ძაღლი ბალტო. ბლაფილდან ნომამდე 84 კილომეტრამდე იყო დარჩენილი. ეს მნელი გზა იყო, გრიგალისებური ქარი არათუ ჩერდებოდა, არამედ პირიქით, ძლიერდებოდა.

ბალტო ამ ისტორიული მარშრუტის გავლის მომენტისთვის 6 წლის იყო. იგი 1919 წელს ნომში დაიბადა. მას სახელი ნორვეგიელი გეოგრაფის, მაგზაურისა და ეთნოგრაფის, სემიუელ ბალტოს პატივსაცემად დაარქვეს. ოქროს ციებ-ცხელებისას ერთხანს ნომში იმყოფებოდა. ბალტოზე დიდ იმედს არ ამყარებდნენ, რადგან სამარხილედ ნელ ძაღლად მიიჩნეოდა. თუმცა სულ მაღლ ყველამ დაინახა, რა შეძლებია ბალტოს.

მეცნიერთა გარაულით, ამ ჯიშის ძაღლები პირველად ჩუქჩებთან გრჩნდა. ჰასკებს ჰქონდათ ხშირი ბეწვი, წაწევებული ცხვირი, წამოზნექილი ყურები და აპრეზილი კუდი. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ ჯიშის ძაღლები აქტიურად შეჰქმდათ ალასკაში. 1900-1920-იან წლებში ალასკის უდიდეს ნაწილში გადაადგილების ძირითადი საშუალება მარხილში შემტული ძაღლები იყო. საინტერესოა, რომ ციმბირული ჰასკი და ალასკის ძაღლამუტი ერ-

თადერთი ჯიშის ძაღლებია, რომლებიც არანაირ ვითარებაში ადამიანს არ კენენ.

ბალტოს მარხილი ალასკის ტუნდრის სიჩუმეში მიიკვლევდა გზას. ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა და გუნარ კაასენმა ორიენტაცია დაკარგა. იგი გაცდა სელმონს, სადაც ანტიტოქსინის გადასაბარებლად ელოდებოდნენ. მალე უკანვე მობრუნდა, მაგრამ გრიგალისებური ქარი იძღვნად ძლიერი იყო, რომ მარხილი გადაყირავდა, წამლის ყუთი კი ღრმა თოვლში ჩაეფლო. კაასენმა სასწრაფოდ დაიწყო თოვლის თხრა და ანტიტოქსინის ძებნა. უკეთ რომ შეეგრძნო თოვლში ჩაკარგული ყუთი, ხელთამანი გაიძრო და ძიება ისე განაგრძო. კაიურმა ანტიტოქსინი იპოვა, მარხილი მოაწესრიგა და გზა განაგრძო.

2 თებერვალს ბალტოს მარხილი სეიფტი პოინტში იყო, სადაც წამალი ედ რონს უნდა გადაებარებინა. კაიურს ეძინა. რონი ფიქრობდა, რომ დაგვიანებული წამალი სელომძნში იყო გაჩერუბული. დროის ეკონომის მიზნით კაასენმა აღარ გააღვიძა კაიური, ამინდიც გამოკეთდა და მან გადაწყვიტა, ნომამდე დარჩენილი გზაც გავლო. იქამდე 33 კილომეტრი რჩებოდა. გამოდარება დროებითი აღმოჩნდა და კვლავ ქარბუქი ამოგარდა, ყინვაც გაძლიერდა და ქარიც. კაასენს მარხილის მართვა ფიზიკურად აღარ შეეძლო, კიდურები მოეფინა და ვეღარც მოძრაობდა. ერთი შეხედვით

**ბალტოს ნახა
დღეს
კლიველენის
ბუნების
ისტორიის
მუზეუმშია
შესაძლებელი**





ბალტოს ძეგლი ნუუ-ორჯის ცენტრალურ პარკში
ფინულიანი ლამერობის ფესტივალზე მოუძღვნეს

გველანარი იმედი, რომ წამალი ნომამდე ჩააღწევდა, გაქრა. მაგრამ კრიტიკულ მომენტში ბალტომ მოული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ძაღლი დამოუკიდებლად გაუძღვა მარხილს, ქარბუქიდან გამოიყვანა და გადაარჩინა დაღუპვას მდინარე ტოპკოთან. ბალტომ შეუცდომლად იარა, არც ერთხელ არ გადაუხვევა გზიდან და ფესტივალზე მოუძღვნეს.

2 თებერვალს კვირას, დილის ექვსის ნახევარზე ბალტოს მარხილი ნომის ცენტრალურ ქუჩაზე შევიდა. ანტიტოქსინმა ქალაქში ჩააღწია. ბალტომ და მისმა ძაღლებმა 85 კილომეტრი შვიდ-ნახევარ საათში გაიბინების. ანტიტოქსინი გაყინული იყო, თუმცა არ დაზიანებულა. შრატის დახმარებით ნომში დიფ-ტერიის ეპიდემია ხუთ დღეში შეჩერეს.

ქალაქში შესული ძაღლები ისეთი დაღლილი იყვნენ, ყეფაც არ შეეძლოთ. კასენმა კი რამდენიმე ადრეულად გაღვიძებული თვითმხილვის წინაშე თავი ვერ შეიკავა და მიწაზე დაეცა.

ბალტოს, ტოგოსა და ამ მარშრუტის მო-

ნაწილე თითოეული ძაღლის საოცარმა ერთგულებამ, თუგანწირვამ, გამძლეობამ ათეულობით ბაგშეის სიცოცხლე გადაარჩინა. განსაკუთრებით დიდი იყო ბალტოსა და ტოგოს როლი, რომელთაც ყველაზე რთულ სიტუაციებში არ დაიხიეს უკან და ამოცანას თავი გაართვეს.

ერთი დრამატული კვირის განმავლობაში ნომი, მთელი ალასკა და მთელი ქეყნისა ადვენებდა თვალს ანტიტოქსინის მოზაურობას. იმედები მხოლოდ ერთგულ ძაღლებსა და გამოცდილ კაიურებზე იყო დამყარებული... მათ მიზანს მიაღწიეს და ბაგშეების სიცოცხლე გადაარჩინეს.

ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში მრავალი ძეგლი და მემორიალია. მათ შორისაა ქრისტეფორე კოლუმბის, უილიამ შექსპირის, კლეოპატრას, ლეგენდარული ჯაზმენის, დიუკ ელინგტონის სკელპტურები... მნახველთა ფურადღებას იყვრობს პარკის ერთ მყუდრო კუთხეში მდგარი ძაღლის ბრინჯაოს ძველი ძეგლი. ეს ბალტო. წარწერა მის ქვემოთ გვაძინება: „ეძღვნება მარხილის ძაღლების შეუპოვარ სულს, რომლებმაც 600-მილიან უგზობაში, არასამედო ზღვის ყინულისა და არ-ტიკული ქარბუქის გავლით, მიიტანეს შრატი ნენანდან დააგადებით მოცულ ნომში 1925 წლის ზამთარში“. ძირითადი წარწერის ქვემოთ კიდევ სამ სიტყვა დატანილი: „გამძლეობა. ერთგულება. ინტელექტი“. ძეგლი იმ ამბიდან ათი თვის შემდეგ დაიდგა.

ეს ძეგლი, ბალტოს სახით, განასახიერებს ტოგოსაც და ფესტივალზე მდგრადი ძაღლის ანტიტოქსინი ჩაუტარებას.

1925 წლის ისტორიული მარშრუტი ძაღლებმა ექსტრემალურ ყინვასა და ქარბუქში გაიარეს. კაიურებმა და ძაღლებმა ალასკის არ-ტიკული ტუნდრის მთები, ხეობები, მდინარეები რეკორდულად მცირე დროში, დაახლოებით 127,5 საათში გაიარეს. საერთო ჯამში მისიას 150-მდე ძაღლი ასრულებდა. ბევრი მათგანი გზაში გაიყინა და დაიღუპა კიდეც. ამ ძაღლების სახელები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ბალტოს ძეგლი თითოეულ მათგანს ეკუთვნის...

ბალტოსა და ტოგოს თავგანწირვის ამბავს დღესაც სიამაყით ისტენებენ და ასწავლიან ბავშვებს ალასკის შტატის სკოლებში.

მიხეილ გარევაზი

ინდიანი ჯონს სასამართლოში უჩივიან

კრისტალის თავის ქალის „ცხრილუატაციისთვის“



ილინისას შტატის ფედერალურ სასამართლოში, კომპანიების Lucasfilm-ს, Disney-სა და Paramount Pictures-ის წინააღმდეგ ბელიზის მოსახლეობის სახელით სარჩელი შევიდა. კომპანიას უჩივიან, რომ 2009 წელს, ფოლმში „ინდიანა ჯონსი და ბროლის თავის ქალის სამეფო“ ძეირფასი არტეფაქტის ახლი გამოიყენებ, რომელიც ბელიზიდან დიდი ხნის წინ გაიტაცებ.

ბელიზის არქეოლოგიის მუზეუმი და არ-ქეოლოგი, დოქტორი ჯეიმი ოო მოპარული ბროლის თავის ქალის ბელიზელებისთვის დაბრუნებას, ხოლო სამი კომპანიისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვს, რომელიც ეროვნული სიტმინდას კომერციული მაზნებისთვის გამოეყენებას გამო ბელიზის ხალხს მაადგა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ფილმში გამოყენებული არტეფაქტი ბელიზის ხალხის საკუთრებაა და მას უფლება აქვს, მოითხოვოს წილი მოგებიდან, რომელიც კომპანიებმა ფილმის გაქირავებიდან მიიღეს. თანხამ \$786 მილიონი შეადგინა.

სათვეგადასავლო ფილმის შემქმნელები ამ თუმაზე კომენტარს თვას არიდებენ.

ბროლის თავის ქალის საიდუმლო ერთერთი ყველაზე საინტერესოა დედამიწაზე. სულ 21-მდე ასეთი არტეფაქტია ცნობილი. ისინი სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექ-

ციაში ინახება. ყველა მათგანი ბროლისგან (კვარცისაგან) არის დაშაბეგბული და ადამიანის თავის ქალის ზუსტ ასლს წარმოადგენს.



სულ მსოფლიოში კრისტალისგან დაშაბეგბული 21 თავის ქალა



მაას ტომების ქალაქი ლუბაანტუნი



ჯეიმი თო

პირველი აღმოჩენა 1924 წელს ჰონდურასში გაკეთდა. აღმოჩენის ავტორი ინგლისელი არქეოლოგი ფრედერიკ ალბერტ მიტჩელ-ჰეჯესი იყო. მეცნიერმა არტეფაქტს მაშინ მიაკვლაა, როდესაც მაას ტომის ქალაქ ლუბაანტუნში გათხრებს ატარებდა. ჰეჯესს მისი ქალიშვილი, ენი ქმარუბოდა.

ბროლის თავის ქალა პირველად სწორედ ენმა ნახა. გოგონა იმ დღეს 17 წლის ხდებოდა, თუმცა სადღესასწაულო წვეულების ორგანიზების ნაცვლად, ერთ-ერთი ადგილის ქვებისგან გაწმენდით იყო დაკავებული. არქეოლოგების აზრით, ადგილი, სადაც არტეფაქტს მიაკვლიეს, საკურთხეველი უნდა კოფილიყო.

ეს გასაოცარი აღმოჩენა გახლდათ. ბროლის თავის ქალის თვალბუდები უწევულოდ ანათებდნენ. ქალას თვედაპირველად ქვედა ყბა აკლდა, რომელიც მოგვიანებით იქვე იპოვეს. აღმოჩნდა, რომ ქვედა ყბა ქალაზე მიღმული იყო გორგოლაჭით და აღმიანის ქვედა ყბის ზუსტ ასლს წარმოადგენდა.

ბევრ არქეოლოგს ეჭვი ეპარებოდა ლუბაანტუნის თავის ქალის ნამდვილობაში — ზოგს მიაჩნდა, რომ ენის დაბადების დღისთვის მოუშავდა მამამ ასეთი საჩუქარი-სიურპრიზი.

1924 წლის 26 ივნისს ინგლისელმა ოფიცერმა ორმას ჰანმა, რომელიც გატაცებული იყო არქეოლოგით და თან ახლდა მიტჩელს, არტეფაქტის შესახებ მოუთხრო გაზრთ Illustrated London News-ს.

ენი მიტჩელ-ჰეჯესი კანადაში ცხოვრობდა და ღრმად მოხუცებულიც ხშირად იხსენებდა ამ აღმოჩენას.

„ზოგჯერ ვნანობ, რომ ეს ქალა მამას არჩავატანე საფლავში, — მას ასე სურდა. ეს ეველაზე შესაფერისი ადგილი იქნებოდა ამ ნივთისთვის. ეს ქალა სხვის ხელში ბორტების წყარო ხდება“, — წერდა იგი 90 წლის ასაკში.

1964-დან 1970 წლამდე ჰეჯესის ძიერ ნაპოვნ ბროლის თავის ქალას ამერიკელი რესტავრატორი ფრენკ დორლანდი იკვლევდა. მეცნიერის დასკვნით, ის ისეა დამზადებული, რომ პატარა ნიავზე ქვედა ყბა მოძრაობას იწყებს.

დორლანდმა კიდევ ერთი საინტერესო აღმოჩენა გააკეთა: როცა ბროლის ქალა ცეც-

ხლისკენ შეაბრუნა, თვალტუდეები უცებ ალივ-ლივდა და ნათება დაიწყო. „ისეთი მძაფრი შეგრძნება იყო, რომ ტანში ურუანტელმა დამიარა“, — წერდა მეცნიერ-რესტავრატორი.

ჩანს, მაას ტომის ინდიელები ბროლის თავის ქალას რიტუალისას იყენებდნენ და მისი დახმარებით ხალხში მოკრძალებასა და შიშს აღძრუდნენ.


დორლანდმა დაასკვნა, რომ ლუბანტუნის თავის ქალა დამზადებულია ბროლის ერთი ნამსხვრევისგან და მას დიდი ხნის განმავლობაში ამუშავებდნენ.

არტეფაქტი ისეა დამზადებული, რომ როცა სხვით უკნიდან ეცემა, ქალაში ჩატანებული ბროლის ლინზის წყალობით თვალტუდეებს ანთებს. დორლანდს ვერ ამოქმნა, როგორ მოახერხეს მაას ინდიელებმა ბროლის ასე ზუსტად დამუშავება. დამუშავების გვალი მიკროსკოპის ქვეშაც კი არ ჩანს. დორლანდი მივიდა დასკვნამდე, რომ იმ დროში ხელით ასე დამუშავებას დასჭირდებოდა რამდენიმე საუკუნე 24-საათიანი შრომისა!

ბროლის თავის ქალის საიდუმლო ამ დრომდე ამოუხსნელია. მისი მნახველები და მფლობელები თანხმდებიან, რომ არტეფაქტის გვერდით მათ უცნაური შეგრძნებები უჩნდებათ. არტეფაქტების ნაწილი ცენტრალურ ამერიკაში, ნაწილიც ტიბეტშია ნაპოვნი, აგრეთვე გერმანიაშიც.

*მომზადებულია LiveScience-ის
მასლების მიხედვით*

▼ ფილმისთვის დამზადებული თავის
ქალა არ არის მიტჩელ-ჰეჯესის
ნაპოვნი თავის ქალის ზუსტი ასლი



ფრედერიკ ალბერტ მიტჩელ-ჰეჯესი და მისი ქალიშვილი ენა



კარი მხატვრული ფილმიდან
ინდიანა ჯონსის შესახებ ▼

ქაზა 211

პიტლერის
საიდუმლო
აფთილსამყოფელი
ანტარქტიციაში?

აღმირალმა კარლ დენიცმა, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარჩალმა, 1944 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ კილში საზღვაო აკადემიის კურსანტებთან შეხვდისას განაც ხადა: „გერმანიის წყალქვეშა ფლოტი ამაყობს იმ ფაქტით, რომ შორს, ქვეშის დასასრულს, ჩვენ ავაშენეთ ჩვენი დიადი ფიურურისთვის ამქვეყნიური სამოთხე, მიუვალი ციხესიმაგრე“.

აღმირალის ეს ნათქვამი მხოლოდ ომის შემდეგ გაახსენდათ, კერძოდ, ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, როცა უკვე ნაული შეიქნა პიტლერის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლის, მარტინ ბორმანისა და ნაცისტუ-

რი პარტიის სხვა ლიდერთა უგზო-უკვლოდ გაქრობა. გარდა ამისა, თვითონ აღოლფ ჰიტლერის ცხელარიც ეჭვიბს აღძრავდა. ცნობილია, რომ გერმანიის რაიხსკანცლერს რამდენიმე ორეული ჰყავდა. დასასრულ, ცხედრის იდენ-

აღმირალი
კარლ დენიცმი
(ცენტრში)



ანტარქტიდის სანაპირო

ტიფიცირებაც კი ვერ მოხერხდა. გამომძიებლები შევეღანაირად ცდილობდნენ, რამე სახის ინფორმაცია მაინც მიეღოთ ადმირალისგან ფიურურის „ამქვეყნიური სამოთხის“ შესახებ, მაგრამ მან ეს საიდუმლო სამარჯვი ჩაიტანა.

„შზადება მისიისთვის“

საიდუმლო ნაცისტური ბაზის არსებობა მოსვენებას უკარგავდა გმარჯვებულო მოკლე ხანში გაირკა, რომ ჯერ კიდევ 1938 წლის შემოდგომით ნაცისტური გერმანიის მესვეუ-

რებმა უჩვეულო დაინტერესება გამოიჩინეს ანტარქტიდისადმი. გერმანელებმა შესთავაზეს ცნობილ პოლარულ მკვლევარსა და ადმირალ რიჩარდ ეველინ ბერდს, მონაწილეობა მიეღო სამხრეთი მატერიკის გამოკვლევაში. ადმირალი ბერდი დათანხმდა და ჩამოჟრინდა კიდეც ჰამბურგში, მაგრამ როცა დაინახა, რომ ხომალდის ტრიუმები სამეცნიერო მოწყობილობების გარდა დიდი რაოდგნობით იარაღითაც იტვირთებოდა, მაშინევ უარი განაცხადა ექსკუდიციაში მონაწილეობაზე.



ადმირალი და
პოლარული
მკვლევარი
რიჩარდ ეველინ
ბერდი



გერმანელების ექსპედიციამ დანიშნულების აღვილს
მიაღწია. ცენტრში — ალფრედ რიტშერი



„შვაბენლანდზე“ პიდროთვითმფრინავი ააქვთ...



„ოაზისი ყიცელებას შორის“

გერმანული სამეცნიერო ექსპედიცია ანტარქტიდის კენტაკის გაემგზავრა ხომალდ „შვაბენლანდით“, ცნობილი მეცნიერისა და ოკეანოლოგის, ალფრედ რიტშერის ხელმძღვანელობით. 1939 წლის 19 იანვარს მათ დანიშნულების ადგილს მიაღწიეს და მაშინვე სამეცნიერო კვლევას შეუდგნენ თავიათი პიდროთვითმფრინავების მეშვეობით. ექსპედიციის წევრებმა გიგანტური შრომა გასწიეს. უმოკლეს დროში გამოიკვლიეს დაახლოებით 360 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, გადაიღეს 14 ათასამდე უნიკალური ფორმულურათა. ერთ-ერთი პიდროთვითმფრინავის მეთაურს, კაპიტან შირმახერს ბედმა გაულიმა და გასაოცარი აღმოჩენა გააკეთა. მან მიაგნო ანტარქტიდის უზრუნველობრივ ლანდშაფტს, 32 კვადრატული კილომეტრის ფართობით, მასზე არსებული თბილი მიკროკლიმატითა და მტკნარი წყლით, რომელიც არასოდეს იყინებოდა.

„ახალი შვაბია“

გერმანელებმა მათ მიერ შესწავლილ ტერიტორიას „ახალი შვაბია“ უწოდეს და მაშინვე გერმანიის საკუთრებად გამოაცხადეს.

1939 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ექსპედიციამ ანტარქტიდა დატოვა და 12 აპრილს პამბურგის პორტში შევიდა. სამშობ-



ანტარქტიიდაზე
„ახალი შვაბიის“
შექმნა
პიტლერის
მორიგი
ამბიციური იდეა
აფთ

ლოში დაბრუნებისთანავე ალფრედ რიტშერმა პიტლერს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ექსპედიციის შედეგების შესახებ. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ იგებებოდა მეორე ექსპედიციის გამგზავრება. მაგრამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და აღნიშნული გეგმები გადაიდო. თუმცა ეს ოფიციალურად მაგრამ, რა მოხდა სინამდვილეში?

„მოზვევები“

ნიურნბერგის სასამართლო პროცესის მსვლელობისას, გამომძიებლებმა, რომელთაც სურათ დაედგინათ ნაციისტების ნამდვილი მიზნები, მიაგნეს ხომალდ „შებენდანდის“ ორ წევრს, ინგინერ მაქს ზიევრტსა და მეზდგურ ოტო ვარნენდს. მათი ნაამბობით ცხადი გახდა, რომ ხომალდი მუდმივად ასრულებდა რეისებს ანტარქტიიდაში, თუმცა არა სამეცნიერო გამოკვლევებისთვის. მათ გადაპქონდათ მოწყობილობები, რომლებიც საჭირო იყო მთებში დიდი სამუშაოების ჩასატარებლად, მათ შორის ყინულებში დიდი გვირაბების გამოსათხრელად. გადაპქონდათ გენერატორები და რკინიგზის ლიანდაგები.

„პიტლერის უპანასპელი სუბჰარიცები“

სანამ ევროპაში მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობდა, პიტლერის „მიუგალი ციხესიმაგრის“ ადგილმდებარეობის დასადგენად არგენტინის სანაპიროებთან ამერიკელებმა ორ გერმანულ წყალქვეშა ნავს მიაგნეს და სამორკლე მოლაპარაკების შემდეგ აიძულეს დაწებებულიყვნენ. ეკიპაჟის წევრების დაკით-

ხვამ აჩვენა, რომ ეს წყალქვეშა ნავები ფიურერის „პირადი ესკორტის“ შემადგენლობაზი შედიოდა. ვარაუდობენ, თითქოს ამერიკელებმა დაადგინეს, რომ 1945 წლის აპრილში წყალქვეშა ნავებმა, U-9770-მა და U-530-მა (მეთაურები ჰეინც შაუმლფერი და ოტო ვერხმეტი) თავიანთ ბორტებზე მიიღეს საიდუმლო ტვირთი და ხუთი უცნობი მამაკაცი, რომელთაც სახეები ნიდბით ჰქონდათ დაფარული. ანტარქტიიდაში მათი გადმოსხმისთანავე ნაცისტურმა წყალქვეშა ნავებმა გეზი არგენტინისკენ აიღეს, სადაც მათი კიდვე ერთი სამხედრო ბაზა იყო განლაგებული. აი, სწორედ იქ აღმოაჩინეს ისინი ამერიკელმა სამხედროებმა.

პრალდებულები ნიურნბერგის პროცესზე





კარლ დენიცი შურნალ „ტაიმის“ გარეკანზე, 1943 წ.

ადმირალი რიჩარდ ბერდი 1957 წელს



„ადმირალის უცნაური ჩვენება“

მიღებულმა ცნობებმა მოკავშირეები აიძულა, სასწრაფოდ გაეცავნათ სამხედრო ექსპერიცია ანტარქტიდაში, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ადმირალ რიჩარდ ბერდის მეთაურობით. ოპერაცია კოლური სახელწილებით „მაღალი ნახტომი“, რომლის შემადგენლობაში 13 სამხედრო ხომალდი შედიოდა მათზე მყოფი 4 ათასამეტ სამხედრო მოსამსახურით, ითვალისწინებდა ანტარქტიდაზე ნაცისტური სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, თუკი ისინი იქ ნამდვილად არსებობდა. თუმცა „მაღალი ნახტომი“ ამერიკელებს არ გამოიუვიდათ. არის თუ არა სიმართლე, მნელი სათქმელა, მაგრამ პრესაში პერიოდულად უონაუდა ინფორმაცია, რომ ანტარქტიდის სანაპიროებთან ამერიკელებს შეტაკბა მოუხდათ უცნაური ფორმის საფრენ აპარატებთან, რომლებზეც გამოსახული იყო ნაცისტური სიმბოლიკა. მოკავშირეებმა რამდენიმე ხომალდი დაკარგეს და საბოროლიდ იძულებული გახდნენ, უკან დაქვირდათ. წარუმატებელი რეიდის შეძლევა ადმირალი რიჩარდ ბერდი სახელმწიფო კომისიის წინაშე წარდგა. მისი განცხადება დაუჯვრებელი და იმავდროულად, შოკის მომგვრულიც აღმოჩნდა საზოგადოებისთვის, უცნაური დისკის ფორმის საფრენი აპარატები ბერლმაც დაადასტურა. მეტიც, მან შეძლევი რამ განაცხადა: „ჩვენთვის სასიცოცხლიდ მნიშვნელოვანია გერმანული ჩქაროსული და მაღალმანევრირებადი თვითმფრინავებისგან თავის დაცვა. ეს საბრძოლო მანქანები აღარ საჭიროებები სისტემატურად მიწაზე დაშვებასა და საწვავით მომარაგებას, ვინაიდან ისინი უმაღლეს ტექნიკურ მიღწევათ გათვალისწინებით არიან დამზადებული და დედამიწის ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ წერტილოვანი დარტყმის განხორციელება“.

უცნაურ მოულენათა სერია ამაზე არ შეჩერებულა. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებმა ანტარქტიდისკენ კიდვე ორი ექსპედიცია გაგზავნეს. თუმცა შედეგი დღემდე უცნობია.

„მაიცც ვინ ცხოვობდა ანტარქტიდაზე?“

ეს ამბები უამრავ შეკითხვას ბადებს. პირველ რიგში, თუკი ბაზა მართლაც არსებობდა ანტარქტიდაზე, როგორ მარაგდებოდა სურ-



დროის განმავლობაში ანტარქტიდაზე ნაცისტური ბაზის ისტორია მისტიკურ საბურულში გაეხვა


სათ-სანოგაით, მედიკამენტებით, საწვავით. წარმოუდგენელია, ვინმეს შეუმჩნეველი დარჩენილა გერმანული საოკეანო ხომალდებისა და ოუნდაც წყალქვეშა ნავების მუდმივი რეისები კვროპასა და ანტარქტიდას, ან ოუნდაც სამხრეთ ამერიკასა და ანტარქტიდას შორის.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ანტარქტიდის თითქმის მთელ კონტინენტზე, სხვადასხვა ქვეყნის — აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ინდოეთის, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო ექსპედიციები ქარიბოდა, რომელგანც ჩართული იყვნენ მსოფლიოს საუკუთხის მეცნიერები. მესამე რაიხის რამე კვალი ამ ტერიტორიაზე, როგორც ცნობილია, არ აღმოჩენილა.

საკმარისია ლეგენდები შეიქმნას, რომ შემდეგ თითქოს ჩვეულებრივ მოვლენებსაც სხვაგვარად ხედავთ. მაგალითად, აუხსნელ მოვლენად მიაჩნიათ ასეთი ფაქტი: 1961 წელს „შირმახერის ოაზისზე“ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო სადგურის, „ნოვოლაზარუვსკიეს“ მახლობლად, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) წარმომადგენლებმა თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა გახსნეს, სახელწოდებით „ნოიმაიერი“, გერმანელი გეოფიზიკოსისა და ანტარქტიდის მკვლევრის, გეორგ ფონ ნოიმაიერის პატივსაცემად. ახალგახსნილმა სადგურმა მაშინვე

აქტიურად დაიწყო მუშაობა. ანტარქტიდის ექსპედიციის მონაწილე საბჭოთა მეცნიერების განმარტებით, გერმანელ კოლეგებთან მათი ურთიერთობა შეიძლება ითქვას, შეზღუდული იყო. რუსებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ, რა ხდებოდა მათ მეზობლად მდებარე ინდოეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სადგურებში. ხოლო რას აკეთებდნენ აღმოსავლეთ გერმანელები, ამის შესახებ არავის არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა. ეს საკითხი დღემდე სრული ბურუსითაა მოცული... თუმცა არ უნდა დავითიწყოთ, რომ „ნოიმაიერელი“ მეცნიერები რკინის ფარდის მეორე მხრიდან იყვნენ ჩასული და კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან კონტაქტი მათ მკაცრად რეგლამენტირებული ექნებოდათ.

ანზორ დისამინისი



მგლისაზი

გულგენ კურაპალატისა და ადარნასა
ქართველთა ეფეზის ბრძოლის ველი



ქართველ მაცლევართა ჭრუფეა ჟამთაცმლისა
და სუმბატ დავითის ძის თხზულებებში
მოხსენიებულ ისტორიულ სოფელს მიაკვლია

საინტერუსო აღმოჩენა ისტორიული არტაანის მხარეში: ქართველ ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთა ჯერუფმა, საკარაუდოდ, იმ ძეგლ ქართულ დასახლებას მიაკვლია, რომელსაც ჯერ იყანე ჯავახიშვილი უშედებოდ ეძებდა და, რომელიც ნიკო მარის რუკაზეც არ არის დატანილი.

პოსტაციები მარტვილების ნაგადებები

ისტორიკოსი მთვარისა თარხნიშვილი იხ-სენებს, როგორ გადაწყვიტა ჯერუფმა ამ მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილი ძეგლების დაზერტვა: „კონსტანტინე მარტვილელის (ოდიშერიას) დღიურის ერთი ნაწილის გაცნობის შემდეგ, ამ მარტრუტით მე და მიხეილ ჩხიგვაძე და ვართლურებულით. გადაუწყვიტეთ გვენახა, რა შემორჩა, როგორი იყო ტოპონიმები მარის მიერ რუკის შედეგენისას და რა სახელწოდება შემორჩათ მათ დღეს.“

წახლამდე დაზერტვას გუგლის რუკითაც

განვაგრძობდით. ორი თვის განმავლობაში საფუძვლიანად შევისწიგლეთ ყველა მასალა, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა“.

გამგზავრების თარიღიც გადაწყდა — 2012 წლის 13 ნოემბერი. კონსტანტინე მარტვილელის მარშრუტს ოთხნი დაადგნენ — თავად მთვარისა, მიხეილ ჩხიგვაძე, ახალციხის უნივერსიტეტის გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტი და რესტაურატორი ბექა კოპაძე და სამხატვრო აკადემიის რესტაურაციის ფუნქციელების მეოთხე კურსის სტუდენტი მარიამ რუბაშვილი.

ფოტოაპარატით, ნაბეჭდით თუ გუგლის რუ-

კებით შეიარაღებულებმა მარტვილელის მიერ აღწერილი მარშრუტი თითქმის სრულად გაიარეს. თუმცა ამ მხარის ნაწილი შეუსწავლელი დარჩათ.

„კონსტანტინე მარტვილელის დღიურებში მოხსენიებული ტაძრებისა და ციხების უმეტესობა დანგრეული დაგვხვდა. კიდევ ერთი ობიექტი გვქონდა გუგლის რუკის საშუალებით მონიშნული, სადაც ჩვენი ვარაუდით, ტაძარი უნდა ყოფილიყო. გეზი ამ მიმართულებით ავიღეთ. ეს არის ყარის გადასახვევიდან, დღევანდელ არდაპასამდე 7190, ხოლო ტრასიდან — 5720 მეტრის დაშორებით.

ვიცოდით, რომ რაღაც დაგვხვდებოდა, მაგრამ ასეთ აღმოჩენას ნამდვილად არ ველოდით. მით უმეტეს, იმ იმედგაცრუების შემდგებ, რაც გამქრალი და განადგურებული ძეგლების ნახვის გამო დაგვეუფლა.

ჩენთვის მოულიდნელად მივაღექით დიდ კომპლექსს, ციხეს, რომელიც გადმოჰყურებს მტკვრის შენაკადს, ნამოსახლარსა და ტაძარს. მისი ტერიტორია, მათ შორის საკურთხეველი, ოქროს მაძიებლებს გაეთხარათ. საკურთხეველში აღმოჩნდა ადამიანის სრული ჩონჩხი და ის საქართველოში გადმოვასვნეოთ.

„ოქროსმაძიებლების“ მიერ ძველად გათხრილი ტაძრის პერანგი მორღვეული დაგვიხვდა, მაგრამ, მძარცველთა ახალი „ნამუშევრის“ წყალობით გამოჩნდა წარწერა“, — ამბობს მთვარისა თარხნიშვილი.

როგორც გაირკვა, არც ეს დასახლება, არც ციხე და ტაძარი ნიკო მარის რუკაზე და XIX საუკუნის რუსულ ხუთვერსიან რუკაზე არ ყოფილა დატანილი. დანგრეული ციხისა და დასახლების კონტურები მაინც კარგად იკითხება. ძვრი ნაგებობის ნაშთია. ციხე გორაზე დგას. დარბაზული ტიპის ტაძარში, რომელიც საკმაოდ დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, ვნახეთ წარწერა, რომელიც ამოკვეთოლია საკურთხევლის უკან ქვაზე და კარგად განირჩევა.

„ქრისტე, შეიცყალე, გუარამავრი“

შ(ეიწეალ)ე, ქ(რ)ი(სტე)(?), გუარამავრი — ასე გაშიფრა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი წარწერა მაგისტრანტმა ნინო ხარშილაძემ. მისივე თქმით, „ტექსტი შეს-

რულებულია ორ სტრიქონად, ნუსხური გრაფიქებით, ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზია. მიუხედავად წარწერის დაზიანებისა და ცალკეული ადგილის ბუნდოვანებისა, ასე თუ ისე აღვაღვინეთ და გავმართეთ წარწერის ტექსტი, საიდანაც დადგინდა, რომ აღნიშნული წარწერა ეკუთვნის ვინმე გუარამავრის, რომელიც ქრისტეს სოხოვს შეწყალებას“.

ნინო ხარშილაძე განმარტავს, რომ ქართულ წერილობით წყაროებში აღნიშნული სახელის მქონე პირი არ გვხვდება. თუმცა, სახელი გუარამავრი დაფიქსირებულია ორ ეპიგრაფიკულ ძეგლზე. ერთი, ატენის სიონის 837 წლის ფრესკულ წარწერაში, სადაც მოიხსენიება „დიოოფალი გუარამავრი“. ხოლო მეორე, სოფელ ქვემო ჭარების ღვთისმშობლის ეკლესიის (ცხინვალის რაიონი) ცენტრალურ ინტერიერში მდგრავ, ხარაისძების ეპიტაფიის სახელით ცნობილ წარწერაში, რომელიც X საუკუნით თარიღდება, იხსენიება ვინმე გუარამავრი.

წარწერის დათარიღება ტექსტში მოხსენიებული პირის მიხედვით ვერ ხერხდება, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული წარწერის პალეოგრაფიულ მონაცემებს.

წარწერა შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით და გრაფემათა მოხაზულობით დიდ მსგავსებას ავლენს: ალასტანის X საუკუნის დაჩი საოლას ძისა და ნოშელის წარწერებთან. სამსარის X-XI საუკუნეების წარწერებთან, ფიას წმინდა გიორგის ეკლესიის X საუკუნით დათარიღებულ წარწერებ-

განძის მაძიებელთა ახალი „ნამუშევრის“ წყალობით წარწერა გამოჩნდა







„დღიურებში მოხსენიებული ტაძრებისა და ციხეების უქმებელია დანგრუელი დაგვხედა. მოულოდნელად მიუაღვით დიდ კომპლექსს, ციხეს, რომელიც გადმოჰქონდა მტკვრის შენაკადს, ნამოსახლარსა და ტაძარს“

თან. ასევე, გრაფემების მოხაზულობა მსგავსებას ავლენს გარეჯის მრავალწელოს XI საუკუნით დათარიღებულ მღლიცველთა წარწერებით.

დაახლოებით ამ პერიოდში უნდა იყოს აგებული ტაძარიც. ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, პროფესორი ირინა გივააშვილი, რომელსაც ფოტოები იღლანდაში გადაუგზავნეთ, ამბობს, რომ ტაძარი საუკეთესოდ გათლილი ქვის კადრებით არის ნაგები: „ქვები სწორ რიგებადაა დაწყობილი ისე, რომ დუღაბი არ ჩანს. ასეთი მაღალი ხარისხის სამშენებლო ტექნიკა იყო აღრუელ ეტაპზე. არაბობის ეპოქაში ეს ხარისხი დაუცა და X საუკუნიდან ისევ მკვიდრდება“.



მთვარისა თარხნიშვილი კი შედარების შემდეგ ამბობს, რომ ახალმიკვლეული ტა- ძარი აგებულებით ჰგავს ჯავახეთის X საუ- კუნის ძეგლებს — სულდასა და აბლარს (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), გნდანსა და საღამოს ეკლესიებს (ნინოწმინდის მუნი- ციპალიტეტი), ფას (ასპინძის მუნიციპალი- ტეტი).

გეგმა ერთნაირია — დარბაზული. სივრცე სწორ კუთხის შემოხაზებს აპიდით. როგორც წესი, არ არის შევრილები. სივრცე გადახუ- რულია ნახევარკამარით. კამარის საყრდენი თაღები ეყრდნობა პილასტრებს.

არქიტექტურული და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკრინათ, რომ თურქეთის ჯავახეთისა და არტაანის საზ- ღვარზე მდებარე ეს ტაძარი ჯავახეთის ძეგ- ლებს ჰგავს.

„ორიდეს ხევსა არტანისასა, სოფელსა მაღინავსა...“

წარწერისა და ტაძრის დათარიღების სა- კითხის გარკვევის შემდეგ ჯუშის წევრთა წი- ნაშე კიდევ ერთი პრობლემა იდგა — დასახ- ლების სახელწოდების გარკვევა.

როგორც მთვარისა თარხნიშვილი ამ- ბობს, დაიწყო თურქული, რუსული და ქარ- თული ისტორიული რეგიონის, ასევე ისტო- რიული კრებულების მოძიება-შესწავლა: „დავიწყეთ ამ დასახლების მიმდებარე ად- გილების ლოკალიზაცია. სხვადასხვა ისტო- რიული რეგიონ დაგადგინეთ, რომ კონკრე- ტულად ამ დასახლების ირგვლივ მდებარე- ობდა ოლჩაჯი (ორჯოკი), დუდუნა, გუგუ- ბა, ური, გულაბერთი.

მასალები გურჯასტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოვიძიეთ. მესამე ტომის დამუშა- ვებისას, სადაც ტექსტებს გეოგრაფიული და ტოპონიმიკური შენიშვნები ერთვის, 530-ე გვერდზე ბატონ სერგი ჯიქიას მიერ დასმულ- მა ერთმა კითხვამ მიიქცა ჩვენი კურადღე- ბა. ის ჩვენ მიერ ჩამოითვლილი სოფლების ძი- დამოებში ექცეს ნასოფლარ მგლინავს, რო- მელიც დავთარის შედგენისას 27-კომლიანი კოფილა და შეუწირავს გადასახადი — 26 ათასი აღჩა“.

სოფლისადმი სერგი ჯიქიას განსაკუთრე- ბული კურადღება გამოუჩნია, რადგან ის ერთ-ერთია, რომელიც ძველ საისტორიო წეა-

როებში იხსენიება. მათ შორის სუმბატ დავი- თის ძის თხზულებაში.

მართლაც, სუმბატ დავითის ძის თხზულე- ბაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ვკითხულობთ: „შემტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმან-ერთსა ზედა ერთ- კრიბი გურგენ კურაპალატმან და ერთა მხს- თა, მეორე კერძო ადარნასე ქართველთა მეფე- მან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესე- ნი ხევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა, და პბრძოლეს ერთმანეთსა“.

მგლინავს ვხედებით უამთააღმწერლის თხზულებაშიც: „ასე გზადაგზა პბრძოლით ალ- თემური და პულაგუ გაწინ მოიწინეს ქვეყანას არტაანისა, სოფელსა, რომელსა ჰქვას მგლი- ნავი“. იგნე ჯავახიშვილი კი წერს, რომ არ- ტაანში მოხსენიებულია სოფელი მგლინავი და ტლაოში, რომელთა ადგილმდებარება ვერ გაფარგვით“, — აღნიშნავს მთვარისა თარ- ხნიშვილი და დასძენს, რომ მათი ჯვუფის მი- ერ აღმოჩენილი ნასოფლარი, X საუკუნის ტა- რითა და ციხით, სწორედ იმ სოფელების გარე- მოცვმია, რომელთაც მკვლევარი სერგი ჯი- ქია მგლინავის გარშემო მდებარედ ასახელებს.

გარდა ამისა, ნასოფლარის გვერდზე ჩა- მომავალი ხევი, რომელიც არტაანიდან (თა- ნამედროვე არდაპანი) სულ 15 კილომეტრი- თა დამორჩეული, მკვლევართა ვარაუდით, ის არტაანის ხევია, რომელიც ისტორიულ წეა- როებში მოხსენიება. ამ ანალიზის საფუძველ- ზე ახალადმოჩნილი დასახლება, სუმბატ და- ვითის ძესთან და უამთააღმწერელთან მოხსე- ნიებული სოფელი მგლინავია.

თეორ პაზარიძე

ექსკურსის მონაწილეები




დოზიერის სასახლე



ვენეციის ცენტრში, წმინდა მარკოზის მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში შიამბეჭდავად წამომართულა დოჟების სასახლე. ეს ვენეციური გოტიკით ნაგები შენობა ერთდროულად დოჟის სამსახურებრივი რეზიდენცია და პირადი საცხოვრისიც იყო.

IX საუკუნეში ვენეციელებმა გადაწყვიტეს, თავიანთი მმართველის რეზიდენცია დღე- ვნდელი რიალტოს ხიდის მახლობლად მდებარე კუნძულების ჯგუფზე გადაეტანათ. აქ

ციხესიმაგრის მსგავსი, არხებით შემოსალტუ- ლი ხის შენობა აიგო. მისი ადგილი უკვე XIV საუკუნეში დაიკავა ქვის უფრო დიდმა ნაგე- ბობამ, რომლის მშენებლობაც 1340 წელს წა-



რიალტოს ხიდი ვენეციაში

მოიწეს. პირველად გაჩნდა ნავმისადგომისკენ გამავალი ფრთა დიდი ანუ „გიგანტების დარბაზით“. თუმცა საბოლოო სახე დოჟების სასახლეშ სამი მოძვევნო საუკუნის განმავლობაში მიიღო. იგი თანდათან გაფართოვდა და იქცა საამაყო შენობად, რომელიც ძლვა-მოსილი საზღვაო-საყაჭრო სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენდა.

კვარცხლბეკის სართული ეყრდნობა მაღალ და მახვილკუთხიან თაღებს, რომელიც მთლიანად ერტყმის მას. ელეგანტური კოლონები გოტიკური ფიგურული სეეტისთავებით მეორდება. მეორე სართულის ლოჯიებში მათი რიტბი კიდვე უფრო და ხევწილი და მიზანსწრაფულია: კვარცხლბეკის სართულის თითო თაღს შეესაბამება ვწეციური გოტიკის სტილში შესრულებული ორი ჩუქურთმდანი ლოჯია. ისინი გაერთიანებულია გოტიკური არქიტექტურის კლასიკური ელემენტით — ე.წ. ტეტრაპასებით, რაც კვარცხლბეკის სართულის თაღებს პროპორციებსა და სტრუქტურას უნარჩუნებს. სასახლის ლოჯიები არ არის გამოწეული, მრავალი ვწეციური შენობისგან განსხვავებით და კვარცხლბეკსა და ზემო სართულებთან ერთად, ფასადის ერთიან სიბრტყეს ქმნის. ზედა სართული აღიქმება დანურულად, კედლის მთლიანობას მხოლოდ რამდენიმე ფანჯარა ანაწევრებს და ამიტომ იქმნება კონტრასტი ქვედა სართულებთან.



ალექსანდრი ქანდაგება „ნოეს თრობა“ (ზემოთ) და წმინდა მარტინზის მოუნის ჩრდილოეთი ნაწილი





მაგრამ ეს „დახურულობა“ მნახველს არ თეგუნავს, მარმარილოს ორნამენტები და სახურავის შემკულობა სტატიკურობის შეგრძნებას თითქმის აქრიბს. ზედა სართულის ეს მოვარდისფრო-თუთო ჩუქურთმები უფრო აბრუშუმის კეთილშობილ კაბას ჰგავს, რომელიც შენობას „აცვია“.

დოჟების სასახლის კუთხებში განლაგე-

◀ ვერონეზე, „ვენეციის აპოთეოზი“



დიდი საბჭოს დარბაზი (54X25 მეტრი) ითვლება შეკვეუნების ცენტრაზე დიდ დარბაზად საყრდენების გარუჩე

ბული კოლონების სკეტისთვების შემამკობელი ალექსანდრიული ქნიდაკებები — „სოლომონის სამსჯავრო“, „ნოეს ორობა“ და „შეცოდება“ 1400 წელს გაჩნდა.

დოჟების სასახლე იყო არა მარტო მთავრობის სახლი, არამედ ვენეციის რესპუბლიკის დიდების, მისი ბატონობისა და ძლევამოსილების სიმბოლო. დოჟებისთვის სასახლე იყო არა მთლიან მართვის ადგილი, არამედ

მუდმივად სამყოფელი რეზიდენციაც — მათ სასახლის დატოვების უფლება მხოლოდ სამსახურებრივი აუცილებლობის შემთხვევაში ჰქონდათ. სასახლის მდიდრული არქიტექტურა და ინტერიერი სრულდა პასუხობდა ფუნქციას — ყოფილიყო აყვავებული ვენეციის ძალაუფლების ცენტრალური აღგილი.


ისევე როგორც ფასადის თაღები, ასევე ლამაზად მისდევს შიგნით ერთმანეთს, „ხელისუფ-



აღმართისული ქანდაკება „სოლომონის სამსჯავრო“
(ზემოთ) და ტინტორეტოს მინატული ჭური (ქვემოთ)

ლების საკადრისი“ უმდიდრესი პალატები, დარბაზები და ოთახები. „დიდი საბჭოს დარბაზი (სიგრძე 54 მ და სიგანე 25 მ) მიიჩნევა შუა საუკუნეების უძიდეს დარბაზად საყრდენების გარეშე. მისი კედლები დაფარულია ვენეციის რესპუბლიკის დიდების ამსახველი სურათებით. აქ იკრიბებოდა ჯერ 480, შემდეგ კი 1700 ვენეციელი პატრიციუსი, ვინც ქვეწის ბედს წყვეტდა. დარბაზი სასახლეში 1340 წლიდან არსებობდა, თუმცა 1577 წლის ხანძრის შემდეგ დაიწყო და მისი შიდა ნაწილი შესაცვლელი გახდა. ტინტორეტოს მიერ შესრულებულ ჭურის ცენტრალურ სურათზე გამოსახულია ვენეცია, რომელიც დოჟს ზეთისხილის ტოტს უწევდის. ვერონეს მიერ შესრულებულ „ვენეციის აპოთეოზში“ კი არა მარტო ვენეციის კველა საზოგადოებრივი ფენაა ასახული, არამედ აღვერორიულადა წარმოდგენილი მშეიღობა და სიმძიდრე. დარბაზის კედლთან მდგრმი დოჟის ტახტის თავზე ასევე ტინტორეტოს ტილო პკიდია, რომელიც მართალია, არ ითვლება „საუკეთესო ფერწერულ ნამუშევრად“, სამაგიეროდ, „ყველაზე დიდა“ ზომებით: 7X22 მეტრი.

რესპუბლიკა „დიდი საბჭოს დარბაზიდან“ იმართებოდა, აქ ქრისტოდა აუდიენციები და იმართებოდა სასამართლოებიც. საბჭო, რომელიც დოჟის გარდა მინისტრების, მრჩევლებისა და უზენაესი მოსამართლეებისგან შედ-





ღიდი კიბე სასახლის შიდა გზოში







შიდა ეზოს საურიო ხედი და საათი

გებოდა, ტრიბუნაზე იჯდა და იქ გამოკვინდა გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლო და ინკვიზიცია კი „ათა საბჭოს დარბაზში“ მართავდა კრებებს, სადაც იხილებოდა ჯაშუმობისა და სახელმწიფო ღალატის საქმეები. ასევე უფრო „წვრილი“ დანაშაულები, მაგალითად, ძალადობა.

ოხვრის ხიდი

დოჟების სასახლის გვერდით, უშუალოდ არხის გადაღმა, მდებარეობს ცნობილი ციხე ტკივის საკუნძბით. ორივე შენობა მომცრო დახურული ხიდითა შეერთებული და განაჩენის გამოტანის შემდეგ სასახლიდან პატიმრები ამ ხიდით პირდაპირ ციხეში გადაჰყავდათ. დახურული ხიდის ფაზჯებიდან მსჯავრდაღებულებს შეეძლოთ, უკანასკნელად შევლოთ მზერა თავისუფლებისთვის და რაღა თქმა უნდა, საკუთარ ბერზე მწარედ ოხრავდნენ — ხიდს სახელი სწორედ ამის გამო ქროდა.

ამჟამად კი ოხვრის ხიდის სახელი სხვა, უფრო რომანტიკულ ლეგენდას დაუკავშირდა — თუ შეკვრებულები ხიდზე აკოცებენ ერთმანეთს, მათი სიყვარული დიდხანს გაგრძელდება. ამ შემთხვევაში ხიდი უკვე „ბედნიერების ოხვრის“ ხიდად უნდა ჩაითვალოს.


მოაშადა რამაზ გურგენიძემ



შიდა ეზოდან წმინდა მარტოზის ცნობილი ტაძრის გუმბათი მოჩანს



დანიელ სვაროვსკის „ბრწყინვალე ბიზნესი“



დანიელ სვაროვსკიმ ელიტურ საზოგადოებას ბროლის კრისტალები შეაყვარა, ასე ძალიან რომ პგაჟს ბრილიანტებს. თანაც თავისი წინამორბედის, ქორე ფრედერიკ სტრასისგან განსხვავებით, სვაროვსკის არასტროს დაუმაღავს, რომ მისი ნაწარმი ბროლისვან მხადვებოდა და ბრილიანტის იმიტაცია გახლდათ დღეს სვაროვსკის სახლი აუსტრიისთვის იმავეს ნიშნავს, რასაც მაგალითად, როკფელერის — ამერიკის შევრთული შტატებისთვის.

დანიელ სვაროვსკი 1862 წლის 24 ოქტომბერს დაიბადა ჩრდილოეთ ბოკემიის სოფელ გეორგენტალში (მაშინდელ ავსტრია-უნგრეთში). ეს მხარე განთქმული იყო ბროლის ოსტატებით. მისი ოჯახიც ამ საქმეს მისდევ-

და და მამამისს მინის მცირე საამქროც ჰქონდა, რითაც სვაროვსკებს თავი გაქვერდათ. პატარა დანიელი, რა თქმა უნდა, მამას სახელოსნოში ქმარებოდა, თუმცა გული მუსიკის-კენ მიუწვდა და მევიოლინეობაზე ოცნებობ-



და. სამწუხაროდ, მევიოლინეობა არ გამოუკიდა და პარიზში გაემგზავრა სასწავლებლად. სწორედ იქ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ბროლის მომავალი ოსტატის ცხოვრება შეცემლა.

პარიზში სგაროვსყი მოხვდა ელექტრობის მსოფლიო გამოფენაზე, სადაც ტექნოლოგიასა და მეცნიერების უძრავ იმდროინდელ მიღწევას გაეცნო. მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ელექტროდენის გამოყენების შესაძლებლობამ მინის დამუშავებაში.

გავიდა წლები. გამოფენიდან ათი წლის

შემდეგ, 1891 წელს, სვაროვსკიმ შექმნა მსოფლიოში პირველი მინის გასაპრიალებელი (სახე-გვრი) მანქანა და მაშინვე დააპატენტა. დანიელი მახვდა, რომ ძალები მქარმეობაში უნდა მოესწოდა. შმიბლიურ სოფელში აღარ დაბრუნებულა, აღბათ მიიჩნია, რომ იქ მრავალი კონკურენტი ეყოლებოდა, და ავსტრიულ პროგნოზია ტიროლითნ ახლოს პატარა სოფელ გატენის მიაშერა. სწორედ იქ გახსნა 1895 წელს პირველი ფაბრიკა სახელწოდებით სვაროვსკი.

თვედაპირველად კომპანიას D.S. & Co ქოდებოდა, ანუ „დანიელ სვაროვსკი და კომპა-



დანიელ სკაროვსკი

დანიელმა თავიდანუ განაცხადა, რომ მისი
ქმნილების სულაც არ იყო ძირიფასი თვედები,
თუმცა თითქმის ვერ გაარჩევდათ ერთმანეთსგან



მანფრედ სკაროვსკი, დანიელის შვილიშვილი



ნია“. სკაროვსკიმ დაიწყო ძვირფას თვლებს მიმსგავსებული კრისტალების დამზადება. მათ-ზე მოთხოვნილება დიდი იყო, რადგან გაცილებით იაფი ღირდა და მალე მოდური აქსესუარიც გახდა.

XX საუკუნის დასაწყისში კომპანია შეკვეთებს ვეღარ აუდიოდა, ფირმის სახელწოდებაც უბრალოდ Swarovski-ით შეიცვალა.

ის, რაც თავის დროზე სხვამ გააყალბა და ისე გამოუშვა, სკაროვსკის ხელში ახალ, მოდურ ტენდენციად იქცა — დანიელმა თავიდანუ განაცხადა, რომ მისი ქმნილება სულაც არ იყო ბრილიანტი, თუმცა თითქმის ვერ გაარჩევდით მისგან.

ლეგენდის დაბადება

პროდუქციაზე დიდმა მოთხოვნამ კომპანიის გაფართოება განაპირობა. სკაროვსკიმ დამატებით 200 თანამშრომელი აიყვანა. მისი ნაწარმი ვეროპამ აიტაცა, პარიზისა თუ პეტერბურგის ელიტამ დანახვისთანუ შეიფერა სკაროვსკის სამკაულები. თანაც, ფასის წყალობით, მისი ყიდვა არა მარტო მდიდრებს შეეძლოთ.

კომპანიის მუშაობაში ჩაერთო დანიელის სამი ვაჟი, რამაც ბიზნესი მართლაც ოჯახური გახადა. სკაროვსკები დიდ დროს უთმობრნენ სამუშაოს, ცდილობდნენ ბროლის დამუშავებას სრულად ახალი ტექნილოგიის შექმნას. მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და საიუველირო ნაწარმისთვის ვეროპაში აღარავის ეცალა, ამერიკის ბაზრამდე კი ჯერ კიდევ შორი გზა იდო.

სკაროვსკებმა შექმნეს კომპანიის შვილობილი საწარმო Tyrolit-ი, რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა მასალას სახელით და დასაწახნაგებელი ჩარხებისთვის. ეს კომპანია დღემდე მოქმედებს. ძირითადი ფირმის გარდა კი კიდევ ოთხი კომპანია შეიქმნა.

დადგა 20-იანი წლები და მდგომარეობა დასტაბილურდა. კომპანიამ, პირველ რიგში, ბროლის ახალი ტექნილოგიით წარმოებას მიჰყო ხელი. სკაროვსკის ნაწარმს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. კომპანიის კონკურენტები ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებოდნენ, დანიელის ფირმა კი უფრო და უფრო ბრწყინავდა და კაშკაშებდა, ხოლო როცა სკაროვსკის ნაწარმს ყურადღება თვით კოკო შანელმა მიაქცია, მთელი მოდის სამყარო მისაქნ შეტრიალდა.

ქომპანიამ უდიდეს წარმატებას მრავალი პატენტისა და იმ საიდუმლო ფორმულის წყალობით მიაღწია, რომელიც დღემდე არავის-თვის გაუმხელიათ სვაროვსკის თვლების ბრილიანტისებური ელვარების საიდუმლო დღემდე აუქსნელია, ისინი სხვებზე მეტად კაშაბებს და ბრილიანტისგან წნელი გასარჩევაა. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ასეთი ეფექტი ტყვიის დამატებით მიიღწევა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სვაროვსკები ბროლის დაწახნავების მეთოდოლოგიას ისეთ დონეზე ფლობენ, როგორც სხეა არავინ მსოფლიოში.

ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სვაროვსკები მხოლოდ ფუფუნების საგნებს ამზადებენ. 1929 წელს გამოჩნდა ბრენდი **Swareflex**-ი, რომლითაც ოპტიკური ხელსაწყოები და ბინოკლები იყო ნიშანდებული.

მეორე მსოფლიო ომის დროს ქომპანიას საქმიანობა არ შეუწევეტია, რადგან სვაროვსკი ახალ ბაზარზე — ამერიკის შეერთებულ შტატებში გავიდა. ომის დასრულების შემდეგ ცხოვრება ნელ-ნელა დგებოდა კალაპოტში, მოთხოვნა ფუფუნების საგნებზე ისევ ჩნდებოდა. იმხანად „სვაროვსკიმ“ სახლი გაითქვა იმით, რომ მასობრივ პროდუქციასთან ერთად, ჰქომარიტად ინდივიდუალურ ნაწარმს უშვებდა.

სვაროვსკის მინი დეკორაცია გატენის ქუჩაში



ჩვილის
საწოვავი

სამაჯურო



უკი რეკა...





გატენის მუზეუმი



96 ისტორია - იანვარი 2013



გატენის დარბაზები



ფირმის სულისხამდგმელი დანიელ სვაროვ-სკი 1956 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ოჯა-ხური ბიზნესი იძდებად მყარად იდგა, რომ ბურჯის გამოცლა არ დასტურდა.

ფირმისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა დანიელის შვილიშვილის მანფრედის მი-ერ შექნილი ტექნოლოგია, რომლის საშუა-ლებითაც შესაძლებელი გახდა მანამდე არ-ნახული, ფერადი კრისტალების დაშაადება. ეს ერთგვარი რეცოლუცია იყო ამ საქმეში, და როგორც ცველა რეცოლუციას, ამასც ხალ-ხის დიდი მასების აღტაცება მოჰყვა — მდიდ-რები პირდაპირ დახლებიდან იტაცებლენენ ფე-რად-ფერად ნაკეთობებს.

გადიოდა დრო და კომპანიის ასორტიმენ-ტიც ფეხებოდა. „სვაროვსკის“ ახალ მიმართუ-ლებად იქცა ბროლი ჭაღებისთვის. 1976 წლი-დან კომპანიაში საკოლექციო სუვენირების გა-მოშვება დაიწყეს. პირველი — ბროლის თა-გუნა გახლდათ, რომელზეც არათუ მოთხოვ-ნილება იზრდებოდა, არამედ „სვაროვსკის“ კოლექციონერთა კლუბიც კი ჩამოყალიბდა. დღესდღეობით ამ კლუბში მსოფლიოს მას-ტუაბით 500 ათასი კაცია გაერთიანებული.

ბოკემიური ბროლის „რაცსოდია“

მრავალ წელია, სხვა კომპანიები ცდილო-ბენ ახსნან „სვაროვსკის“ უნიკალური ბროლუქ-ციის საიდუმლო, მაგრამ ამაოდ ალბათ ვერც კრასდროს შეძლებენ ამას, რადგან ფირმა სა-გულდაგულოდ მაღავს თავისი წრმატების სა-იდუმლოს. მხოლოდ ის არის ცნობილი, რის წეალობით ბრწყინვა ასე „სვაროვსკის“ კრისტალები. ამის მიზნით ტექნიკის უნგის დახლო-ებით 32%-იანი შემადგრნლობაა. ეს ნივთიერება, რასაკირველია, „ჩვეულებრივ“ კრისტა-ლებშიც შედის, თუმცა არ უშეტეს 24%-ისა. დასასრულ, არავინ დაობს „სვაროვსკის“ უნიკალურ მოხვეწის ტექნოლოგიაზე. აღსანიშნა-ვა, რომ ფირმას ბროლის კრისტალის ზედა-პირის დამზადების არაერთი შეთოდი აქვს შე-მუშავებული. რაც უნდა იმკითხაონ კონკურენ-ტებმა თუ უბრალოდ, ცნობისმუქარებმა, „სვა-როვსკის“ წარმოება — საიდუმლოა. ეს კომპა-ნიის თანამშრომლებმაც კარგად იციან და სწო-რებ ამიტომ, ამა თუ იმ ნაწარმის დაშაადების შემდგე შემქმნელები მის შესახებ არსებულ დო-კუმენტაციას ანადგურებენ — საკოლექციო სე-




ექსპონატები საფირმო მუზეუმში
სვაროვსკის თვლებით მოუჭიდეს „მურსედეს“



„მედუზები“

ექსპოზიცია მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში





კიბე ერთ-ერთ საოქანო საკრუზო დაინერში

დანიელ სვაროვსკის სკულპტურა გატენეში



98 | ისტორიული - იუნიაჲი 2013

რიისთვის განკუთვნილი უნიკალური მოდელი არ უნდა განმეორდეს. წებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც დაწახნაგებისას გამოიყენება, მხოლოდ ფირმისვე დამზადებულია და ეს მისი დაფუძნების დღიდან ასეა.

დღი ხნის განმავლობაში „სვაროვსკის“ ლოგო კვეთილი (ედულვაისი) გახლდათ, თუმცა 1988 წლიდან ის გედის გამოსახულებამ შეცვალა, რომელიც სხვადასხვა ხალხისთვის ელგანტურობასა და პარმონიასთან ასოცირდება. კომპანიის ას წლის იუბილეზე ვატენსმი „სვაროვსკის“ უნიკალური მუზეუმი გაიხსნა. ეს არის ნამდვილი ბროლის გამოქვაბული, სადაც აღფრთოვანებული ექსპურსანტები დადიან. მუზეუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახლავთ „სვაროვსკის“ უზარმაზარი კრისტალი, რომელიც 62 კილოგრამს იწონის, დიამეტრი კი 40 სანტიმეტრია. დამზადებისას იგი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც უდიდესი კრისტალი მსოფლიოში. მუზეუმში შეგიძლიათ ნახოთ კველაზე პაწია კრისტალიც – სულ რაღაც 0,8 მილიმეტრი დიამეტრისა. 2004 წელს კი კომპანიამ დაამზადა 274 სანტიმეტრი დიამეტრის კრისტალი, წონით თითქმის 250 კილოგრამი.

დღესდღეობით ფირმა უშვებს ხარისხიან ბიუგურიაში გამოსაყენებელი კრისტალების 80%-ს. შტაბ-ბინა მკელებურად ავსტრიის პატარა სოფელ ვატენსმი მდებარეობს. კომპანია დღემდე კრიზისა და მას დანიელ სვაროვსკის შთამომავლები მართავნ. ბრუნდი დღესაც უზადო იმიჯით სარგებლობს და „სვაროვსკის“ რომელიმე ქმნილების ფლობა კვლავაც საამაყო და პრესტიულობა, თუმცა ფირმა არც რეკლამირებას თაკილობს. მაგალითად, ფილმ „ოპერის აჩრდილში“ ბრუნდი აქტივურად არის რეკლამირებული, იქ ჩანს კომპანიის მაღაზიაც (დღეს ფირმას მაღაზიათა საკუთარი ქსელი აქვს).

2002 წელს კომპანიის სათავეში სვაროვსკის მქეუთე თაობა მოვიდა. კომპანიის წლიური შემოსვალი \$2 მილიარდია. ამჟამად ფირმა დღეში 200 მილიონ კრისტალს აწახნავებს. ის ბროლისგან აწარმოებს სკულპტურებსა და მინიატიურებს, სამშვინისებს, ბიუტერიას, სამოსს, ჭაღებს და სხვ. „სვაროვსკის“ კომპონენტებს კრისტალებისა და მბივების სახით, არაერთი ოსტატი, დიზაინერი და მხატვარი იყენებს.

მოამზადა ნატა ენუქიძემ

3 ექიპი

შექმნა დიზაინი

რობორ
შერაცხეს
დრეიზინის
გამოგოვებელი
შექმნილად

რამდენიმე წელის წინ დიდ ბრიტანეთში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, კაცობრიობის უდიდეს ტექნიკურ გამოგონებად, რომელიც 1800 წლის შემდეგ შეიქმნა, კელოსისტერი დასახელდა. მას ხმა გამოკითხულთა იმაზე დიდმა რაოდენობამ ძისცა, ვიღრე ერთად აღიძულ სხვა დანარჩენს. მართლაც, დღეს მსოფლიოში მიღლარდზე მეტი კელოსისტერია და ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატრანსპორტო საშუალებაა. ასეთად კი ის შედარებით დაბალმა ფასმა, ძირი ზომებმა და სიმსუბუქებმ, საწავის საჭიროების არარსებობამ, უსაფრთხოებამ და მოხერხებულობამ აქცია.

ფასების მიმართ გრადულები

ცნობილი გამონათქვმისა არ იყოს, ველოსიპედის ხელახლა გამოგონება დღეს საჭირო ნამდვილად არ არის, თუმცა ვინ და როდის გამოიგონა სინამდვილეში ის, ამაზე ზუსტი პასუხი ექსპერტებს აქამდე არ აქვთ. საქმეს ის ართულებს, რომ იმას, რაც დღვევანდელი გაგებით კელოსისტერია, წინ არაერთი გამოგონება უსწრებდა, რომელიც მისი კონსტრუქციის ამა თუ იმ ელემენტს შეიცავდა.

თუ მაინც ღრმად ჩავეძიებით გადაადგილების ამ ორთვალა საშუალების წარმოშობის ისტორიას, ათასწლეულებით წინ, ძველი გვეიპტის ეპოქაში მოგვიწევს მოგზაურობა. მკვლევრებს აქვთ მონაცემები, რომ გვიპტელებს მართლაც ჰქონდათ ორბორბლიანი მე-


ქანიზმი, რომელსაც მძღოლი ფეხების საშუალებით ამობრავებდა.

ადამიანის დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის განკუთვნილი ორთვალი XV საუკუნის წყაროებშიც გვხვდება. მაგალითად, 1447 წლით დათარიღებულ მაინინგენის ქრონიკები ნახენებია მექანიზმი, რომელიც მოძრაობაში ადამიანს საკუთარი ძალის სმევით მოჰყავს.

ერთი პირებლი კელოსისტერის შექმნას დიდი იტალიელ მხატვარსა და გამომგონებელ ლეონარდო და ვინჩის, სხვები კი მის მოსწავლე ჯაკომო კაპროტის მაწერენ, თუმცა 1493 წლით დათარიღებული ნახატი, სადაც გმოსახულია ორთვლიანი მექანიზმი, საჭიროა და ჯაჭვური გადაცემით, ბევრის აზრით, ფალსიფიკაციაა.



კარლ ფონ დრეიზის შემძლობად შერაცხვისას
ნივთმტკიცებული მიხევ გამოვრნები გამოიყენეს!



სკამით და საჭით აღჭურვილი ორივინალური
თვითმეორებული ფონ დრეიზმა 1818 წლის 17
თებერვალს დააპატენტა

ასევე შეთხეულია ვინმე გრაფ დე სივრაკის მიერ 1791 წლით დათარიღებული თვითმეორებულის შექმნის ამბავიც, რომელიც ურანგი ჟურნალისტის, ლუი ბოდრის ფანტაზიის ნაყოფია.

სხვა ლეგნდა გერმანელ მეურმე მიხაელ კასლერზე გვიამბობს, რომელსაც ერთი სოფელიდან მეორემდე მისასვლელად 2 კილომეტრი ორთვალათი თვალის დახამხამებაში დაუფარავს. კასლერის „მანქანას“ ლითონის სალტებიანი ხის ბორბლები ჰქონდა, რომლებით საგარმლით ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული. როგორც ვარაუდობენ, მისი წონა დაახლოებით 125 კილოგრამი უნდა კონფილიყო...

გადმოცემის თანახმად, მეურმე გამომგონებლად მთლად საგუთარი წებით არ ქცეულა. თურმე ერთ დღეს, როდესაც კასლერს სამუშაოზე პელავ დაუგვიანია, გაბრაზებულ უფროსს შეუძახია: „ბედოვლათო, ვებ ფეხებზე ბორბლები მივგება?!“

პოდა, როგორც ჩანს, კასლერმა შენიშვნა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო...

გამოგონება და სასჯელი

ველოსიპედის დასაბამი მაინც 1817 წლით უნდა დავთარიღოთ და ის გერმანელ გამომგონებელს, კარლ ფორნ დრეიზს (1785-1851) დაუკავშიროთ.

დრეიზი გერმანიის ქალაქ კარსლრუეს მკვიდრი იყო და მეტყველ მუშაობდა. რადგანაც არცუებული გრძელება მექანიკასა და მათემატიკში და თან მუდმივად უწევდა ცხენზე ამხედრებულს ვეებერთელა ტრიტორიის შემოვლა, ერთ დღესაც თავში ისეთი მექანიზმის შექმნის იდეა მოსვლია, რომელიც დიდი მანძილის დაფარვაში დაქმარებოდა.

მახვილგონიერმა მეტყველ თვაისი ორმეტრ-ნახევრიანი თვითმეორებულის, რომელსაც 30-დუიმიანი ბორბლები ჰქონდა, მოდერნიზება მოახდინა და წინა თვალი მართვადად გარდაუქმნა.

და აი, 1818 წლის 17 თებერვალს დრეიზმა დააპატენტა კიდეც თვაისი წარმოსახვის ნაყოფი — ორიგინალური თვითმეორები, რომელიც სკამითა და საჭით იყო აღჭურვილი. კინსტრუქცია ხის იყო და არ ჰქონდა სატერფულები, ამიტომ მასზე მჯდომის გასაგორებლად ფეხი მიწისთვის უნდა დაეკრა. მართალია, მას

დრეიზმა *Lauftmashcine* (სასიარულო მანქანა) უწოდა, თუმცა ხალხმა ის აეტორის პატივ-საცემად „დრეიზინად“ მონათლა.

ისე კი, ქალაქ კარსლრუჟეს მცხოვრებლებს „დრეიზინა“ დაპატენტებამდეც ჰქონდათ ნანახი. იძროინდელი გაზეთები იტყობინებოდნენ კიდეც, რომ 1816 წლის გაზაფხულზე დრეიზის თვეის ტრანსპორტით 14 მილი საათში 9 მილის სიჩქარით დაუფარავს.


ცალენ აღნიშვნის ღირსია თავად კონსტრუქტორის სვე-ბედი — გამოგონების საქვენოდ ჩვენების შემდეგ, სატყეო სამმართველოს ხელმძღვანელობამ დრეიზი დაიბარა და სამსახურიდან დათხოვნით დაუმუქრა. მეტიც, გამომგონებელი გააფრთხილეს, თუ კიდევ მსგავს „საფრთხობელას“ გააკეთებ და შეის სინათლეზე გამოაჭენებ, ჩვენი უწყების მთელი გერმანიის მასშტაბით შერცხვენისთვის საგიერთში გიყრავთ თავსო.

ხელმომჭირნედ მცხოვრები ფონ დრეიზი, რომლისთვისაც სამსახურის დაკარგვა შიმშილით სიკვდილს ნიშნავდა, მორჩილად დათანხმდა ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და ალბათ ვერაჯინ გაიგებდა გენიალური მეტყველის ქმნილების შესახებ, რომ არა 1816 წლის ამინდის ანომალია...

თურმე იმ ზაფხულს გერმანიაში ისე ცოოდა, მოუთოვა კიდეც. შეღეგად, თითქმის მთლიანად განადგურებულა მოსავალი და გლეხობაც იძულებული გამხდარა, პირუტყვის სრულებით გაწწვიტა, რადგან ზამთარში მის



კულონისტები პიერ მიშოს სამარჯო ნიშნით



დაუჭუსტებელია, ვინ გაუკეთა პირველად კულონისტების სატერიტოები, თუმცა ერთ-ერთი კურსით ამს ფრანგ ინიციერ პიერ ლალმანს (1863 წ.) უნდა კუმაღლოოდი

რბოლა
ლუქსემბურგის
ბაღში.
პარიზი,
1818 წ.





უკვე 1886 წლისთვის კონსტრუქტორები საგანგებოდ წყვალთათვის ასეთ კვადროციკლებსაც ქმნიდნენ

გამოკვებას ვერაფრით შეძლებდა.

რა თქმა უნდა, იგივე ბედი ქრისტოფერ ცხენებსაც და სწორებ მაშინ კველას ფონ დრეიზის „ნის ცხენი“ გაასხენდა. „დრეიზინას“ აღიარების ჯერიც მაშინ დადგა — ჯაღისნური თვითმგორიათ არა მხოლოდ მდაბიონი, თვით ბავარიის კრონპრინციც მოიხიბლა, რომელმაც მამას, იმჟამინდელ ბავარიის მეფეს სთხოვა, მეზობელ საპეტროვოგოში მცხოვრები გამომგონებელი დაჯვილდოებინა.

სწორებ სამეფო ოჯახის წევრთა კეთილგანწყობით შეგულიანების შემდეგ შეძლო ფონ დრეიზმა თვითი გამოგონების დაპატენტება და სატექნიკობის ბრივი ჩინონიკითა დადგება.

თუმცა დროებით ამ უკანასკნელთ ბოლმა გულში ჩაიმარხეს და დაელოდნენ იმ დღეს, როდესაც რეგანშის აღებას შეძლებდნენ. ამის საშუალება კი მათ კარგა ხანს არ მისცემიათ — ფონ დრეიზი, როგორც გამომგონებელი, ზეპოპულარული გახდა და არც მხოლოდ პირველი ველოსიპედის შექმნით დაგმაყოფილდა. დრეიზმა ასევე გააკვთა თავისებური ხორცის საკეთი მანქანა, 16-კლავიშინი საბეჭდი მანქანა და ეტლი, რომელიც რელსებზე გადაადგილდებოდა.

საქმე ის არის, რომ გამომგონებელი საკმაოდ თანაუგრძნობდა გერმანიის 1848-1849

წლების რევოლუციას. მართალია, მისი ჩახშობის შემდეგ პირადად ფონ დრეიზს არავინ შეხებია, მაგრამ დიდგვაროვანმა მფარველებმა მას ზურგი აქციეს. ამით კი ისარგებლეს ფონ დრეიზის მტრებმა და საბოლოოდ იმდენი ქნეს, გამომგონებული სულით ავადმყოფად შერაცხეს. თანაც, ამ ვერდიქტის გამოტანისას მთავარ ნივთმტკიცებებად მისივე გამოგონებები დასახელდა!

იმდროინდელი გერმანელი მოხელეების ლოგიკა დღეს კი გაუგებარია, მაგრამ მაშინ აშკარად რეინისებური იყო — ნორმალური ადამიანები არ აკეთებენ ამოუცნობ და გაუგებარ ნივთებს. და რადგანაც ფონ დრეიზი ქმნის ასეთ რაღაცებს, ესე იგი, შეშლილია!

სულით ავადმყოფად შერაცხულ გამომგონებელს შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მისი მთელი ქონება და ფინანსები განსაკარგავად სხვებს გადასცეს. ამან საბოლოოდ გატეხა კიდევ დრეიზი და 1851 წელს კაცს, რომელმაც კაცობრიობას პირველი ველოსიპედი აჩქა, მარტოობასა და სიღატაკეში აღმოხდა სული.

ველოსიპედის „ჩაცვა-დახურვა“

დაუზუსტებელია, ვინ გაუკვთა პირველად ველოსიპედს სატერფულები. ერთი ვერსიით, ამას შოტლანდიელ მჭედლელს კირკპატრიკ მკემილანს (1840 წ.) უნდა ვუმაღლოდეთ, მეორით კი ფრანგ ინჟინერ პიერ ლალმანს (1863 წ.).

კიდევ სხვა ვერსიით, 1860 წელს პარიზელმა მეუტლე პიერ მიშომ, რომელიც ძევლი თვითმგორავის შეკეთებას ლამობდა, წინა ბორბალს ორი სატერფული გაუკეთა. იდეამ არათუ გაამართლა, მოლოდინს გადასჭარბა კიდევ — სულ რაღაც ორ წელიწადში პიერმა და მისმა მამა ერნესტმა ასეთი „მექანიზმის“ სერიულად გამოშვება დაიწყეს და მას „ველოსიპედი“ უწოდეს.

როგორც ამბობენ, მშების ბიზნესი ხელად აყვავდა — მათი წარმადობა წელიწადში 400 ველოსიპედს შეადგენდა.

ევროპაში ველოსიპედი სწრაფად აიტაცეს და მის სრულყოფასაც გამალებით მიჰყევს ზელი. თუმცა მანმდევ ველოსიპედს ძირითადად ხისგან ამზადებდნენ, მომდევნო წლებში ბორბლებს რეზინი გადააცვეს, „ჩონჩხის“ აწყობა კი ლითონის მილებისგან დაიწყეს.

1870 წელს ინგლისელმა პიმანმა ვეგბერ-

თელა ბორბლების მქონე, მთლიანად ლითონისგან დაშადებული ველოსიპედების გაყიდვით გაითქვა სახელი. წინა თვალი 54 დუიმს შეადგენდა (თანამედროვე ჩვეულებრივი ბორბალი ორჯერ პატარა — 27-დუიმიანია).

ჯაჭვური გადაცემით პირველი ველოსიპედი 1879 წელს, ინგლისელმა პერი ლოუსონმა შექმნა, 1888 წელს კი ჯონ ბოიდ დანალოპმა ის პირველი პნეუმატური საბურავით დაამშენა.

ველოსიპედზე ამხედრებულ ადამიანებს მხოლოდ დანიშნულების ადგილამდე მისვლა აღარ აქმაყოფილებდათ და ერთმანეთთან შეჯიბრების სურვილიც აღეძრათ. ასე გაჩნდა ველოსიპორტი — 1868 წლის 31 მარტს! ამ დღეს პარიზში, სენ-კლეს პარკში პირველი რეგისტრირებული ველორბოლა გაიმართა, რომელშიც გამარჯვებული ინგლისელი ექიმი ჯეიმს მური გახდა.

იაზო და იორდა

XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, მრავალი ქვეყნის საფოსტო სამსახურისთვის ველოსიპედი შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალებაა. დიდ ბრიტანეთში 37 ათასამდე ველოსიპედისტი ფოსტალიონია, გერმანიაში — 27,5 ათასი, უნგრეთში — 10,5 ათასი.

ველოსიპედს არაერთი ქვეყნის პოლიცია

იყენებს ქუჩების პატრულირებისთვის. სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან ველოპატრულის უპირატესობა სავტომობილო საცობებისგან თავის დაღწევის, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ზონებში პატრულირებისა და ეჭვმიტანილთან უხმაუროდ მიახლოების შესაძლებლობაა.

მრავალ ქალაქში, მათ შორის ლონდონსა და ტალინში, „სასწრაფო დახმარების“ ექიმები გადაადგილებას ხშირად ველოსიპედით ამჯობინებენ.

ველოსიპედს ბედმა მხოლოდ „მშვიდობის მყოფელობითი“ ფუნქცია არ შესძინა. მან დიდი გამოყენება პოვა სამხედრო საქმეშიც.

ველოსიპედს დაზვერვისა და შეტყობინების გადასაცემად ჯერ კიდვე ინგლის-ბურების ომის დროს (1899-1902) ორივე მხარე (დიდი ბრიტანეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები) წარმატებით იყენებდა.


ველოსიპედს განსაკუთრებული როლი პქინდა პირველი მსოფლიო ომის დროსაც, როგორც დაწვერვისა და შეტყობინების გადაცემის, ისე დაპირილთა ტრანსპორტირების მისიებში. ველოსიპედი წარმატებით გამოიყენა იაპონიაში 1937 წელს ჩინეთში, 1941 წელს კი ინგანურში შექრის დროს.

ვერმახტში ყველა ქვეითი დივიზიის დაზერვის ბატალიონებში შედიოდა ველოსიპე-



**ჯეიმს მური ველოსიპედით,
რომელიმც 1869 წლის პირველი
ველორბოლა მოიგო პარიზში**

**ველორბოლა მინესოტის
შტატში (აშშ), 1880-იანი წლების მიწურულს**





მეორე მსოფლიო ომის დროს პარაშუტისტების ზოგიერთი ნაწილის კეიპინიუბაში დასაქციო კელოსიბერები შედორდა



1938 წლის 1-ელ მაისს წითელ მოუდანზე გამართულ აღლუმშე საბჭოთა კელოსიბერების სუბჟაქტურულობა ჩააიტანა

სოფლიოთ არაერთი მუშაობისას ქუჩებში პოლიცია კელოსიბერით პატრულიშვილს



დისტანციული დანაყოფები. ეს სატრანსპორტო საშუალება შეუდარებელი იყო ათასობით ჯარისკაცის ერთი ადგილიდან მეორემდე, მოწინააღმდეგისთვის შეუმჩნევლად გადასროლისთვის. თანაც კელოსიბერებს არ სჭირდებოდა საწვევი.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა ოპერაციებში მონაწილეობდნენ პარაშუტისტები, რომელთა ეკაპირებაში დასაქციო კელოსიბერები შედიოდა.

კელოსიბერებს ტვირთების გადასატანად იყენებდნენ პარტიზანები ვიეტნამის ომის დროს. შევეძეთის შეიარაღებულ ძალებში კელოსიბერისთვის დანაყოფებმა 2001 წლამდე, შევიცარიაში კი 2003 წლამდე იარსება. არსებობს ცნობები, რომ ამერიკული სპეციალისტი ავღანურ კამპანიაში კელოსიბერებაც იყენებს.

რაც ყველაზე საინტერესოა, ფონ დრეიზის გენიალური ქმნილების პოპულარობას ვერაფერი დაკავლ უფრო გვიანდელმა გადაადგილების საშუალებებმა — მოტოციკლმა და ავტომობილმა.

სხვათა შორის, ზინდელფინგენში, „მერსედეს-ბენცის“ ქარხანაში, მუშა-მოსამსახურუები საწარმოს ტერიტორიაზე დღემდე კელოსიბერით გადაადგილდებიან. ყოველ განყოფილებას განსხვავებული ფერის ორთვალები ჰყავს.

დღეისთვის შექმნილია კელოსიბერის სხვადასხვა ტიპები. უნიკილს აქვს ერთი ბორბალი და კელა დანარჩენი ნაწილი, რომლებიც ჩვეულებრივ თრბორბლიან კელოსიბერებს აქვთ. მის სამართვად ოთხმხრივი ბალანსირება საჭირო და მიჩნეულია, რომ უნიკილის მართვის სწყლა ადამიანს 10-15 საათში შეუძლია. მონოციკლსაც ერთი ბორბალი აქვს, ორონდ ის დიდია და მძლოლი ბორბლის შუაში ზის. მონოციკლი ზოგჯერ მოტორიზებულია. ორ- ან სამბორბლიანი კელოსიბერია ლიგერადი, რომელსაც ნახევრად მწოდლარე მართავენ. ლიგერადი აეროდინამიკურია და მაღალ სიჩქარეს ანვითარებს, ამიტომ მათვის ცალკე შეჯიბრებები ეწყობა. ტანდემი არის კელოსიბერით ამზადებენ კელოსიბერებს სამი და მეტი ადამიანისათვისაც. ხოლო ტრიციკლით, სამბორბლიანი კელოსიბერით, ბაჟშევები ერთობიან.

გელა უშანიერი

სამხელოო ჟურნალი,
„არსენალი“!



ინფორმაცია, რომელიც
მიზანში ხვდება!

გამოიცი თვეში ორჯერ!
იკითხეთ პრესის გამარტინაციას!

ნოვები აღგილება მისამართ - elva.ge;
ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

შანრი ლოლაჟვილი

„სული ტყუილია
ტკბილი სიბერი“

ბოლო დროს ლამის ყოველდღე
ტელევიზიის ეკრანზე ვხვდებით
კურძების მომსაფებას „ასწევლის“
მაყურებელს. უანრი ლოლაჟვილის
მასინძლობა ყოველთვის ცნობილი იყო
თბილისელებისთვის. მას შეიძლო
უბრალო ინგრედიენტებით სამუშაო
გემოსა და შესახედაობის ქრძი
მოეფიქრებინა და მოენუსხა სტუმრები.
ამ მხრივ ამოუწერავი და საინტერესო
გახლუფთ.. ოუმცა ეს არაფერია იმასთან
შედარებით, თუ როგორი არტისტია
უანრი ლოლაჟვილი. სცენაზე რომ
გამოდის, თითქოს სიტუაციას
ერთპიროვნულად მართავს, თვალის
მოშორება აღარ გინდა. იმასც ატყობ,
რომ ყველაფერზე დიდხანს და
საინტერესოდ უფიქრია და ამით კიდევ
მეტად გიზიდავს მაყურებელს. შეუძლია,
სერიალშიც კი ისეთი სახე შექმნას,
რომელიც არასოდეს დაგუაწყდება...
აღარაფერს კაბბობ კინოზე...
ან, როგორი მხატვარია უანრი
ლოლაჟვილი. ცოტა სევდით დაფერილი
და სივრცეში უკიდუვანოდ განთვინილი.
არ ვიცი, როგორია ის ყოველდღე,
ოუმცა წარმომიღებენია წიგნებში
ჩაფლულიც და თავისი ძღიდარი
ფონოუკის წინ ნამდგილი ზელოვნების
მოსმენისას უსაზღვრო ფიქრში
ჩაიძორულიც, ხანდახან ბუზლუნაც,
ზოგჯერ მოძლევნიც... როგორ ასწრებს
ამ ყველაფერს ერთად, ცხადია,
ვერასოდეს გავიგება...
როცა წარსულზე ლაპარაკობს,
თანამოსაუბრუ აღარც კი სჭირდება.
პირობითად რჩება ჩემ წინ საკარძელში,
ისე კი ფიქრს მიჰყება შორს, თავისი
ტილოების მსგავს მზიან-ნისლიან
ცხოვრებისეულ გთარებანში.



— საბავშვო ბაღი მახსოვს, — ნატაშა მასწავლებელი, ცუკატიანი „ბულგები“... ბაღის მეგობრები ახლაც მყავს.

ფანტასტიკურად ვერ ვიტანდი სკოლას, თუ შეიძლება ამგვარად ითქვას... ბევრს ვკითხულობდი, წიგნი მიყვარდა, მაგრამ ამან სკოლა ვერ შემაყვარა. სულ შატალოზე დავდიოდი, განსაკუთრებით ორშაბათობით, იმიტომ, რომ ამ დღეს კინოში ახალ ფილმს უშვებდნენ. მე და ჩემი მეგობარი მიტო ჩიკვაიძე წავიდოდით კინოში. სკოლის კარს კვტავდნენ. ჩვენ გადავდიოდით ხეზე და იქიდან ჩვენი კლასელის, ნათელა ქვარცხაიას ბინაში შევდიოდით მეორე სართულზე. აა, იქიდან კი პრიმაკოვის „ატა-მანკაზე“ გადავირბენდით ფეხით და გავდიოდით კინო „აპოლონში“.

თუმნიანი რომ გვქონოდა, გოგოებსაც დავპატიუებდით. არ იყო ასეთი სიძირე.

დედაზემი ჰედაგოგი იყო, მიბრაზდებოდა, მაგრამ ვერ მსჯიდა. როგორ უნდა დავესაჯე? ერთი-ორჯერ სახლიდანაც კი გავიქეცი. მერე შეშინდნენ. ამასთან ეგრე არ გამოვაო და აღარ ცდილობდნენ დასჯას.

სკოლის პროგრამას ვერ ვებოდი. მიყვარდა გეოგრაფია, ასტრონომია, ბიოლოგია, ვერ ვიტანდი გეომეტრიას. ყველანაირი ნიშანი მქონდა. ერთხელ, მგონი საშემოღვიმოც გამომყავა. მაინც არ შემეძლო ფილმი არ მენახა და მიღდიოდი შატალოზე.

ქიმიას და რუსულს არასოდეს ვაცდენდი, მაინტერესებდა და იმიტომ...

სანდრო პაპა იყო, ერლომ ახვლედიანის მამა, ხატვას ის მასწავლიდა. ვგიუდებოდი, ისე მიყვარდა. სარდაფში ჰქონდა ოთახი, ჩავიდოდი, ვატეუებდი, გაკვეთილი არ მაქვს-მეთქი და ვხატავდი, ისიც თავს იტეუებდა.

ერთხელ გავიგე რონოდან უნდა მოვიდნენ და შემძმონ, მართლა დადიან თუ არა ბავშვები სახატადო. თუ არ დადიან, უნდა დახურონ. წავედი, 12 ბავშვი მოუიყვნე, ფურცლებით, ფუნჯებით და ვახატინებდა. როგორ გაქარდა. ბიჭო, ეს რა გააეთუო, — მეტყოდა.

ერთხელ ჩვენი სახლის სარდაფში ჩავედი და ვაპოვე ჟურნალები H_2SO_4 . ეს ფუტურისტული ჟურნალები აკრძალული იყო. ალბათ დედამ და მამამ გადამალეს. ამის გამოჩენა როგორ შეიძლებოდა, იმდენი იყვნენ დამსენები (თუმცა მაშინდელი დამსმენები დღვენა-დელთან რა მოსატანია).



„ერთხელ ჩვენი სახლის სარდაფში ჩავდი და ვაპოვე ჟურნალები H_2SO_4 ამის გამოჩენა როგორ შეიძლებოდა, იმდენი იყვნენ დამსმენები“



„ქალაქი ანარა“, 1976 წ.

კადრი მხატვრული ფილმიდან „რატილი“, 1983 წ.





კადრები ფილმიდან „რობინზონიალა ანუ ჩემი ინგლისელი ბაბუა“, 1987 წ.



„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, 1978 წ.



მეც დამაბეჭდეს ერთი-ორჯერ. მერე ინა-ნეს. ასეთ ბავშვს ხომ ყველა გაურბოდა.

გოგოები და ბიჭები ორმ შეგვაერთეს, გვერდით მერხზე გოგო დამისვეს. იქით ვერ ვიხედებოდი, მერიდებოდა, მიგვქონდა ხილი, ყვავილები და საკლასო ოთახში არაჩეულებრივი სუნი იდგა ხოლმე.

ერთხელ ვიღაცამ „გლობოკი“ მოიტანა ჩვენთან, სახლში. მამაჩემი გაგიუდა: ჟ არ დამანახვოთ! როგორ, ჯერ გაგიხედო და კარი მერე გაუღლო კაცს! არაჩეულებრივი მამა მყვადა...

აბანოში მივყავდით უბნის ბიჭები. მექისეს მოგვიჩენდა. მერე მას ვკითხავდი, მამაჩემი სადარის-ბეთქი და ისე გავდიოდით, რომ შეშველი მამისთვის არ შემეხედა... აბანოს მერე „პონჩიკებსა“ და ლიმონათზე მივყავდით. „პრემ-სოლა“ ერქვა იმ უგემრიელეს ლიმონას. ახლაც მახსოვს მისი გემო.

უდარდელი ვიყავი. საქართველოს კუთხე არ არის, მე რომ არ შემომევლოს. ფეხით დავდიოდი, ცხნითაც... შიომღვიმესა და დავით გარეჯში ძიცხოვრია კიდეც.

ჩემი უსაყვარლესი მიშიკო ჭავჭავაძე, თუმო სუმბათაშვილი, სხვა მეგობრები ერთად დავდიოდით. ძნელი იყო. მაგრამ მაინც ავდიოდით მთაში. რამდენი ლამე გაგვითხნებია იქ...

ომის შემდგომ პერიოდში ორჯერ და სამჯერ გადაბრუნებული ტანსაცმელი მეცა. ამის გამო არასოდეს მიგრძნია თვით ცუდად. მერეც, როცა ყველაფერი შევიძინე, არ გავგიშებულვარ... ერთადერთი რაც მიყვარდა, ბერძნიაბანი სამოსი იყო. იცი, რატომ? შემეძლო ბერძნი რამ ჩამწევო ჯიბეში და მევლო მთასა და ბარში... აუცილებლად ჩავიდებდი ჯიბეში ბლოკნოტსა და პასტას... ხანდახნ ვიწერდი რაღაცას.

ვკითხულობდი აკრძალულ ლიტერატურას. ფარტასტიკას ვკითხულობდი, სადაც შეფარვით ბევრ საინტერესო აზრს ვპოულობდი.

ვერ ვიტყვი, დისიდენტურად ვაზრონებდი-მეთქი. ამერიკის ხმას კი ვუსტენდი ჩუმად.

კინოს სიყვარულმა გადამაწყვეტინა, მსახიობობა ამერჩია პროფესიად.

ვერ ვიტყვი პარადზე გასვლას, ამის გამო შენიშვნებს მაძლევდნენ. ჯარში არ წამიყვანეს, ნიგვზიანი საჭმლი მწყენდა... ეს ხუმრიბით სკოლის დამთავრებისთანავე ვგიცმი მოუწივე და აღარ წამიყვანეს. რომ წავყვანე ვინდეს, ალბათ გამომაგდებდნენ. ბუნებით პაციენტი ვა!

რა ხიფათიანი ვიყავი!

მესამე სართულზე ავცოცებულვარ, ფანჯა-

რა ჩამიტებია და რაღაც-რაღაცები შემიტანია გოგოსათან, — ყველა განვითარები, კანუეტები, როცა თვითონ შინ არ იყო. ახლა იმ სახლთან რომ გავივლი, გული მისკდება, როგორ აფლოდი?! ან იმ ლენინგრადის ქუჩაზე როგორ გადავდომდი ჩემი კლასელი ნათელას სახლში? ვგივდები, როგორ არაფერი დამემართა.

მამაჩემი გენიალურად ხატავდა. მისი ნახატები შენახული მაქეს. თაოულის ნახატებსაც ვინახავ: იცი, რა კარგად ხატავდა? მერე გადაღებით, საექტაკლებით და დაანება თვითი.

როცა სცენაზე ვდგავარ, ვალდებული ვარ, ოჯახზე ვიფიქრო, არ შევრცხვე. მუდმივი გამოცემა მაქეს.

სიმშვიდე მენატრება. არადა, ისეთი პროფესია მაქეს, სიმშვიდე გამორიცხულია.

სიმშვიდე ვახსენება და ბოდტე გამახსენდა....

ახლაც თვალწინ მიდგას პაპაჩემი — ბალიშანთ დათა. 117 წელიწადს იცოცხლა! ერთხელ ბიღაანთ ნიკას ვკითხე: რათა ჰქონია პაპაჩემს ბალიშანთ დათა-მეტქი. მაგასაო, ერთი რო არ მოგატყუო, ათასამდე ცხვრი ჰყავდა, ას ოცამდე ცხნი, მაგრამ ეგ არაფერში ეთვლებოდაო. დიდი და ისეთი მოვლილი ბაღები ჰქონდა, რომ ბალიშანთ დათა დაარქვესო.

ცხენი ჰყავდა პაპას — მორისა ერქვა. პაპა ნიშანს მისცემდა, ის თვალს ჩაგვიკრავდა. პირველად რომ თვალი ჩამიკრა, გაეგიედი, შემეტინდა და გავიქცი. ჰიპერრეალიზმი იყო.

პაპა არაჩვეულებრივი კაცი გახლდათ. აივაზშე იჯდა და გაჰყურებდა სოფელს. ერთხელ მითხრა: გახდე, ოკიანთ მარუსას სახლიდან ბოლო იბრაო ამოდის, არა დავივდებაო... მაგას რაღაცა გასჭირვებიაო. სოფელს თითო გიუ ხო ყოველთვის ჰყავს. ბოდტემი შამილო ჰყავდათ. იმას დაუძახებდა და გაატანდა მორისას შეშითა და სანოვაგით დატვირთულს. მერელა მოისვენებდა. რო დაინახვდა, ბოლი გაღვივდა, ბაჟშევით უხაროდა.

ახლა ხშირად ვფიქრობ იმ დროზე და ამას წინათ ბოდბელებს ვუთხარი კიდეც: ერთი ოკაანთ მარუსას სადღეგრძელო დალიეთ-მეტქი. გაუკვიდათ: საიდან გახსოვსო... მახსოვს. ახლა კიდევ უფრო მეტად მახსოვს.

არ ვიცი, რომელ კატეგორიას მივაკუთვნო თვითი — შეუხნის ვარ თუ ხანდაზმული... ვთქვათ, შეუხნის ვარ! ახლა უფრო გამძაფრებულია ჩემში წარსულის განცდა. ჩემთვის გასაგები გახდა, ადამიანებს სკლეროზი რომ ემართებათ, რატომ ახსოვთ ბაჟშეობა კარგად, ძვე-



„ქუპასიური ცარცის წრე“, 2004 წ.



„შეგას მჯობრებსა და ამხანაგებთან კპოულობ მათთან რომ ვარ თუ ჟორქვე უკულური დღესასწულის დონეზე ადის“



„ხატგას ერლომ ახვლედიანის მამა, სანდრო პაპა მასწავლიდა... მამაჩემი გენიალურად ხატავდა. მისი ნახატები შენახული მაქვს“

მთხრობელის როლში, „კაგუასიური ცარცის წრიდან“



ლი ამბები არ ავიწყდებათ, ახალი ამბები კი ავიწყდებათ. წარსულის წუთები ძვირფასია. ახლა ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ, ამაოებასაც განვიცდი. ვცდილობ, ცივი გონებით ვუურო ყველაფერს და ადვილი წარმოსადგენია, რანაირ ჭირდაობაში ვარ საკუთარ ფსიქიკასთან.

ახლაც ისევე ვფიქრობ, როგორც ადრე, რომ სიყვარული არაჩეულებრივია, სილამაზებს მატებს ადამიანს. ამ სიბერებიც რომ გავიფიქრებ, ვიღაც მიყვარს, ძნელია, გავლამაზდე, მაგრამ მგონია, რომ ვლამაზდები.

სხეული ისე აღარ მოშევება, როგორც ადრე. იქ ვედარ მივდიგარ, სადაც ადრე მივდიოდ. თავშეკავებული გავხდი.

ადრე დაუსრულებლად შემეძლო მეგობრებთან და ახლობლებთან ყოფნა. ამის სურვილი ახლაც გმბატრებული მაქვს. ერთადერთ შეებას მეგობრებსა და ამხანაგებთან ვპოულობ. მათთან რომ ვარ, თითქოს ყველაფერი დღესასწაულის დონეზე ადის.

დატვირთულიც ვარ... ვხატავ, კინოშიც მიღებენ, სპექტაკლიც მაქვს სათამაშო...

მიფიქრია, მოდი, საღმე წაგალ, ვიქები ჩემთვის... არ გამომდის. ჯადოშოთებმა შემომიტიეს. ჯერ გავიცინებ. მერე შემომიტია და დაჩაგრა დამიპირა, მეც შევუტიე. წამლები დაულიე. აბა, რა ვქნა, სპექტაკლი მაქვს სათამაშო.

ვინ რამდენ ხნის ვიცოცხლებო, რა ვიცა. ვის რა ბომბი გაექვს ჩადებული, რას გაიგებ. თუ მოუხუცდი, გაღავბრუნდები კედლისკენ და ვიქები. ტკბილი დაბერება ტყუილია, ვე არ არსებობს. არ მინახავს ვეთი ადამიანი, რომ ტკბილი სიბერე ჰქონდა და შვილიშვილებთან ჩატკა და ჩაფელამუშდა. სიბერე არის შვილი, ხელის ჩაქნება, ამაოების გრძნობა... წუხილი იმატებს. შმობელი, რომელიც დიდი ხანია აღარ გყავს, გახსენდება და წუხხარ. პანაშვიდებზე სასიარულო გემატება. ერთი ჰერიოდი, იძღვნებ ვიყავი სამიმართებ მისასელელი, ვთქვი, აღარსად აღარ წაგალ-მეთქი... ვერ გაბედე, მაინც წავედი. ვალდებულების გრძნობამ მძლია.

გავდიგარ საფლავზე ხან მარტო, ხან ვინგესთან ერთად...

მარტოა ადამიანი, თავის წუხილთან მარტოა.

P.S. 16 დეკემბერს ოუსიუგელის სახელმწიფო აკადემიური თუატრის წინ უანრი ლოლაშვილის გარსკვლავი გაიხსნა. ვულოცავთ ხალხის საფარულ შსახიობს ამ უდიდეს აღიარებას.

ლელა პილაშვილი



დავით ქაცარავა:

„დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც მიცხოვნია“

როცა კითხვას პროფესიაზე უსვამენ, დოკუმენტის უცინება. არის იურისტი, ბანკირი, ერთი დრო კინსერვატორიაშიც სწერლობდა და საოპერო მომღერლობას აირებდა. მერე სპორტული გადაცემის კომეტატორად მუშაობდა... ახლა ჯომარილის ფედერაციას ხელმძღვანელობს. ბოლო დროს მსახიობობამ გაიტაცა და მიღწვევიც აქვს. ჩემი რესპონდენტი დავით ქაცარავი განლაგო ამბობს, რომ „ბუნების კაცია“, მეგაპოლისში ცხოვრება მისი საქმე არ არის. ქალაქში დარჩენას არც აპირებს. ოცნებობს, სოფლად, ძღინარესთან ახლოს დასახლდეს, შინ პერნებებს ბევრი წიგნი, საბილიარდო...

— დათო, გამოიჩინელად რომელი ისტორიული გმირი გიყვარო?

— ჩემი ბავშვობის გმირი სპარტაკია. ის ყოველთვის გამოკვეთილი ლიდერი იყო. გლადიატორი, რომელმაც არაერთი გმირობა ჩაიდინა. მისი ცხოვრება ტრაგიზმითაა სავსე, მაგრამ სახელმა ათასწლეულებს გაუძლო. დღესაც სიმამაცის, უდრიკობის, ვაჟკაცობის სიმბოლოა.

— ცოტა წის წინ მონაწილეობდით ისტორიულ ფილმში „დავიწყებული მეფე“. თქვენს გმირზე რას გვეტყვით?

— ბაგრატიონთა შთამომავლის, დემეტრე ორბელის როლს ვასრულებ. ფილმში ჩემი წარმომავლობის ისტორია ირკვევა. ცოტა ფანტასტიკაცაა. ჩემი გმირი გადადის ძველ ეპოქაში, დროში მოგზაურობს, ხვდება შოთა რუსთაველს, ილა ჭავჭავაძეს, სტალინს... როლზე

მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. არ ვიცი, მსგავს ფილმში მონაწილეობა ოდესებე კადვე თუ მომიწვეს. მოგეხსენებათ, ფილმი უწევებტი კადრითაა გადაღებული. მსახიობებს შეცდო-მის დაშვების უფლება არ გვქონდა. გარდა ამისა, ერთი პატარა როლი მაქეს შესრულებული ნიკა ხომასურიძის „დიდგორიშვი“: ასე რომ, დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც მიცხვ-რია. ასალგაზრდებს მოუწოდებ, საფუძლი-ანად გაეცნონ საკუთარი ქვეყნის წარსულს, უნდა იცოდნენ „ვისი გორისანი არიან“. ეს აუ-ცილებელია მომავლის ასაშენებლად.

— ლონდონი, პარიზი, ჰავანა, ზუგდიდი: რა აქვთ საერთო ამ ოთხ ქალაქში?

— ვერ გიპასუხებთ.

— მინიშნებად ერთ სიტყვას გეტყვით — „ნაპოლეონი“.

— ნაპოლეონის ნიდაბი ინახება, არა?

— გამოიცანით. როგორ მოხვდა ის საქარ-თველოში?

— ეს ისტორია ზუსტად არ მახსოვს.

— ნიდაბი გარდაცვლილი იმპერატორის სახიდან აიღო და ბრინჯაოსგან მისმა პირად-მა ექიმმა ჩამოასხა. დაშვადა რამდენიმე ვე-ზემდლარი. ნიდაბი და ნაპოლეონის პირადი ნივთების ნაწილი მემკვიდრეობით მის დის-შვილს, აშილ მიურატს ერგო, რომელიც სა-მეგრელოს მთავრს, დავით დადანის ასულ სალომეზე დაქორწინების შემდეგ ზუგდიდში გადმოსახლდა, თან გადმოიტანა საოჯახო რელიკვიებიც.

— რომელიც შემდეგ ზუგდიდის მუზეუმს გადაეცა.

— რას უწოდებენ მომთაბარე არაბებს?

— ბეღუინებს.

— რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსთან?

— რომში ძეგლი რომ დაუდგეს, იმ მეფეზე მექითხებით, არა?

— დიახ.

— უნდა გავიხსენო (პაუზის შემდეგ): ფარ-სმან II.

— გადმოცემით, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული, მდინარეებს ნაპირ-ზე დაბანა კებული არაბთა ლაშქარი წყალდი-დობის მსხვერპლი გახდა. ერთმა მდინარემ არაბთა ჯარში მეოფი 13 ათასი აბაში (არაბი) წალეკა, მეორემ — 35 ათასი ცხენი დაახრჩო. რა პქვიათ დღეს ამ მდინარეებს?

— ცხენისწყალი და აბაშისწყალი.

— რომელმა მონღოლმა ყაენმა დააარსა ოქროს უდღო?

— ჩინგიზმა, არა?

— ბათო ყაენმა დააარსა. რომელი საუკუ-ნის ძეგლია ანჩისხატის ეკლესია?

— ზუსტ თარიღს ვერ გეტმევთ.

— ის ბაზილიკური ნაგებობაა.

— ამიტომ ვფიქრობ, რომ VI-VII საუკუ-ნის უნდა იყოს.

— VI საუკუნით თარიღდება. დიდი ბრი-ტანეთის გარდა, რომელ ქვეყანაში იყო პერი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელ-თა წილება?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებად ვროპული ქვეყანა უნდა დაასახელოთ.

— არ მახსოვს და ვარაუდის დონეზე პა-სუხის გაცემა არ მინდა.

— საფრანგეთში. თბილისში რომელ მოე-დანს ერქვა აღრე ერთგანსკის მოედანი?

— არ ვიცი.

— ლენინის მოედანი?

— ახლანდელ თავისუფლების მოედანს, მა-გას კი ნამდვილად მოვესწარი.

— მანამდე კი მას ერევანსკის მოედანი ერ-ქვა.

— მართლა? ეს პარველად გავიგე.

— რესი სარდალი პასკევიჩი, აღმოსავალეთ სომხეთისა და თავირიზის აღებისთვის, 1828 წელს გრაფის ხარისხში აღამაღლეს, ერთან-სკის ზედწოდებით შემდეგ ტფილისში მოედანს მიანიჭეს პასკევიჩ-ერთგანსკის სახელი, ქალა-ქელები კი შემოკლებით ერთგანსკის მოედანს ეძახნენ... რა ნივთები იყო გამოსახული კო-ფილი საბჭოთა კავშირის დროშაზე?

— ნამაღლი და ურო.

— „ერთი ადამიანის მოკვლა ტრაგედიაა, ბევრის — სტატისტიკა“. ვინ არის ამ ცნობი-ლი გამონათქვამის ავტორი?

— სტალინი. 9 აპრილის შემდგომ პერი-ოდში ახალგაზრდები დისკუსიებს სხვადასხვა თემაზე მართავდნენ. ერთ-ერთ შეკრებაზე მეც ვიყავი. მაშინ მოვისმინე პირველად ეს გამო-ნათქვამი და გულზე იმდენად მომხედა, დამა-მახსოვრდა.

— ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ვინ იყო ანთეონის მამა?

— ვერ ვიხსენებ.

— პოსეიდონი. საქართველოს ომელ კუთხში მდებარეობს ზედაზნის მონასტერი?

— ქართლში.

— რა პეტა კოშკს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?

— მინარეთი.

— 1872 წელს თბილისსა და ფოთის შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ, ერთ-ერთი უბნის ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რკინიგზის აღმოსავალეთ ნაწილში მუშახელი მიწებს უნებართოდ იყავებდა და სახლდებოდა. რა ეწოდა ახალ უბანს?

— ნაძალადევი.

— რომელი მეფე დაიღუპა გარისის ბრძოლაში?

— ლუარსაბ I.

— რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი „გაბაასება რუსთაველთან“?

— თეიმურაზ II-ს.

— რამდენი დღით უსწრებს ბზობა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს?

— შეიძი დღით.

— „ლექსო ამოგთქომ ოხერო, / თორო, იქნება ვკვდებოდე / და შენ კი ჩემდა სახსოვრად, / სააჭაოსა რჩებოდე“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვერ ვისხენებ.

— მიგანიშნებთ იგი 25 წლის ასაკში ბოლშვიკებმა მოკლეს, ქაქუცა ჩოლოფაშვილთან მეეთობრობდა.

— მაინც ვერ დავასახელებ.

— მიხა ხელაშვილი. რომელი იმპერიიდან მოდის დევიზი „დაყვანი და იბატონე“?

— რომის იმპერიიდან.

— რომის პირველი დიქტატორი ლუციუს კორნელიუს სულა იწოდებოდა ფელიქს დიქტატორად. რას ნიშნავს სიტყვა ფელიქსი ქართულად?

— არ ვიცი.

— ბენდიერს. ვის მემკვიდრედ ასახელებდა თავს შამილი ქართველთა მისამხრობად?

— თუ სწორად მახსოვეს, ერეკლე II-ს, არა?

— დიახ. რომელ ქვეყანაშია კიმონო ქალისა და მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი?

— იაპონიაში.

— რომელ ქვეყანაში ლაშქრობისას მოუკლეს ალექსანდრე მაკედონელს საყვარელი ცხენი ბუცეფალი?

— ინდოეთში.

— რა იყო პეტრე იბერიელის ერისკაცობის სახელი?

— არ მახსოვეს.

— მურვანი. პიტლერის ნამდვილი გვარი გაიხსენეთ.

— შიკლგრუბერი.

— დაყით IV თამარი, დემეტრე II, ლუარსაბი: რა განასხვავებს ამ მეფეებს დანარჩენებისგან?

— გთხოვთ, კიდევ ჩამომითვალეთ (კითხვის გამეორების შემდეგ): წმინდანებად შერაცხული მეფეები არიან.

— ინგლისის რეკოლუციის შემდეგ ცნობილმა სამხედრო დიქტატორმა (1599-1658 წლებში) მიიღო თანამდებობა ლორდ პროტექტორი. ვინ იყო ეს სამხედრო მოღვაწე?

— ოლივერ კრომველი.

— დაასრულეთ ფრანგლინის ცნობილი გამონათქმამი: „გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც კი ერთადერთი სკოლაა, სადაც უჰქუონიც კი...

— ჭკუას სწავლობენ.

თამარ პატიოპარი



თავით ფარაონები უცხოულები

346

მუმიფიცირების შემდეგი საფუძული მუმიისთვის ცოცხალი ადამიანის იერის მიცემას ისახავდა მიზნად. დამუშავებულ ცედარს თავით ფქამდე სურნელოვან ნელსაცხებულს უსვამდნენ, რომ სასამოვნო სუნი პქონოდა. შემდეგ უკეთებდნენ ხელოვნურ თვალებს, პარიკსა და გრიმს. სულ ბოლოს ხის ფისს წაუსვამდნენ, რათა არ დაობებულიყო.

347

გამოშრალ შინაგან ორგანოებს ტილოში ახვევდნენ და ინახავდნენ ჭურჭელში, რომელთაც კანოპები ქროდებოდა. ბაზუნისთვიან კანოპში (ღმერთი ჰაპი) ფილტები ინახებოდა, კუჭი ტურისთვიან ქოთანში (ღმერთი დუამუტეფი), ადამიანის-თავიან ქოთანში (ღმერთი იმსეტი) — ღვიძლი, შინაგანი ორგანოები კი — შევარდნისთვიან ქოთანში (ღმერთი კებეპსენუფი).



348

მარცხენა მხარეს განაკვეთ ადგილს შვიათად თუ ამოკერავდნენ. ხშირად ამ ადგილს ცვილით ამოგლესდნენ და მაზე ჰორუსის თვალს ამოკვეთდნენ. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ის ადამიანს ბოროტი ძალისგან იცავდა.

1. შეხვეული თავი




500 ფაქტი ისტორიიდან / მუმიები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-24 • ნაწევეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

349

მუმიფიცირების დასასრულს
მუმიას თავიდან ბოლომდე სახვევებში
ახვევდნენ. ამას თერთმეტი დღე სჭირდებო-
და. სხეულს 6-დან 20 სანტიმეტრამდე
სიგნის ტილოს სახვევებით
ფარავდნენ. წესისამებრ,
სხეულის შეხვევას თავისგან
იწყებდნენ. მუმიის გადახვევა
ტილოს
საფეხით
სრულ-
დებოდა.



2. გადახვეული
ტორსი და
კიდურები.

3. ერთიანად
შეხვეული მუმია

5. ბოლოს
მუმიას
ტილოში
ახვევდნენ

4. გადახვევა
დასრულებულია

▲ მუმიის გადახვევა ზუთ საფეხურად
მიმდინარეობდა. გადახვევას თავისგან
იწყებდნენ

350

გადახვევისას ტილოს შრებს შორის ავგარო-
ზებსა და თილისმებს ალაგებდნენ. ეგვიპტელთა რწმე-
ნით, მათ მიცვალებული იმქეუწიურ ცხოვრებაში
ბოროტისგან უნდა დაეცა. სახვევებზე მაგიურ შელოც-
ვებსაც წერდნენ. ამის შემდეგ მუმიას ფისით ფარავდნენ,
რათა წყალგაუმტარი გამზდარიყო, დასასრულ, სახეზე
ნიღაბს უკეთებდნენ.

სამარხები და მძარცველები

351

მუმიას ხის კუბოში ათავსებდნენ. უბრალო კუბოებს ფიცრისგან აშშადებდნენ, უფრო ძვირფასს კი ადამიანის ფორმა ჰქონდა. ისინი თილისმებითა და ავგაროზებით იყო მორთული. შიგნიდანაც იყო მოხატული — სურათი იმქვეყნიურ ცხოვრებაში მიმავალ გზას ასახავდა.


352

ადრეული ხანის ფარაონებს პირამიდებში მარსვედნენ. პირველი პირამიდა ძვ. წ. 2650 წელს ააგო ფარაონმა ჯოსერმა. შემდგომ 800 წლის განმავლობაში ყველა ფარაონი პირამიდაში იყო დასვენებული. პირამიდებს ჩშირად ძარცვადნენ. მოგვიანებით ფარაონებს კლდეში გმოკვეთილ სამარხებში კრძალავდნენ. ეს ადგილი მეფეთა ველის სახელით არის ცნობილი. მძარცველებმა ამ სამარხებშიც კი შეაღწიეს.



353

დაკრძალვის დღეს მუმია კუბოდან ამოპქონდათ და ვერტიკალურად აყნებდნენ. ქურუმი მუმიის პირს, თვალებს, ცხვირსა და ფურებს Y-ის ფორმის ქვის სარიტუალო წმინდა საგნით ქვებოდა. ამას „პირის გახსნის ცერემონიალი“ ეწოდებოდა. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ მას მეტყველების, მხედველობისა და ყნოსების ორგანოები კვლავ გამოეყენებინა იმქვევნიურ ცხოვრებაში.



354

მუმიებს საფლავში თან ატანდნენ სხვადასხვა საგანს, ისეთ ნივთებს, რომლებიც მათი აზრით, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გამოადგებოდა. უბრალო ადამიანებს საფლავში საჭმელ-სასმელს ატანდნენ, ფარაონებსა და დიდგვაროვნებს კი ეველაფერს: ავეჯს, ტანსაცმელს, იარალს, ძვირფასეულობასა და მუსიკალურ ინსტრუმენტებს.



355

▲ ქურუმი (მარჯვნივ) მუმიის (მარცხნივ) „პირის გახსნის ცერემონიას“ აღასრულებს

355

სამარხებში მოქცეული სიმძიდრე მძარცველებს იზიდავდა და ისინიც დიდი რისკის ფასად სამარხებში შედიოდნენ. მათგან არც მუმია იყო დაცული — მძარცველები კუბოს თავს ხდიდნენ, მუმიაზე შემოხევულ ტილოს ჭრიოდნენ და ავგაროზებს, თილისმებს, ძვირფასეულობასა და ნიღბებს აცლიდნენ. სამარხების მარცვა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და თუ ვინმეს წაასწრებდნენ, სიკვდილი არ ასცდებოდა.

◀ დაკრძალვის ცერემონიის მონაწილენი მეფეთა ველისქვნ მიემართებიან. ხარები ქწვიან ხის მარხილს, რომელსაც ნავის ფორმა აქვს, მასზე კუბო დგეს. სურათზე ნაჩვენებია გარდაცვლილის მოგზაურობა იმქვევნიურ ცხოვრებაში.

ტუტანხამონი — მეფე-ყაფვილი



▲ ტუტანხამონის ეს გამოსახულება
მასთან ერთად დაიმარხა სამარხში

356

ტუტანხამონი ეგვიპტის ქველაზე ცნობილი ფარაონი იყო. ის ტახტზე რვა წლის ასაკში აფიდა ძვ. წ. 1334 წელს. რაკი ძალიან ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ ეგვიპტე ემართა, მას ორი მინისტრი მეურვეობდა: მთავარი მინისტრი აი და მთავარსარდალი ჰორემჰები. ისინი ტუტანხამონის სახელით იღებდნენ გადაწყვეტილებებს.



357

ტუტანხამონი ცხრა წელიწადს მართავდა ეგვიპტეს. იგი ჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა. მის სხეულს მუმიფიცირება გაუკეთეს და დაკრძალეს ერთ-ერთ სამარხში მეფეთა ველზე, სადაც ბევრი სხვა ფარაონიც განისვენებდა. ტუტანხამონს სამარხში ჩააყოლეს ძვირფასი ნივთები, რომლებიც იმქვენიური ცხოვრებისას უნდა გამოიყენებინა.

358

მეფეთა ველზე სამარხები თითქოს დაცული იყო, მაგრამ მძარცველებმა მაინც მიაგნეს და უამრავი ძვირფასი ნივთი გაიტანეს. მძარცველებმა ტუტანხამონის სამარხსაც მიაგნეს, მაგრამ კველა მათგანი დაიჭირეს, სანამ გაბარცვას მოასწორებდნენ. წლების მერე, როცა რამზეს VI-ის სამარხს თხრიდნენ, რიყის ქვები ჩამოიშალა და ტუტანხამონის სამარხში შესასვლელი ჩაიგეტა. ამის შემდეგ ის დაიგინეს.

359

1922 წელს ბრიტანელმა არქეოლოგმა პოვარდ კარტერმა ტუტანხამონის სამარხი აღმოაჩინა. იგი წლების განმავლო-

ბაში ეძებდა მას. ზოგ არქეოლოგები მიაჩნდა, რომ კარტერი ტყუილად ფლანგავდა დროს — ფიქრობდნენ, რომ მეფეთა ველზე ყველა სამარხი უკვე ნაპოვნი იყო. კარტერი მაინც

ჯაუტად განაგრძობდა ძებნას და

1922 წლის
ნოემბერში
იპოვა კიბე,
რომელმაც
ტუტანხა-
მონის
სამარხის
კარამდე
მიიყვანა.



▲ ტუტანხამონის სამეფო ტახტი. მის საზურვეზე გამოსახული არიან მჯდომარე ფარაონი და დელფინი.



◀ ტუტანხამონის მუმიას თავსა და მხრებს უფარავდა ოქროს ნიღაბი, რომელზეც გამოსახული იყო სამეფო კობრა და ფასკუნჯის თავი, რაც ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანების სიმბოლო იყო.

360

კარს უკან დერეფანი იყო, მის ბოლოს კი მეორე კარი, რომელიც პოვარდმა გახვრიტა. როცა ნახერეტს გახედა, თქვა ფრაზა, რომელიც შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი გახდა: „მე საოცარ რაღაცებს ვხედავ“. ათი წელიწადი დასჭირდა სამარხიდან ნივთების გამოტანას, მათ შორის იყო ძვირფასეულობა და ოქროს სამეფო ტახტი, ოქროს ნიღაბი, რომელიც მეფეს თავსა და მხრებს უფარავდა. იგი 10 კილოგრამი ხალასი იქროსგან იყო ჩამოსხმული.

საოცარი მუზეუმი

361

ფარაონ რამზეს II-ის მუმია 1871 წელს იძოვეს. თავდაპირველად ის სამარჩში დაუმარხავთ, მაგრამ მერე ამოუღიათ, რათა მძარცველებისგან დაეცვათ. რამზეს II-ს ძალიან ცუდი კბილები ჰქონია, რაც ალბათ მაგარი პურის ჭამით იყო გამოწვეული. ფარაონი ითხმოც გადაცილებული გარდა-იცვალა. როგორც ჩანს, ართორზით იყო დაავადებული და სახსრების აუტანელი ტკიფილი სტანჯავდა. დაობებისგან გადა-სარჩნად, 1976 წელს მისი მუმია საფრან-გეთში გაგზავნეს.

362

1770 წელს ნაპონი მუმია დიდ ბრიტანეთში, მანჩესტერის მუზეუმში ინახება. ეს არის ოციოდე წლის გოგონა, რომლის ვინაობა ცნობილი არ არის. მუმიას არპ აქვს ქვედა კიდურები, მაგრამ მუმიფი-ცირების ოსტატებმა გაუკეთეს, რომ აღედ-გინათ სხეული. არავინ იცის, რა შევმთხვა გოგონას, შესაძლოა ნიანგმა ან ბეჭედოთმა მოაკვნიტა ფეხები, როცა მდინარე ნილოსში ჭყუმპალაობდა 3000 წლის წინ.

▼ რამზეს II-ის მუმიის გამოკვლევაშ ცხადები, რომ მისი ცხედარი მაღალი სარისხის ტილოში იყო გახვეული.





363

ხაფანგში მომწევედეულმა სახელმართა ათასობით მუქითის აღმოჩენას შეუწყო ხელი. ეს 1996 წელს მოხდა, როცა ევგვატეში, ბაჟარიას ოაზისში, სახელმართო მომზადების ჩატარება მოხდა. როცა პატრონმა პირუტკები ამოიყვანა, მერე თავად ჩავიდა მომზადების, სადაც სამარხი საკენების მთელი წელი იყენება იყო ჩატარების დროს. მათში ათასობით მუქითი აღმოჩნდა. ამ ადგილს ოქროს მუქითის ევლს ეძახიან, რაღაც მუქითის უმეტესობას სახეზე ოქროს ნიღაბი ჰქონდა. მუქითი დაახლოებით 2000 წლის არიან.

364

დჯველმაარესან, ახუ დჯველი
არის გვეიპტური მუშია, ოომელიც
კანადაში, ტორონტოში, ონტარიოს
სამეფო მუზეუმში ინახება. ეს ქალი
დაახლოებით ძვ.წ. 850 წელს ცხოვრობდა
და 1977 წელს ისტორიის წიგნებში შევიდა
როგორც პირველი ეგვიპტური მუშია,
რომელსაც კომპიუტერული ტომოგრაფია
გაუკეთდა. გამოკვლეული ცხადყო, რომ
დჯველის ინფექციის გამო ძალიან დაზიანე-
ბული ჰქონდა ქა, რასაც შეიძლებოდა
მისი სი ყავილი გამოქვია.





ჰავასტის
დედოფლი

1	გრაფიკის რასტერის ნაშენები გვერდი								2	ჰარის რჩეული ნაწილი		3											
4																							
5	ბერძნია უმციქა გმირი ტრიას ომში	6	საპროექტო ნადჭავი	7	გერმანიის იმპერია				8	კულტურის ერთ-ერთი გეგმი													
9																							
10	10 ნოეს ერთ- ერთი გეგმი								11	11 ფაშიზმის სამშენებლი													
12									13	12 ფრანგ მეცნიერა სახელი		13 ამერიკის შტატი											
14		14 გერმანია სტუდენტები ზღვაში	15	15 ისლამის წმინდა ქადაქი	16	ადმინისტრ ერთეულის საქართველოში	17	პარკები ქართეული ქანსტაბი მუჟუ	18	თეურისტიკური დაწესატონი		19	ბულგარიას ლადებლატი										
20																							
21	21 ფაშისტური გერმანიის არმა																						
22		22 ასრალის საწილი																					
23																							
24	მტრის ზეგავი მეტასიტილი																						

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანერების პასუხი:

- 1 კასტრო; 2 ერი; 3 თოანე; 4 ამასი; 5 ნოტა; 6 ვაჩქ; 7 მანდარინი; 8 მაჯდონელი; 9 კინტო; 10 ოაკომი; 11 კადა; 12 ანბანინი; 13 აა; 14 დაღიანი; 15 კაზნი; 16 ძე; 17 ქაბი; 18 გო; 19 საბა; 20 ალავი; 21 ზეფ-ტაფონი; 22 ურიბე; 23 პინა; 24 არა; 25 ტოო; 26 ლოროქფინიძე სერათშე: ჭრედი.